www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 7 ივნისი, 2004 წელი. №133 (682)

ფასი 50 თეთრი

# ამერიკის გმირი

## რონალდ რეიგანი



*შაბათს ლოს-ანჟელესში, საკუთარ სახლში, 93 წლის ასაკში აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი გარდაიცვალა. ის უკანასკნელ წლებში ალცჰეიმერის სენით იყო დაავადებული. ბოლო დღეებში კი, როდესაც მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, რეიგანის მეუღლემ და ყოფილმა პირველმა ლედიმ ნენსიმ უარი განაცხადა, საზოგადოებისათვის ქმრის მდგომარეობის დეტალები შეეტყობინებინა. მათ ერთად 52 წელიწადი გაატარეს. ადგილობრივი დროით, დღის პირველ საათზე, როდესაც რონალდ რეიგანის სიკვდილის შესახებ გახდა ცნობილი, აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო დროშები დაეშვა და ქვეყანაში საყოველთაო გლოვა გამოცხადდა. რეიგანს ხუთშაბათს, კალიფორნიის შტატში, პატარა ქალაქ სიმ-ველში დაკრძალავენ.*

გაგრძელება A5 გვერდზე

# ცხინვალის ბარიერი

ნიკა იმნაიშვილი

გასულ კვირას საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც დიდი წარმატებით "გახსნა აჭარის კვანძი", კიდევ ერთი სტრატეგიული პრობლემის "კვანძის გახსნას" შეუდგა.

სირთულის ხარისხის მიხედვით, შემდეგი, რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთის პრობლემა უნდა ყოფილიყო და ამგვარი პროგნოზირებადობა სწორედ იმას მეტყველებს, რომ ხელისუფლება ამ შემთხვევაში მოქმედებს არა იმპულსურად, არამედ გეგმაზომიერად და სათანადო "ტექნოლოგიის" დაცვით. უფრო მეტიც – საკმაოდ რეალისტურად ანუ "შესაძლებლის" გათვალისწინებით არა მხოლოდ ტაქტიკური თვალსაზრისით, არამედ სტრატეგიული გადაწყვეტის მხრივაც. ამასვე ადასტურებს, თუნდაც, პრეზიდენტ სააკაშვილის სენსაციური განცხადება საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესაძლო აღიარების შესახებ (შეგახსენებთ, რომ წინა ხელისუფლება ავტონომიაზე და თვით სახელწოდებაზე ("სამხრეთ ოსეთი") ღია მსჯელობასაც კი ვერ ბედავდა), რაც შემდგომ განავრცო სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ. მისი თქმით, "საქართველო მზად არის, სამხრეთელ ოსებს მიაკუთვნოს სუვერენიტეტის იგივე ხარისხი, რაც ჩრდილოელ ოსებს აქვთ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში".

ეს განცხადებები იმას ნიშნავს, რომ თბილისმა დაისახა რეალური მიზანი (არა ოსი სეპარატისტების, არამედ საქართველო-რუსეთის შესაძლო კომპრომისის გათვალისწინებით) და ყველა ტაქტიკურ ღონისძიებას ახორციელებს სწორედ ამ მიზნის მისაღწევად. პოლიტიკური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით კი, რეალისტური მიზნის იმთავითვე განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

კონფლიქტების მიმართულებით ქართული პოლიტიკის მთავარი ნაკლი, წლების განმავლობაში, სწორედ საბოლოო მიზნის გაურკვევლობა იყო, ანუ ჩვენ თავად არ ვიცოდით, რა გვინდოდა და რას ვისახავდით მიზნად აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთში, რაც სეპარატისტებს მანევრირების ფართო სივრცეს უტოვებდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

### ეკონომიკა

## თამბაქოს ბაზარზე კონტრაბანდამ პოზიციების დათმობა დაიწყო

"საქართველოს თამბაქოს წარმოება"-ში ფინანსურ პოლიციას მომზადებულები დახვდნენ

A4

## ნოდაიდელი შედეგებით უკმაყოფილოა



ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა იანვარ-მაისის საგადასახადო შემოსავლების გეგმა 38 მილიონი ლარის გადაჭარბებით შეასრულა, რაც 120 მილიონი ლარით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდში ბიუჯეტში მობილიზებულ თანხებთან შედარებით.

A4

### უცხოეთი

## ერაყის ხელისუფლების ჩამოყალიბება დასრულდა



გასულ კვირას ერაყის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა, ჩამოყალიბდა ერაყის დროებითი მთავრობა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, ვიცე-პრეზიდენტებისა და 26 მინისტრის შემადგენლობით.

A5

### სამართალი

## თენგიზ ასანიძე ხელისუფლებისგან ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვს



"დამპირდნენ, რომ თანხას აუცილებლად გადაიხდიან და დათქმულ ვადას ერთი წუთითაც არ გადააცილებენ. სხვათა შორის, ეს მათ ინტერესებშიც შედის".

A7

### პროექტი

## სალიზინგო მომსახურების სპეციფიკა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სალიზინგო ბიზნესის ყველაზე დიდი პორტფელი ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია, სადაც ყოველი მესამე კონტრაქტი დანადგარების შეძენისას სწორედ სალიზინგო ოპერაციით ხორციელდება.

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 32 |
| ქუთაისი | 32 | 29 |
| ბათუმი | 32 | 23 |
| სოხუმი | 28 | 23 |
| ფოთი | 32 | 26 |
| თელავი | 28 | 28 |
| ზუგდიდი | 32 | 28 |
| გორი | 27 | 27 |
| ახმეტა | 28 | 29 |
| ჭიათურა | 32 | 29 |
| გაგრა | 26 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3407 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5253 |
| რუბლი | 0.0661 |

# კონკურსი გრძელდება

## პირველი ორი გამარჯვებული "დისნეი-ლენდში" აგვისტოში გაემგზავრება

*7 წლის ქეთი ბარბაქაძესა და 11 წლის ეკა სანიკიძეს უოლტ დისნეის პერსონაჟებით დასახლებული პარკის შესახებ აქამდე, თურმე, არაფერი გაეგოთ. იღბალი, როგორც ჩანს, მათ მხარეზე იყო და გოგონები ახლა საკუთარი თვალით და არა ტელეეკრანის საშუალებით ნახავენ, რა სამყაროა ეს "დისნეი-ლენდი". ეს შანსი მათ გაზეთ "12-მდეს" მიერ მოწყობილმა გათამაშებამ მისცა.*

გოგონები აქამდე არც ერთმანეთს იცნობდნენ. გარდა იმისა, რომ ისინი ასაკით განსხვავდებიან, სხვადასხვა სკოლებშიც სწავლობენ. ქეთი მე-6 სკოლის მეორე კლასელია, ეკა – 151-ე სკოლის მეექვსე კლასელი. გაზეთი "12-მდე" ქეთის ბებომ მიუტანა, – პრიზებს ათამაშებენ და, აბა, შენ იცი, იქნებ, პარიზშიც წახვიდეო. ქეთიმ, "დისნეი-ლენდში" გამგზავრების შანსთან ერთად ფოტოაპარატიც მოიგო და ახლა შეუძლია, ეიფელის კოშკიც გადაიღოს და საყვარელი მულტფილმების გმირებიც. იქ კარგად ვიქნები, გამორჩეული ზაფხული მექნებაო, - ამბობს გოგონა.

ეკას ხელში "12-მდე" მამის წყალობით მოხვდა - უბრალოდ, საკითხავად. გათამაშების შესახებ მოგვიანებით ტელევიზიით გაიგეს. ამ გათამაშებისგან მას, "დისნეი-ლენდში" ერთკვირიანი დასვენებით დაგროვილი ემოციების გარდა, სათამაშო კომპიუტერი დარჩება. მე მგონი, იქ დიდი მხიარულება იქნება და კარგადაც გავერთობი. ჩემი მეგობრები ამბობენ, ასეთ ზაფხულს ჩვენც ვინატრებდით - "დისნეი-ლენდში" გასეირნება ჩვენც გვინდაო, - იღიმება ეკა. მეგობრების გარდა, მისი და ქეთის ყველაზე დიდი გულშემატკივრები, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრები იყვნენ.

"დიდი მადლობა გაზეთს ასეთი შანსისთვის!" – პირველი ორი გამარჯვებული გოგონას მშობლების გარდა, ასეთი სიტყვების თქმის შესაძლებლობა სხვა ბავშვების მშობლებსაც მიეცემათ. გაზეთი "12-მდე" კონკურსს აგრძელებს. მთავარი პრიზი ისევ "დისნეი-ლენდია". გაცდენილი არც გუშინდელი დღეა – გათამაშება, რომელიც 6 ივნისს ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ჩატარდა, "რუსთავი-2"-ის პროგრამის - "დილა მშვიდობის, საქართველო", პირდაპირ ეთერში ხვალ, 8 ივნისს შედგება. წარმატებას გისურვებთ, ბავშვებო!

*24 საათი*



*თემურ სუხიტაშვილის ფოტო*

*"12-მდე"-ს გათამაშების პირველი გამარჯვებულები ქეთი ბარბაქაძე და ეკა სანიკიძე აგვისტოში პარიზის "დისნეი-ლენდს" ეწვევიან.*

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 - B7 "საოჯახო ლოტო" | B8 სხვადასხვა

## "რესპუბლიკელები" მოსალოდნელ გაყალბებაზე საუბრობენ

საარჩევნო პოლიტიკური გაერთიანება "ბერძენიშვილი - რესპუბლიკელების" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სახელისუფლებო გაერთიანება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 20 ივნისს დანიშნული არჩევნების სერიოზული გაყალბებისთვის ემზადება. "რესპუბლიკელების" ერთ-ერთი ლიდერის ოთარ ზოიძის თქმით, "ნაციონალებმა" თორმეტივე საოლქო საარჩევნო კომისიიდან გამოაძევეს რესპუბლიკური პარტიის ის წევრები, რომლებიც ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის რეჟიმის პირობებში ატარებდნენ არჩევნებს. ამასთან, საოლქო კომისიების თავმჯდომარეებად თბილისიდან ჩამოყვანილი ხალხი დაინიშნა.

მისი თქმით, წინასწარ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, 30-ადგილიან აჭარის უმაღლეს საბჭოში რესპუბლიკელები 6 მანდატის მოპოვებას შეძლებენ, ხოლო მაჟორიტარულ არჩევნებში 4-5 ადგილს მიიღებენ.

"ბერძენიშვილი - რესპუბლიკელების" საარჩევნო სიის პირველი ათეულია: **მურმან დუმბაძე - დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს ყოფილი წევრი, გიორგი მასალკინი - ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, იმედო ხაჩიშვილი - რესპუბლიკური პარტიის ქობულეთის ორგანიზაციის ლიდერი, გოდერძი ტოტოჩავა - რესპუბლიკური პარტიის წევრი, ვახტანგ აბულაძე - რესპუბლიკური პარტიის ხულოს ორგანიზაციის ლიდერი, ევგენი თავდგირიძე - ჟურნალისტი, ირაკლი ჩავლეიშვილი - რესპუბლიკური პარტია, ვახტანგ ბერიძე - რესპუბლიკური პარტია, სულიკო თედიძე - რესპუბლიკური პარტია.**

ამასთან, რესპუბლიკელებმა აჭარის თორმეტივე საარჩევნო ოლქში დაასახელეს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. ბათუმში - გიორგი მასალკინი, ირაკლი ჩავლეიშვილი, ქობულეთი იმედო ხაჩიშვილი, გურამ ყურშუბაძე, ხელვაჩაური - ევგენი თავდგირიძე, მურმან დუმბაძე, ქედა - ვახტანგ ბერიძე, სულიკო თედიძე, შუახევი - ილია ქარცივაძე, მალხაზ მახარაძე, ხულო - ვახტანგ აბულაძე, ზებერი იაკობაძე. **პრაიმ-ნიუსი**

## ვანდალური მკვლელობა ასლან აბაშიძის ღვინის ქარხანაში

კახეთის რეგიონში კრიმინალური ვითარება ამ ბოლო დროს საგრძნობლად დაიძაბა. შაბათს მომხდარმა ფაქტმა კი ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. სოფელ აკურის ღვინის ქარხანაში დირექტორის ძმისშვილმა, ზურაბ წილოსანმა, ამავე სოფლის მკვიდრი, გოგიტა ლამაზოშვილი სადისტურად მოკლა. იგი ამ ქარხანაში ღამის დარაჯად მუშაობდა. გარდაცვლილის ახლობლები მკვლელობის მიზეზად წილოსანის მეორე დარაჯთან უხეშ საუბარს ასახელებენ: **"ჩემს ძმისშვილთან ერთად ცვლაში ერთ მოხუცი კაციც მუშაობდა. საღამოს ეს მოხუცი ვახშმობს ხოლმე. წილოსანს კი გოგიტასთვის უბრძანებია, რომ შუქი ჩაექრო, მაგრამ ჩემი ძმისშვილი მოხუცს გამოესარჩლა და წილოსანს შეეწინააღმდეგა. ამის გამო წილოსანმა გოგიტა გარეთ გაიყვანა და ყელი გამოსჭრა,"** - ამბობს გარდაცვლილის მამიდა. ამ ფაქტის შემყურე მოხუცს კი იქვე მყოფ სხვა თანამშრომლებისთვის უთხოვია დახმარება, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია: **"ვიღას არ ვთხოვე პოლიციაში დაერეკათ, მაგრამ ყველა თავის ტყავს გაუფრთხილდა და დირექტორს უჭერდნენ მხარს. სანამ მე მივედი გოგიტას მშობლებთან, საცოდავი ბავშვი სისხლად დაცლილა,"** - ამბობს ამ ფაქტის თვითმხილველი მოხუცი დარაჯი.

ასეთი ვანდალური მკვლელობის გამო, მომხდარიდან მეორე დღეს, აკურის მოსახლეობამ მკვლელის "ლინჩის წესით" გასამართლება მოითხოვა და პროტესტის ნიშნად თელავი-თბილისის ავტომაგისტრალი გადაკეტა. პიკეტი ერთ საათს გაგრძელდა და აქციის მონაწილეებს რაიონის ძალოვნებთან ერთად, თელავის გამგეობის წევრებიც შეხვდნენ, რომლებმაც განმარტება მისცეს შეკრებილ ხალხს, რომ "ლინჩის წესით" გასამართლების გადაწყვეტილებას ხელისუფლება და პოლიცია ვერ მიიღებდა, რადგან ეს საქმე სამართალდამცავებმა უნდა შეისწავლონ და დამნაშავე კანონიერად უნდა დაისაჯოს".

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლელობა სწორედ იმ ქარხანაში მოხდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ასლან აბაშიძემ შეიძინა. ამაში კი აკურელები ყოფილ ხელისუფლებას ადანაშაულებენ: **"ძველ მთავრობას ეს ქარხანა აბაშიძესთვის რომ არ მიეყიდა, ეს უსისხლო ხალხი აქ არ ჩამოვიდოდა."**

## "ორთოდოქსი კაპიტალისტების "სამიტი"


თემურ სუხიტაშვილის ფოტო

*არცთუ შორეულ წარსულში ჩვენი საზოგადოება კაპიტალიზმს "ძირმომპალ და გახრწნილ" ფორმაციად იცნობდა. საბჭოთა ეპოქაში ადამიანებს ყოველდღე შეახსენებდნენ, თუ როგორ სვამდნენ წურბელა კაპიტალისტები მშრომელი ხალხის სისხლს. კომუნისტური სისტემის დანგრევის შემდეგ დაწყებულმა ღირებულებების გადაფასების პროცესმა სურათი რადიკალურად შეცვალა: ოდეს დღეს უკვე კაპიტალიზმს უძღვნიან, ხოლო სოციალიზმი ყოველგვარი უბედურების სათავედ ცხადდება.*

"100-პროცენტიანი კაპიტალიზმი - ერთადერთი გზა წესრიგისა და კეთილდღეობისაკენ!" - ამ ლოზუნგით ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში გუშინ გამართული სემინარი კაპიტალიზმის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები: "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო", "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისთვის" და "ასოციაცია თავისუფალი პრესა".

ექსპერტების, სამეცნიერო წრეების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართული დისკუსია, თითქოს, მხოლოდ თეორიული საკითხების გარშემო უნდა წარმართულიყო, მაგრამ დისპუტის მონაწილეებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს და დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების "საჭირბოროტო" თემებსაც შეეხნენ.

მაგალითად, "რესპუბლიკური პარტიის" წევრი ოთარ ზოიძე ამჟამინდელ მთავრობას სოციალისტურ ორიენტაციაში ადანაშაულებს. ამის არგუმენტად ზოიძე ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტს ასახელებს, რომელიც დავით ბერძენიშვილის თანაპარტიელისთვის სრულიად მიუღებელია. **"მასში აპრიორად არის აღიარებული, რომ თითქმის ყველა ადამიანი დამნაშავეა,"** - ამტკიცებს ოთარ ზოიძე. მისივე თქმით, ასევე დაუშვებელია, რომ ეკონომიკის უზარმაზარ სექტორში (ენერგეტიკაში) ფასებს სახელმწიფო აწესებს და არეგულირებს.

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლისთვის, აგრეთვე, მიუღებელია მთავრობის მიერ 13 აპრილს მიღებული დადგენილება, რომლის თანახმადაც, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, გარკვეული დროის განმავლობაში, ქონების გასხვისება იკრძალება. ზოიძის შეფასებით, ეს დოკუმენტიც დღევანდელი მთავრობის სოციალისტურად აზროვნების ნიმუშია.

**"სწორედ თქვენ ეხმარებოდით იმ ხალხს ხელისუფლებაში მოსვლაში, ვისაც ახლა სოციალისტებს უწოდებთ,"** - რესპუბლიკელი ზოიძის პოზიციით გაოცებულია სემინარის მეორე მონაწილე გია არეშიძე, რომლის თქმითაც, დღევანდელი ხელისუფლების ბევრი ნაბიჯი სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს, არაკანონიერი.

ასეთი ქმედებების ნიმუშად არეშიძე ასახელებს კორუმპირებული მოხელეების იძულებას, ნაძარცვი ფული სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანონ, აგრეთვე, ასლან აბაშიძის ქონების აუქციონზე გატანას...

დღევანდელი ხელისუფლების შეფასებისას შედარებით ზომიერი მიდგომით გამოირჩევა კაპიტალიზმის კიდევ ერთი აპოლოგეტი გურამ ბერიშვილი. მისი განცხადებით, დღევანდელ მთავრობაში არის ორი მინისტრი, ვინც იცის, რა უნდა აკეთოს. ასეთ პერსონებად ბერიშვილი სალომე ზურაბიშვილსა და კახა ბენდუქიძეს მიიჩნევს.

**"მათ რიგებს კიდევ ერთიც რომ შეემატოს, თუნდაც - ფინანსთა მინისტრი, ქვეყნის საქმე უკეთ წავა,"** - "საქმის კეთების მცოდნეთა" წრის გაფართოებაზე ოცნებობს გურამ ბერიშვილი.

რაც შეეხება კაპიტალიზმის სიკეთის შესახებ გუშინდელ სემანარზე გახმოვანებულ თეორიულ მოსაზრებებს, ისინი საკმაოდ მრავლად იყო. თუმცა, განსხვავებული აზრიც გაისმა, ეტყობა, "ქართველების განსაკუთრებულობის" იდეით ნასაზრდოები.

**"გადაგვარებული ევროპული პოლიტიკური მოდელების გზით სიარული არ გვინდა, რადგან ისინი უკვე ეროზიას განიცდიან,"** - ეს პრეტენზიული "თეორია" კაპიტალიზმის "ფანკლუბის" წევრებმა უპასუხოდ დატოვეს.

*გიორგი ასანიშვილი*

## საგზაო პოლიციაში რეორგანიზაცია იწყება

ივლისიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციაში სერიოზული რეორგანიზაცია დაიწყება. როგორც საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ვასილ მარგალიტაძემ განაცხადა, აღნიშნული რეორგანიზაციის მიხედვით გათვალისწინებულია შტატების შემცირება, რაც, პირველ რიგში, საპენსიო ასაკის პირებს შეეხებათ. თანამშრომელთა შერჩევა კი ხელახალი ტესტირების საფუძველზე მოხდება.

ამასთან, გათვალისწინებულია საპატრულო პოლიციის შექმნა, რაც იმას ითვალისწინებს, რომ თბილისში საგზაო პოლიციის თანამშრომლები აღარ იქნებიან და როგორც მათ, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ფუნქციებს პატრული შეასრულებს. პატრულის თანამშრომლებისათვის გათვალისწინებულია 120-130 ავტომანქანის, შესაბამისი ტექნიკისა და ამუნიციის გამოყოფა. ისინი 24 საათის განმავლობაში იმორიგევებენ. აღნიშნული სამსახური არა საგზაო პოლიციას, არამედ პირდაპირ შს სამინისტროს დაექვემდებარება.

მთლიანობაში, საგზაო პოლიციის 2500 თანამშრომელი საპატრულო პოლიციის შექმნის შემდეგ, 1200-მდე შემცირდება. გათვალისწინებულია, აგრეთვე, რიგი სამსახურების საერთოდ გაუქმება და ზოგის გამსხვილება.

რაც შეეხება ამ პროცესის დასრულების ვადებს, როგორც საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი აღნიშნავს, ეს ჯერ განსაზღვრული არ არის და რეორგანიზაციის პროცესის საბოლოოდ სრულყოფამდე გარკვეული დრო იქნება საჭირო.

შს სამინისტროში დაგეგმილი რეორგანიზაციის თაობაზე მინისტრის შესაბამის განკარგულებას კი თანამშრომლები უახლოეს დღეებში გაეცნობიან. **პრაიმ-ნიუსი**

## ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამატებითი საგუშაგოები შეიქმნა

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებულ ქართულ საგუშაგოებზე რუსი და ოსი სამშვიდობოების ჩაყენების შემდეგ, კონტროლს ქართული მხარეც აძლიერებს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციამ გუშინ, გვიან ღამით, ქართული მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დამატებითი საგუშაგოები გახსნა. გუშინდლიდან კი კრიმინალისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ოპერაციების კიდევ უფრო გამკაცრება დაიგეგმა. სავარაუდოდ, გუშინვე, სამშვიდობო ძალების ქართულ ბატალიონში როტაცია დაიწყება.

"მას შემდეგ, რაც ქართულ პოსტებზე, ქართველი სამშვიდოებების გარდა, რუსი და ოსი დამკვირვებლებიც დადგნენ, კონფლიქტის ზონაში კონტროლის მხრივ ყურადღება აშკარად მოდუნდა. აქედან გამომდინარე, კონტროლს ჩვენ გავაძლიერებთ. ქართული მხარის კონტროლსდაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დამატებითი საგუშაგოები შეიქმნა, რაც, როგორც კონტრაბანდისტების, ასევე კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებით გააძლიერებს," - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა. **ინტერ-პრესი**

## ქისტაურის საქმის გამოძიება გრძელდება

საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ლევან ქისტაურის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ძიების დროს სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს, რომელიც გაარკვევს, რა ზიანი მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტმა. როგორც დაკავებულის ადვოკატმა იასონ ბესელიამ განაცხადა, მან გამოძიებას, თავის დროზე, საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო, მოგვიანებით კი, გამოძიება თავად მივიდა ამ დასკვნამდე. ადვოკატის განმარტებით, ქისტაურს წინასწარი სამთვიანი პატიმრობის ვადა 23 ივნისს ეწურება, ამიტომ პროკურატურა, სავარაუდოდ, ვადის გაგრძელების შუამდგომლობასაც შეიტანს სასამართლოში.

ბესელიას თქმით, ამ სამ თვეში უსასრულოდ გაჭიანურდა აქციზური მარკების სამსახურიდან საბუთების ამოღების პროცედურა, რისი მოგვარებაც ორ კვირაში იყო შესაძლებელი. რაც შეეხება ბიუჯეტისთვის შესაძლო ზარალის ანაზღაურებას, მისივე თქმით, ქისტაურს არც ეკუთვნის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და არც ამ რაოდენობის თანხის გადახდა შეუძლია.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე უკანონოდ გაცემულ აქციზურ მარკებს უკავშირდება. საქმე იმ პერიოდზეა აღძრული, როცა ლევან ქისტაური აქციზური მარკების სამსახურის უფროსი იყო. საქმე ბიუჯეტისთვის 900 ათასი ლარის ზიანის მიყენებას ეხება. **ინტერ-პრესი**

## საქართველოს პარიზის კლუბი საგარეო ვალებს გადაუვადებს

მომავალ კვირას პარიზის კლუბში საქართველოს 200 მილიონი დოლარის ოდენობის საგარეო ვალი რესტრუქტურიზების რეჟიმში მოექცევა. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე აცხადებს, რომ პარიზის კლუბი საქართველოს მთავრობის მიერ კრედიტორთა მიმართ 2007 წლამდე გასასტუმრებელი ვალების 18-20 წლიან მონაკვეთში რესტრუქტურიზაციას მხარს დაუჭერს. გოცირიძე ამის მტკიცების საფუძვლად 4 ივნისს, ვაშინგტონში საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მიიჩნევს, რომლის თანახმად, ფონდმა საქართველოს დახმარების პროგრამა აღუდგინა და სამი თვის განმავლობაში გამოსაყოფი 144 მილიონი აშშ დოლარიდან, 21 მილიონი დოლარი საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად 5 ივნისს უკვე გამოუგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

## სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფუნქციები გაიზრდება

ეკონომიკის სამინისტროში გამართულ კონფერენციაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფუნქციების საკანონმდებლო ბაზის შეცვლის შესახებ ახალი კანონპროექტი განიხილეს. ამ კანონპროექტზე პარლამენტი რამდენიმე დღეში იმსჯელებს. მისი ავტორების თქმით, ძველი კანონმდებლობა სათანადოდ გამჭვირვალე არ იყო, რაც ხელს უწყობდა კორუფციის წარმოქმნას. ახალ კანონპროექტს სპეციალისტები წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ, რადგან იგი აძლიერებს კანონმდებლობას და გავრცელდება არა მარტო სამთავრობო დაწესებულებებზე, არამედ იმ საწარმოებზეც, სადაც სახელმწიფო წილი 50 პროცენტზე მეტია. **მედია-ნიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე დარწმუნებულია, რომ საქართველოს იურისდიქცია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ახლო მომავალში აღდგება. რაც შეეხება მომავალ სტატუსს, თარგამაძის თქმით, ამ ეტაპზე სტატუსის განსაზღვრას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. **"რას დაარქმევენ, ე.წ. სამხრეთ ოსეთს თუ სამაჩაბლოს, ამას ადგილობრივი მოსახლეობა თავად გადაწყვეტს. ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ბედიც,"** - აღნიშნა პარლამენტარმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ცხინვალი**. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართულ ბატალიონში როტაცია დაიწყო. კომანდოს ბატალიონის ასეულს, რომელიც კონფლიქტის ზონაში ბოლო ექვსი თვე მსახურობდა, შინაგანი ჯარის ქვედანაყოფი შეცვლის. ერთი ასეული სოფელ ქურთაში მდებარე ქართულ საგუშაგოზე 6 ივნისს განლაგდება. კიდევ ორი ქართული, ერედვისა და კოდას საგუშაგოები კი ამ დღეებში შეივსება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ინიციატივით, ხვალ საქართველოს პარლამენტში ევროკომისიის წარმომადგენლების მონაწილეობით სემინარი გაიმართება. სემინარზე ევროკავშირში შემავალ ინსტიტუტებზე, ევროსტრუქტურების მიერ შემუშავებულ დახმარების საშუალებებზე და ევროკავშირის მომავალ ინიციატივებზე ისაუბრებენ. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის თქმით, სემინარს საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელიც დაესწრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისი-ცხინვალის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც შპს "საქართველოს რკინიგზამ" 3 ივნისს დაიწყო, ოსური მხარის წინააღმდეგობის გამო შეჩერდა. სოფელ ნიქოზთან ოსურმა შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლებმა ქართველი რკინიგზელები აიძულეს, მუშაობა შეეწყვიტათ. .**მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** "ჩვენი აჭარის" მისია ამოწურულია, ამ ორგანიზაციაში რამდენიმე ოპოზიციური პარტია ასლან აბაშიძის რეჟიმის დასამარცხებლად გაერთიანდა. ორგანიზაციამ მიზანს მიაღწია, ასლან აბაშიძე გადადგა. დღეიდან კი "ჩვენი აჭარა" პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსით გააგრძელებს ფუნქციონირებას, - განაცხადა კობა ხაბაზმა. ორგანიზაციის აქტივისტებისგან შექმნილია 13-კაციანი გამგეობა, რომელიც საარჩევნო პარტიულ და მაჟორიტარ დეპუტატთა სიაზე მუშაობს**. ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. უშიშროების მინისტრის მოადგილეს გიგი უგულავას მიაჩნია, რომ **"ქვეყნის ძალოვან სამინისტროებში მომხდარი ცვლილებები სახელმწიფოს ინტერესებში შედის და ამჟამად ყველა თანამდებობაზე სწორედ ის პირები დაინიშნენ, რომლებიც უკეთ გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას". ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 7-8 ივნისს საქართველოში გაიმართება საქართველო-რუსეთის უწყებათშორისი ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც პანკისის ხეობაში მცხოვრები, ჩეჩნეთიდან ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ. სამუშაო ჯგუფი 8 ივნისს პანკისის ხეობაში ჩასვლასა და ჩეჩნეთიდან ლტოლვილებთან შეხვედრას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი მიესალმება გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნის გადაწყვეტილებას. შსს-ში საჭირო იყო **"კიდევ უფრო "მგელი და ჯმუხი" პიროვნების დანიშვნა, ირაკლი ოქრუაშვილი კი ამ სისტემისთვის ზედგამოჭრილია,"** - განაცხადა ბერძენიშვილმა. მისი თქმით, მთავრობის მიმართ ხელახალი ნდობის საკითხს პარლამენტი მხარს დაუჭერს. **პრაიმ-ნიუსი**

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია

"საქნავთობი"

**აცხადებს ღია კონკურსს კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად**

კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- უმაღლესი განათლება საინჟინრო, საფინანსო, ეკონომიკურ, ბიზნესის მართვის ან ბიზნესის სამართლის დარგში;
- გამოცდილება საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მართვაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება, ავტობიოგრაფიული მონაცემები, განათლების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, მოტივაცია საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად (არაუმეტეს 2 გვერდისა).

საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2004 წლის 30 ივნისი, 16:00 სთ.**
მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. No 65, "საქნავთობი", მე-4 სართ. სამეთვალყურეო საბჭოს ოფისი. ტელ: 33-53-94; 33-34-90; ფაქსი: 33-51-43; e-mail: saknavtobi@gol.ge
კონკურსის დასკვნით ეტაპზე დაშვებულმა კანდიდატებმა ა.წ. 15 ივლისამდე დამატებით უნდა წარმოადგინონ 3 სარეკომენდაციო წერილი ვაკანტური თანამდებობისთვის მათი შესატყვისობის დასაბუთებით და გაიარონ გასაუბრება საკონკურსო კომისიაში.

*ს.ს. "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭო*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, გიორგი ბერიაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

*ძირითადი ტენდენცია*

# ცხინვალის ბარიერი

პირველი გვერდიდან

ამჟამად ვითარება ძირეულად შეიცვალა: საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ პრობლემათა გადაწყვეტის საშუალებად ქვეყნის ფედერალიზაცია მიაჩნია. ამ შინაარსის განცხადება პრეზიდენტმა სამხედრო აღლუმზე გააკეთა. იგულისხმებოდა, რომ "ფედერალიზაცია" უკანასკნელი ზღუდეა, რომლის მიღმა ქვეყანა არ დაიხევს და დანაწევრებას არ შეურიგდება. "სტატუს-კვოს" შენარჩუნების მოსურნეთათვის (როგორც მოსკოვში, ასევე სეპარატისტულ რეგიონებში) ეს საკმაოდ სერიოზული სიგნალია.

რაც შეეხება კონკრეტულ ტექნოლოგიას, ამჯერად ლეგიტიმურ "კაზუს ბელიდ" გამოიყენება კონტრაბანდის თემა, რაც საკმაოდ ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს. ის, რომ "ცხინვალი არ არის ბათუმი" და "სამხრეთ ოსეთი არ არის აჭარა", - სწორედ განსხვავებული ტექნოლოგიის შერჩევას მოითხოვდა.

თუ აჭარის შემთხვევაში ეს იყო "ადამიანის უფლებები" და იმ უპირატესობით სარგებლობა, რასაც აჭარისა და დანარჩენი საქართველოს საზოგადოების იდენტურობა (საზოგადოებრივ ფასეულობათა ერთიანობა) განაპირობებდა, ცხინვალთან მიმართებაში, მთავარი არგუმენტი კონტრაბანდასთან ბრძოლა იქნება, რაც ერთი მხრივ რეგიონში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გავლენისა და კონტროლის ხარისხის გაძლიერებას გულისხმობს, მეორე მხრივ კი, სავსებით ლეგიტიმურ მისწრაფებად აღიქმება და არ უტოვებს დამაჯერებელ არგუმენტებს ანტიქართულ ძალებს მოსკოვში, რომლებიც ყოველგვარი კომპრომისის წინააღმდეგნი არიან.

რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეს (ამ შემთხვევაში სეპარატისტებსა და მოსკოველ "შეურიგებლებს") მაინც საკმაოდ ძლიერი ბერკეტები რჩებათ საქართველოს გეგმათა ჩასაშლელად. ისინი არასდროს ნებით არ დაეთანხმებიან, მაგალითად, თუნდაც ერთობლივი საბაჟო პუნქტის გახსნას როკის გვირაბთან, რაკი შესანიშნავად უწყიან, რომ ჩვენში დამკვიდრებული გამარტივებული აზრის მიუხედავად, სინამდვილეში, ყბადაღებული "ერგნეთის ბაზრობა" და, მთლიანად, სამხრეთ ოსეთიდან მომდინარე კონტრაბანდა, ძალიან სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ეკონომიკის განვითარებისათვის. მათ კი სულაც არ აძლევთ ხელს ამ ფაქტორის მოსპობა.

ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ფრიად ნიშანდობლივი და საინტერესო ფაქტი: რამდენიმე წლის წინ რუსეთმა ერთი შეხედვით უცნაური გადაწყვეტილება მიიღო - მან აკრძალა ვაშლისა და სხვა ხილის შეტანა საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე, ლარსის საგუშაგოს გავლით, ესე იგი საქართველოს სამხედრო გზით. ერთადერთ გზად ცენტრალური საქართველოდან ისევ და ისევ ცხინვალი და როკის გვირაბი რჩებოდა. ამით რუსულ-ოსურ ტანდემს სურდა, თბილისი დამოკიდებული ყოფილიყო ცხინვალზე, რათა ერგნეთის ბაზრობის გაუქმების ან მისი მუშაობის შეფერხების შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანას პრობლემები მომრავლებოდა. ნუ დავივიწყებთ, რომ იმავე "კონტრაბანდული დერეფნით" პროდუქცია საპირისპირო მიმართულებითაც მოძრაობდა. მაშასადამე, ერგნეთის ბაზრობის დახურვა გულისხმობს საქართველოდან რუსეთში საექსპორტო ერთადერთი გზის გადაკეტვასაც. მაგრამ თუ სტატუს-ქვოს არ ვურიგდებით, მაშინ ეს დანაკარგი აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ. სხვაგვარად შეუძლებელია: ამა თუ იმ ჯგუფთა ინტერესები ამ პროცესში უეჭველად შეილახება, რაკი 10 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული სტატუს-ქვოს შენარჩუნებაში არა მხოლოდ ოსური და რუსული მხარეები იყვნენ დაინტერესებულნი, არამედ საკმაოდ გავლენიანი ჯგუფები ქართულ სოციუმშიც. მათ ძლიერი ლობისტური ჯგუფები ჰყავთ, რომელთა აქტიურობის მოწმენი უახლოეს მომავალში გავხდებით, თუკი ხელისუფლებამ კიდევ უფრო რთული ნაბიჯი გადადგა და აღურიცხავი პროდუქციის კონტრაბანდასთან გათანაბრება გაბედა.

ადრე თუ გვიან ეს ნაბიჯი გარდაუვალი იქნება, რადგან სხვაგვარად ვერავითარი "ბლოკ-პოსტები" და საგუშაგოები შიდა-ქართლის არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან წამოსული პროდუქციის ნიაღვარს ვერ შეაჩერებს.



"საქართველო მზად არის, სამხრეთელ ოსებს მიაკუთვნოს სუვერენიტეტის იგივე ხარისხი, რაც ჩრდილოელ ოსებს აქვთ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში".

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ამჟამინდელი კანონმდებლობით კი, პოლიციას უფლება აქვს, მხოლოდ მიზერული ჯარიმა გადაახდევინოს ფაქტობრივად კონტრაბანდული პროდუქციის შემომტანს. სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი უშუალოდ მძღოლს ეკუთვნის. თუმცა, ერგნეთით წლების განმავლობაში "დაინტერესებულმა" საქმოსნებმა ჭკუა იხმარეს და მინდობილობით აფორმებენ ავტომანქანას, რის შემდეგაც მისი კონფისკაცია შეუძლებელი ხდება.

ცხინვალში და მის გარშემო მიმდინარე მოვლენების დროს, საქართველომ პირველად, მრავალი წლის განმავლობაში, მოიგო საინფორმაციო ომი. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ რუსული მედიის კეთილგანწყობის იმედი იმთავითვე არ უნდა გვქონოდა. ამაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მიზანმიმართულმა ტაქტიკამ და სარისკო, თუმცა მეტად ეფექტურმა ღონისძიებებმა, რომელთა შორის, უპირველესად, უნდა დავასახელოთ პირველი ლედის "ჰუმანიტარული დემარში" ცხინვალის შემოგარენში, რამაც სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა ჩლუნგი შეურიგებლობა დაადასტურა. ამრიგად, მათთვის მეტად წამგებიანი იყო.

მიუხედავად ამისა, ცხინვალში იოლი და სწრაფი წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს. ოსური ფენომენი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა კავკასიის რეგიონში და ამ ბერკეტს მოსკოვი იოლად არ დათმობს. სეპარატისტულ რეჟიმს კი (რაოდენ უკმაყოფილოც არ უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი მისი მმართველობით) კიდევ საკმაოდ დიდი რესურსი აქვს ანტიქართულ და ეთნონაციონალისტურ გრძნობებზე აპელირებისათვის.

თანაც, მივაქციოთ ყურადღება, რომ აჭარის ელიტისაგან განსხვავებით, რომელიც საბედნიეროდ(!) ვერ მიხვდა ხელისუფლების შეცვლით სოციალური უკმაყოფილების "ორთქლის გამოშვების" აუცილებლობას და აბაშიძეთა ოჯახურ კლანს გადააყოლა თავისი ინტერესები, - სამხრეთ ოსეთის რეგიონული ელიტა, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, ბევრად გონიერი აღმოჩნდა: ედუარდ კოკოითი უკვე მესამე პრეზიდენტია, ხოლო "სამხრეთ ოსეთში" ნამდვილად მოქმედებს ხელისუფლებათა ცვლის მექანიზმი. თუმცა, ყველა ეს ხელისუფლება, რასაკვირველია, ერთგვაროვნად ანტიქართულადაა განწყობილი და ხოლო მისი "მორჯულება" ერთობ რთული ამოცანა იქნება.

პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელი ფაქტორების გასაძლიერებლად თბილისს დასჭირდება გააქტიუროს უშუალოდ მოსახლეობასთან თანამშრომლობის ამჟამინდელი, საკმაოდ გონივრული ტაქტიკა.

ვგულისხმობთ ოსური მოსახლეობისთვის მატერიალური დახმარების სხვადასხვა ფორმას: სასუქების დარიგება მხოლოდ ერთი მათგანია. ამ მხრივ საქართველოს (ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად) საკმაოდ ბევრი შეუძლია გააკეთოს. გარდა ამისა, ჩვენ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ სამხრეთელი ოსები ვერასდროს იგუებენ სრულფასოვან საზღვარს ჩრდილოეთ ოსეთთან (უფრო მეტად ვიდრე "რუსეთთან"). ამდენად, ქართული პროპაგანდის საფუძვლად მომავალში "საზღვრის გამჭვირვალობა" უნდა იქცეს.

მაგრამ საბოლოოდ, ამ რეგიონში რუსეთის პოზიციაზე და საქართველოსთან კომპრომისისათვის მის მზადყოფნაზე ბევრად მეტი იქნება დამოკიდებული, ვიდრე, მაგალითად, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტისას. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრის სტრატეგიად ჩამოყალიბებული "სტატუს–კვოს" დარღვევას აირჩევს, მაგრამ იგი განხორციელდება საკმარისად ფრთხილად, რათა ახალი, დამღუპველი ომი და სისხლისღვრა არ გამოიწვიოს.

## კახა ბენდუქიძე: დაკარგული თაობის დაბრუნება

საქართველოს ახლადდანიშნული ეკონომიკის მინისტრი მრავალი თვალსაზრისით უნიკალური პიროვნებაა. იშვიათია ბიზნესმენი (მით უმეტეს ქართველი), რომელსაც თვით ყველაზე შოვინისტურად და შეურიგებლად განწყობილი რუსი პოლიტოლოგებიც კი (მაგალითად მიხაილ ლეონტიევი) პატივს სცემენ და სამაგალითოდ მიიჩნევენ.

ბენდუქიძე, ამ თვალსაზრისით, რუსეთშიც გარკვეული სტერეოტიპების დამანგრეველი ფიგურა იყო. მისი ბიზნესი ერთ-ერთ ყველაზე "პატიოსნად და გამჭვირვალედაა" მიჩნეული. თანაც, მეტად პრესტიჟულ დარგში – მანქანათმშენებლობაში, სადაც (მით უმეტეს რუსეთის პირობებში – მისი "წითელ დირექტორთა ლეგიონით") წარმატების მიღწევა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ნავთობის ბიზნესში ან, თუნდაც, საბანკო სფეროში.

გარდა ამისა, ბენდუქიძე (ეს შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას) რუსული ლიბერალიზმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ეწეოდა, ბენდუქიძე ბევრად უკეთ და წარმატებით იცავდა ლიბერალურ იდეას თვისებრივად (ისტორიულად) არალიბერალურ (ანტილიბერალურ) საზოგადოებაში, ვიდრე ირინა ხაკამადა ან ბორის ნემცოვი.

მას ყველა პატივს სცემს: მემარცხენეებიდან – მემარჯვენეებამდე, დერჟავნიკებიდან – ლიბერალური იმპერიალიზმის ადეპტებამდე.

ამასთან, კახა ბენდუქიძე ჩვენს თანამემამულეთა იმ თაობას განასახიერებს, რომელმაც საქართველოში ვერ მოახერხა თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლინება. მართალია, ბენდუქიძემ ბევრად ადრე დატოვა საქართველო (ჯერ კიდევ 70-იან წლებში), მაგრამ იგი მაინც შეიძლება ჩაითვალოს იმ ტალღის ერთ-ერთ წარმომადგენლად, რომელმაც სამშობლოში დაწყებული საშინელი ანარქიისა და ნგრევის გამო, რუსეთში არჩია მოღვაწეობის გაგრძელება.

ამავე მიზეზით, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველო ათეულობით ათასმა უნიჭიერესმა ადამიანმა დატოვა, რომელთა ნიჭი და ინტელექტი ქვეყანას ბევრ სიკეთესა და სარგებელს მოუტანდა.

ბენდუქიძემ უკვე ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია. მისი პროექტის არსი, ეკონომიკის სფეროში იქნება "პრაგმატულად პრორუსული ლიბერალიზმი." ანუ კრემლისაგან შედარებით დამოუკიდებელი კერძო რუსული კაპიტალის მოზიდვა საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგების განსავითარებლად. ამ პროცესში ახლადდანიშნული ეკონომიკის მინისტრი რაიმე სერიოზულ პოლიტიკურ წინააღმდეგობას ვერ ხედავს, რაკი, როგორც ჭეშმარიტ ლიბერალს, ღრმად სწამს, რომ "იმპერიალისტური ინვესტიცია" არ არსებობს და ნებისმიერი კერძო ინვესტიცია, თავისი არსით, ყოველთვის ლიბერალურია.

მეორე მხრივ, არანაკლებ საინტერესოა ქართული მხარის მოტივაცია.

კახა ბენდუქიძე მეტისმეტად ნიშანდობლივი (რუს, знаковая) ფიგურაა, რათა მისი მოწვევა კაბინეტში საერთო-პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი არ იყოს.

როგორც ჩანს, მინისტრთა კაბინეტი მართლაც გეგმავს ძალზე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარებას. მათ შორის, საგადასახადო სფეროში არც თუ პოპულარული, მაგრამ ყოვლად აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღებას და დიდი პრივატიზების დასრულებას.

ამ პროცესში ეკონომიკის მინისტრად ავტორიტეტული, გამოცდილი, ლიბერალური მსოფლმხედველობის მატარებელი მოღვაწის მოწვევა ერთობ გონებამახვილური სვლა ჩანს.

ნუ გვეგონება, თითქოს ეს ორი თემა (ცხინვალის გარშემო "პრესინგის" გაძლიერება და კახა ბენდუქიძის მოწვევა ეკონომიკის მინისტრად) ურთიერთდაკავშირებული არ არის.

ერთ-ერთმა ყველაზე ჭკვიანმა რუსმა ექსპერტმა ("ნეზავისიმაია გაზეტას" დამფუძნებელმა და ყოფილმა რედაქტორმა) ვიტალი ტრეტიაკოვმა, გასულ კვირას "როსიისკაია გაზეტას" ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნა, რომ მისი აზრით, სააკაშვილმა და ჟვანიამ ბენდუქიძის დანიშვნით ქართული პოლიტიკის საერთო პარადიგმა დაადასტურეს: "პოლიტიკა – ვაშინგტონს, ეკონომიკა – რუსეთს".

რა თქმა უნდა, მემარცხენე და დერჟავნიკული იდეების მატარებელი ტრეტიაკოვი აქ აშკარა უტრირებას მიმართავს და სასურველს – რეალობად ასაღებს, მაგრამ მთავარში ის არ ცდება: "ახალი თბილისი" ცდილობს მოსკოვთან სტრატეგიული თანამშრომლობის "მოდუს – ვივენდის" მიგნებას, რომელიც იგულისხმებს პოლიტიკურ გარანტიებს (მათ შორის ვაშინგტონისაგან) და (იმავდროულად) ეკონომიკური კოოპერაციის ხელსაყრელი მოდელის ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ლიბერალური სივრცის გაძლიერებას და გაფართოებას.

ამ სივრცემ უკვე მოიცვა აჭარა. მომავალში მან აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც უნდა მოიცვას, რაც ბევრად უფრო რეალისტური და მიზანშეწონილია, ვიდრე "ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად" მორიგი სამხედრო ავანტიურის წამოწყება – სათანადო პირობების არარსებობისას წინასწარ გადაწყვეტილი და განსაზღვრული სავალალო შედეგით.

# ცვლილებები მინისტრთა კაბინეტში

ლელა მჭედლიძე

ჯერ კიდევ ზუსტად არავინ იცის, რამდენად შეიცვლება მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა, უფრო ზუსტად კი, მისი კონფიგურაცია იმ პერიოდისთვის (სავარაუდოდ, 7 ივნისისთვის), როცა პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე აღმასრულებელი ხელისუფლების ნდობის საკითხს დასვამს. მინისტრთა კაბინეტის სავარაუდო, "გადახალისებული" შემადგენლობა უკვე ცნობილია. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას განცხადებით, თავდაცვის მინისტრის პოსტს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე დაიკავებს. გელა ბეჟუაშვილი უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე გადაინაცვლებს. უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი უშიშროების სამინისტროს ჩაუდგება სათავეში, უშიშროების მინისტრ ზურაბ ადეიშვილს გენერალურ პროკურატურას ჩააბარებენ, გენერალურ პროკურორს ირაკლი ოქრუაშვილს კი შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს მიანდობენ...

მიუხედავად პრემიერ-მინისტრის განმარტებისა - მინისტრთა კაბინეტში ამგვარი გადანაცვლებები იმისთვის დაიგეგმა, რომ თანამდებობას თითოეული უკვე თავისი ხასიათისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე უკეთ მორგებოდა - პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილისთვის ეს პერეტრუბაციები მაინც დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. უფრო მეტად იმ თვალსაზრისით, თუ რატომ დარჩნენ ძველი სახეები განახლებულ მინისტრთა კაბინეტში და კონკრეტულად ვისთვის ჩაითვლება ეს დაწინაურებად ან, პირიქით, ჩამოქვეითებად.

**"თავდაცვის სამინისტროში გიორგი ბარამიძის გადაყვანა რომც იგეგმებოდეს, მე ამას დაწინაურებას დავარქმევდი და არა მის თავიდან მოცილებას. მით უფრო ახლა, როცა თავდაცვის სფერო სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული,"** – მიხეილ სააკაშვილმა ეს სულ ცოტა ხნის წინ, თავის ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა, როცა ხმებმა მოსალოდნელი გადანაცვლებების თაობაზე ჟურნალისტებამდეც მიაღწია. ამასთან, პრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საგზაო პოლიციელებისადმი მისი საქვეყნოდ ცნობილი უკმაყოფილების მიუხედავად, პირადად შს მინისტრ გიორგი ბარამიძისადმი პრეტენზიები არ აქვს. პირიქით, "ბარამიძე თავის თანამდებობაზე მუხლჩაუხრელად მუშაობს". ბარამიძის გარდა, სააკაშვილს არც სხვების ამაგის დაფასება ავიწყდებოდა, უშიშროების საბჭოს მდივნის ვანო მერაბიშვილის, გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის, უშიშროების მინისტრის ზურაბ ადეიშვილის...

საპარლამენტო უმრავლესობიდან გვერდზე გამდგარი კობა დავითაშვილი კი აცხადებს, რომ მას მინისტრთა კაბინეტის და, კონკრეტულად, ძალოვან მინისტრთა ცვლილებაზე **"საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვები აქვს".** თუ კონკრეტულად რას ემყარება მისი ეჭვები, დავითაშვილი არ აკონკრეტებს. როგორც აცხადებს, განმარტებების მიცემა მას პოსტ-ფაქტუმ, კაბინეტის წევრთა წარმოდგენის შემდეგ მიაჩნია საჭიროდ. თითქმის იგივე პოზიცია აქვს "რესპუბლიკელ" ივლიანე ხაინდრავასაც, რომელიც უკვე გამოცხადებულ სიაში ცვლილებებს არ გამორიცხავს, მაგრამ საუბარს მაინც პოსტ-ფაქტუმ ამჯობინებს.

**"თუნდაც ერთი მათგანი რომ გაეშვათ თანამდებობიდან, მაშინ შეიძლებოდა იმის დასკვნა, რომ ვიღაც თანამდებობას ვერ გაუმკლავდა. ახლა ძნელია იმაზე ლაპარაკი და განსაზღვრა, თუ რა ხდება. ერთადერთი იმის ვარაუდი შემიძლია, რომ ვანო მერაბიშვილი დააქვეითეს. მერაბიშვილი, თავისი ფუნქციით, რამდენიმე უწყების კურატორი იყო, ახლა კი მას მხოლოდ ერთი უწყების ხელმძღვანელობა მოუწევს,"** - ასეთი ვარაუდი აქვს "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" წევრს ფიქრია ჩიხრაძეს, რომელიც მთელი თავისი ფრაქციის განწყობას გადმოგვცემს. "მრეწველ-ახლების" ინფორმაციით, მერაბიშვილის ახალ თანამდებობაზე გადანაცვლების შესახებ საუბრები გიორგი კენჭაძესთან დაკავშირებული ხმაურიანი საქმის შემდეგ დაიწყო.

ფიქრია ჩიხრაძემ სამთავრობო მოსალოდნელი გადანაცვლების თაობაზე საინფორმაციო საშუალებებით შეიტყო. იმის გათვალისწინებით, რომ იგი "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელია და არა მმართველი პარტიის, უცნაური ამაში არც არაფერია. თუმცა, დაახლოებით იგივე მდგომარეობაშია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" ფრაქციის თავმჯდომარე მაია ნადირაძეც.

**"ზუსტად ვერ გეტყვით, თუ რა მოტივით არიან ისინი ამ თანამდებობებზე გადანაცვლებულები. მაგრამ, ნებისმიერი ადამიანი თავის შესაძლებლობებს, ალბათ, სხვადასხვა თანამდებობებზე სხვადასხვანაირად ამჟღავნებს. პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ჩათვალეს, რომ ამ ხალხის უნარ-ჩვევები ამა თუ იმ თანამდებობებზე უფრო გამოსადეგი იქნებოდა."** საკითხს, თუ რატომ არ აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად საქმის კურსში მოსალოდნელ გადანაცვლებებთან დაკავშირებით ფრაქციის თავმჯდომარე, ან კიდევ რა სიურპრიზს უნდა ველოდოთ აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ამ კუთხით, ნადირაძე ასე განმარტავს: **"ახალი კონსტიტუციით, მომავალი ცვლილებები მთავრობაში პარლამენტს ნაკლებად ეხება, თანაც პარლამენტში ძალზე ბევრი საქმეა იმისათვის, რომ ამ ცვლილებებით დავინტერესდე. არასოდეს ვინტერესდები იმ საკითხებით, რის შესახებაც თავად არ მეუბნებიან, რადგან ჩემი ინტერესი არაჯანსაღად შეიძლება იქნეს აღქმული.**

**ალბათ, ყველაფერი გასაგები იქნება, როცა პრეზიდენტი მთავრობის ნდობის საკითხით წარდგება პარლამენტის წინაშე და კონკრეტულ არგუმენტებს მოვისმენთ. არ ვაპირებ გამოვიცნო, თუ რა სიურპრიზს გვიმზადებენ პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი. ისე, არა მგონია, რომ ამ შემადგენლობით მთავრობის დამტკიცება პრობლემა გახდეს."**

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გიგა ბოკერიას აზრით კი:

**"საერთოდ, როტაცია გარკვეულწილად დადებითი პროცესია, რადგან მუდმივ ფორმაში ამყოფებს იმ პიროვნებებს, რომლებზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ჩათვალეს, რომ კონფიგურაცია ამ სახით უფრო კარგად იმუშავებს იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც დღეისათვის დადგა სახელმწიფოს წინაშე."**

ეს პარლამენტის წევრთა ოფიციალური განცხადებებია, სხვათა არაოფიციალური საუბრებიდან გამომდინარე კი, ვითარება ასეთია: თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გია ბარამიძე თავს უფრო კომფორტულად თავდაცვის მინისტრის "კანში" იგრძნობს. ირაკლი ოქრუაშვილმა გენერალური პროკურორის პოსტზე თავისი შეუდარებლობა კი დაამტკიცა, მაგრამ სწორედ ამიტომ სერიოზული რეფორმების ჩასატარებლად იგი შედარებით "ჩამორჩენილ უბანზე" გადაისროლეს. სამართლებრივი რეფორმების გატარება კი მართლაც საკმაო გამოცდილების მქონე ზურაბ ადეიშვილისთვის ჩაითვალა უპრიანად. გელა ბეჟუაშვილი უფრო შესაფერისი უშიშროების საბჭოს მდივნის "ანალიტიკური პროფილის" თანამდებობაზე იქნება. ერთგული კაცი კი, ვანო მერაბიშვილის სახით, უშიშროების სამინისტროშიც გამოდგება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა საქართველოსთვის პრიორიტეტულ ამოცანად იქცა. 24 მაისიდან გაზეთი "24 საათი" გთავაზობთ ყოველკვირეულ გამოცემას "24 საათი სამხედრო".

იკითხეთ ორშაბათობით




სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს **უფროსი მკვლევარი-ანალიტიკოსის (სამართლებრივ საკითხებში)** თანამდებობის დასაკავებლად.
ანაზღაურება კონკურენტულია. საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 18 ივნისი.
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ სათანადო განცხადებას ვებ-გვერდზე: www.jobs.ge
საკონტაქტო პირი: გია ქინქლაძე: 307708; 899530899.
giakink@cerma.ge

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეს თბილისში კავკასიაში პირველი საბანკო-საფინანსო სექტორის გამოფენა-ფორუმი "ფინანს-ექსპო 2004" გაიხსნება. სამი დღის განმავლობაში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ სექტორში მოღვაწე საბანკო-საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას გაეცნონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომერციული ბანკებისთვის ლარებში დეპოზიტების მოზიდვა და აქტიური ოპერაციების წარმოება გაიაფდება. საქართველოს ეროვნული ბანკი უახლოეს მომავალში მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმის ცვლილებას გეგმავს. ამ ეტაპზე გათვალისწინებულია ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრების მიმართ ნორმის შემცირება 9-დან 4 პროცენტამდე, რითაც ლარით ფინანსური შუამავლობის წახალისება მოხდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საბაჟო გაფორმების ადგილებზე ელექტრონული პროგრამა „ასიკუდას“ დამონტაჟება დაიწყო. ერთიან ელექტრონულ ქსელში, თავდაპირველად, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ადლიაში მდებარე საბაჟო ტერმინალში განთავსებული საბაჟო გაფორმების განყოფილება ჩაირთვება. აღნიშნული პროგრამა თითქმის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს, რომლითაც შესაძლებელია საბაჟო გაფორმების პროცედურა ცენტრალური ოფისიდან „ონლაინ“ რეჟიმში გაკონტროლდეს. **მედია-ნიუსი**

# ნოღაიდელი შედეგებით უკმაყოფილოა

## საგადასახადო ინსპექციებში საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი

დიანა ჩაჩუა

*ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა იანვარ-მაისის საგადასახადო შემოსავლების გეგმა 38 მილიონი ლარის გადაჭარბებით შეასრულა, რაც 120 მილიონი ლარით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდში ბიუჯეტში მობილიზებულ თანხებთან შედარებით. თუმცა, მიუხედავად ასეთი შედეგისა, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მაინც უკმაყოფილოა.*

გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საგადასახადო დეპარტამენტში გაფართოებული თათბირი ჩაატარა და იანვარ-მაისში საგადასახადო გეგმის შესრულების მდგომარეობას გაეცნო. თათბირს, მინისტრის გარდა, საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლები და ტერიტორიული საგადასახადო ინსპექციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



*ზურაბ ნოღაიდელს გასათავისუფლებელი კადრების სია მზად აქვს.*

გოგიტა ბახაიძის ფოტო

როგორც თათბირის მიმდინარეობისას გაირკვა, მინისტრის უკმაყოფილების მიზეზი ქვეყნის რეგიონების მიერ მათთვის დაკისრებული საგადასახადო გეგმის ვერშესრულება გახდა. გეგმა ვერ შეასრულეს შემდეგმა ქალაქებმა - ახმეტამ, სიღნაღმა, თელავმა, გურჯაანმა, ყვარელმა, ბაღდათმა, წყალტუბომ, ზესტაფონმა, ადიგენმა, ასპინძამ, ახალქალაქმა, დუშეთმა, ხაშურმა, ქარელმა, ყაზბეგმა და ცაგერმა. რაც შეეხება თბილისს, აქ გეგმა გლდანი-ნაძალადევის და მთაწმინდა-კრწანისის რაიონებმა ვერ შესრულეს. **"საერთო ჯამში, ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ის, რაც ახლა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ხდება, უბრალოდ, შემაშფოთებელია,"** - განაცხადა მინისტრმა.

როგორც ნოღაიდელმა თათბირზე განაცხადა, იგი ვერ შეეგუება აღნიშნულ სიტუაციას და ამის აღმოსაფხვრელად საკადრო და სტრუქტურულ ცვლილებებსაც კი გაატარებს. მან საგადასახადო ინსპექციების ხელმძღვანელებს გეგმის შეუსრულებლობის რეალური მიზეზების წარმოდგენის ვადა სამშაბათამდე მისცა და აღუთქვა, რომ **"თუ ისინი მათ რეგიონში გეგმის ჩავარდნის რეალურ მიზეზებს სამშაბათამდე არ წარმოადგენენ, დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლდებიან."**

ამასთან, თათბირის დასრულებისთანავე ნოღაიდელს უკვე გააჩნდა საგადასახადო ინსპექციების გასათავისუფლებელი ხელმძღვანელების სავარაუდო ვინაობა და რაოდენობა. **"სავარაუდოდ, 5-6 საკადრო ცვლილებას განვახორციელებ, მაგრამ მათ ვინაობას მომავალ კვირაში განვაცხადებ,"** - განაცხადა მინისტრმა.

დეპარტამენტში ივნისის მთავარ პრიორიტეტად აქციზის საკითხი დაასახელეს. თუმცა, დეპარტამენტისთვის ასევე პრიორიტეტულ თემად დარჩება სალარო აპარატების საკითხის მოგვარება.

თათბირზე ხაზი გაესვა ურჩი გადამხდელების ქონების აუქციონზე გაყიდვის მნიშვნელობას, განურჩევლად იმისა, თუ ვის ეკუთვნის იგი. როგორც დეპარტამენტში განაცხადეს, აუქციონზე გასაყიდი ობიექტების რაოდენობა ზუსტდება, თუმცა მათ შორის უკვე არის აღნიშნული "კასპიცემენტის", "მაუდის" და "თბოელექტროცენტრალის" კაპიტალი.

# თამბაქოს ბაზარზე კონტრაბანდამ პოზიციების დათმობა დაიწყო

## "საქართველოს თამბაქოს წარმოება"-ში ფინანსურ პოლიციას მომზადებულები დახვდნენ

სოფიკო ოხანაშვილი

*თამბაქოს ბაზარზე კონტრაბანდამ პოზიციების დათმობა დაიწყო. სიგარეტის ლეგალიზაციის მაჩვენებელი ძველ ნიშნულს (85 პროცენტი) უახლოვდება. ფინანსური უწყებები მიღწეული შედეგებით კმაყოფილები არიან. სიგარეტი "პირველის" მწარმოებელი ქარხანა "საქართველოს თამბაქოს წარმოება" დალუქვას გადაურჩა. ფინანსურმა პოლიციამ, ჯერჯერობით, უაქციზო სიგარეტი ვერ აღმოაჩინა. ფინანსური რეიდები სიგარეტის ბაზარზე კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება. საბოლოო დასკვნას ფინანსური პოლიცია ერთ კვირაში დადებს.*

დაახლოებით ორი კვირაა, საგადასახადო დეპარტამენტი, აქციზის გადამხდელთა ინსპექცია და ფინანსური პოლიცია სიგარეტის ბაზარზე კონტრაბანდული პროდუქციის ამოღებასა და, შესაბამისად, ბაზარზე აპრილის ბოლოს არსებული ლეგალიზაციის მაჩვენებლის (85 პროცენტი) მიღწევას ცდილობენ.

ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის დავით კეზერაშვილის თქმით, ფინანსურმა რეიდებმა შედეგი უკვე გამოიღო – ამოღებულია უაქციზო და უცხოურაქციზიანი სიგარეტის არაერთი ყუთი. ამ ეტაპზე კონტრაბანდის წილი საგრძნობლად შემცირდა და ლეგალიზაციის მაჩვენებელი რაც იყო, სავარაუდოდ, იმაზე მეტია. პროგნოზები ოპტიმისტურია. უფრო მეტიც, ფინანსურ პოლიციაში ვარაუდობენ, რომ კონტრაბანდის წილი კიდევ უფრო შემცირდება. არგუმენტი კი მარტივია - ერგნეთის ბაზარი გაუქმებულია.

ერგნეთის ბაზრობის გაუქმებით, ფინანსურ უწყებებში თამბაქოს (და არა მარტო) ბაზარზე კონტრაბანდის წილის შემცირებას გარდაუვლად მიიჩნევენ.

ბაზარზე მიღწეულ მდგომარეობას დადებითად აფასებს აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს ხელმძღვანელი კახა დამენიაც. მისი თქმით, მართალია, ახლა რთულია საუბარი იმაზე, თუ ზუსტად პროცენტულად რამდენით გაიზარდა ლეგალიზაციის მაჩვენებელი, მაგრამ ფაქტია, რომ კონტრაბანდის წილი საგრძნობლად შემცირდა. **"ფირმებს ბოლო დროს აქციზების უფრო მსხვილი პარტიები გააქვთ. ეს უკვე დადებითი შედეგია,"** - განაცხადა დამენიამ.

ახლა ფინანსური რეიდები და სიგარეტი "პირველის" მწარმოებელი "საქართველოს თამბაქოს წარმოების" ქარხნის შემოწმება კვლავ გრძელდება.

კეზერაშვილის თქმით, ფინანსურმა პოლიციამ ქარხანაში ამ ეტაპზე უაქციზო სიგარეტი ვერ აღმოაჩინა. ამჟამად ფინანსური პოლიცია სხვადასხვა მიმართულებით აწამოებს ქარხნის ინვენტარიზაციას და საბოლოო დასკვნა ერთ კვირაში იქნება მზად. უაქციზო სიგარეტის აღმოჩენის შემთხვევაში, ქარხანა "ომეგას" ბედს გაიზიარებდა.

შეგახსენებთ, რომ მაისში თამბაქოს ბაზარზე ლეგალიზაციის მასშტაბების საგრძნობლად შემცირების, სიგარეტის ბაზარზე კონტრაბანდის მასშტაბების ზრდისა და სავაჭრო ქსელში დიდი ოდენობით ადგილობრივი წარმოების უაქციზო სიგარეტი "პირველისა" და რუსულაქციზიანი იმპორტული სიგარეტის რეალიზაციის გამო შეშფოთებულმა ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და ფინანსური პოლიცია სიგარეტი "პირველის" მწარმოებელ ქარხანაში - "საქართველოს თამბაქოს წარმოება" - შესამოწმებლად დაუყოვნებლივ შევიდა. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ ფინანსური პოლიცია საეჭვოს ვერაფერს აღმოაჩენდა. მათი ვარაუდები გამართლდა. თუმცა, კეზერაშვილის განმარტებით, ქარხანაში ფინანსურ პოლიციას ძალიან მომზადებულები დახვდნენ.

მაისის ბოლოს გამართულ იმავე ბრიფინგზე ნოღაიდელმა თამბაქოს ბაზარზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და ამ ბაზარზე აპრილში არსებული მდგომარეობის აღსადგენად, საგადასახადო დეპარტამენტს, აქციზის გადამხდელთა ინსპექციასა და ფინანსურ პოლიციას შესაბამისი დავალებები და 10-დღიანი ვადა მისცა. ზურაბ ნოღაიდელმა ფინანსურ პოლიციას უახლოესი ათი დღის განმავლობაში ადგილობრივი სიგარეტის მწარმოებელთა და იმპორტიორთა შემოწმება დაავალა.

საგადასახადო დეპარტამენტისთვის, ფინანსური პოლიციისა და სხვა შესაბამისი უწყებებისთვის მიცემული ათდღიანი ვადა რამდენიმე დღის წინ დასრულდა. გარკვეული შედეგები სახეზეა, თუმცა ფინანსური უწყებები საბოლოო დასკვნებს ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ ერთ კვირაში ყველა ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე გააკეთებენ.



# ამერიკის გმირი

## რონალდ რეიგანი







*როდესაც მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, რეიგანის მეუღლემ და ყოფილმა პირველმა ლედიმ ნენსიმ უარი განაცხადა, საზოგადოებისათვის ქმრის მდგომარეობის დეტალები შეეტყობინებინა. მათ ერთად 52 წელიწადი გაატარეს.*

პირველი გვერდიდან

რონალდ (რონი) რეიგანი აშშ-ს დანარჩენი პრეზიდენტებისგან არა მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ სხვებზე დიდხანს იცოცხლა, არამედ საბჭოთა კავშირის დაშლა და "ცივი ომის" დასრულება სწორედ მისი დამსახურებაა.

ის 1911 წელს ილინოისის შტატში, ქალაქ ტამპიკოში დაიბადა. კოლეჯის დასრულების შემდეგ სამსახიობო კარიერაში სცადა ბედი და არცთუ უშედეგოდ. მასთან კონტრაქტი ჰოლივუდმა გააფორმა. თუმცა, მას რატომღაც მსახიობის ხვედრი არ მოეწონა და პოლიტიკაში ჩაერთო. 1966-1974 წლებში ის კალიფორნიის გუბერნატორად აირჩიეს. 1981 წელს კი რონი მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის მეორმოცე პრეზიდენტი გახდა. ოთხწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მას ამერიკელმა ხალხმა ხელმეორედ გამოუცხადა ნდობა. თეთრ სახლს რეიგანი 1989 წელს გამოემშვიდობა. ეს ის პერიოდია, როდესაც სსრკ-ს დაშლაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა. მთავარი საქმე გაკეთებული იყო. მართლაც, ორ წელიწადში წითელი იმპერია დაემხო, რაშიც ყველა ერთხმად აღიარებდა რეიგანის განუზომელ და შეუცვლელ როლს. საბჭოთა კავშირს "ბოროტების იმპერია" ხომ პირველად რონალდ რეიგანმა უწოდა. პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ რეიგანი ლოს-ანჯელესში თავის სახლში გადავიდა საცხოვრებლად. 1994 წელს კი მას ალცჰეიმერის დაავადება დაუდგინეს.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა რონალდ რეიგანის გარდაცვალების შესახებ პარიზში შეიტყო. **"ეს მთელი ამერიკისათვის ყველაზე სევდიანი დღეა. რეიგანმა თავისი სიდიადით ამერიკელთა პატივისცემა დაიმსახურა,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

რეიგანის გარდაცვალებამ ბუკინგემის სასახლის მწუხარებაც გამოიწვია. **"დედოფალი ელისაბედი რონალდ რეიგანის სიკვდილით ძალიან დამწუხრებულია,"** - განაცხადა ბუკინგემის სასახლის წარმომადგენელმა.

**"ის სამარადჟამოდ დარჩება იმ ხალხის გულებში, რომლებმაც თავისუფლება რეიგანის პოლიტიკის დამსახურებით მოიპოვეს,"** - განაცხადა დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ თეტჩერმა. **"პრეზიდენტი რეიგანი ჩემი უახლოესი პოლიტიკური მოკავშირე და პირადი მეგობარი იყო,"** - დასძინა "რკინის ლედიმ". მან რონალდ რეიგანს "ამერიკის გმირი" უწოდა.

ჯორჯ ბუში უფროსი: **"რონალდ რეიგანი ამერიკელებისათვის სამაგალითო პიროვნება იყო, მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდნენ თუ არა მას."**

მიხაილ გორბაჩოვი: **"ჩემთვის რეიგანი უდიდესი პრეზიდენტი იყო. საბჭოთა ხელმძღვანელობასთან მან შეძლო ურთულესი და უმნიშვნელოვანესი დიალოგის დაწყება."**

უნგრეთის ყოფილი პრემიერი ვიქტორ ორბანი: **"უნგრეთს და ევროპას მუდამ ემახსოვრება რეიგანის მხარდაჭერა და დახმარება ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მიმართ."**

# ხსოვნის დღე ნორმანდიაში

### ჯორჯ ბუში: "ამერიკა თავისი მეგობრებისათვის ამას კიდევ გააკეთებს"

1944 წლის 6 ივნისს ნორმანდიაში მოკავშირეთა ძალებმა დესანტი გადასხეს. მას შემდეგ 60 წელი გავიდა. აქამდე არნახული პომპეზურობით გუშინ საფრანგეთში სწორედ ეს თარიღი აღინიშნა.

სახელმწიფოთა ლიდერები და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები ნორმანდიაში, 60 წლის წინანდელი ბრძოლების ადგილებში მიაგებდნენ პატივს დაღუპულთა ხსოვნას. მაღალი რანგის სტუმართა შორის უამრავი ქვეყნის, მათ შორის - თავად საფრანგეთის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების პირველი პირები იყვნენ წარმოდგენილნი. წლევანდელი "დ" დღის აღსანიშნავად, საზეიმო ცერემონიალზე დასასწრებად, ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალი ქვეყნების პირველ პირებთან ერთად გერმანიის კანცლერიც კი იყო მიწვეული.

კანცლერი იმ ფაქტს, რომ მიწვევა მასაც გაუგზავნეს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამბობდა, რომ ამით გერმანიას ნაცისტური წარსულის შავი აჩრდილი ჩამოშორდა. **"ეს არ იყო გერმანიაზე გამარჯვება, ეს იყო გერმანიისათვის გამარჯვება,"** - ამბობს შრიოდერი. 10 წლის წინ, 50 წლისთავზე გერმანიის მაშინდელი კანცლერი ჰელმუტ კოლი არავის დაუპატიჟნია. კოლმა მაშინ განაცხადა, რომ უხერხულია ისეთ ფაქტის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მიღება, რომლის დროსაც მრავალი გერმანელი დაიღუპა. სხვათა შორის, ზოგიერთი ბრიტანელი ვეტერანი გერმანიის კანცლერის დაპატიჟების ახლაც წინააღმდეგი იყო. ხოლო, თანამემამულენი შრიოდერს იმას აყვედრიდნენ, რომ დაღუპულ ჯარისკაცთა საფლავების მონახულებისას, მან ავადსახსენებელი "ეს-ეს"-ის ოფიცრების სასაფლაოს გვერდი აუქცია და გერმანელებს პატივი არ მიაგო.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც პირველი რუსი მმართველია, რომელიც აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდა. ცივი ომის დროს და მის შემდგომ პერიოდშიც, რუსების დაპატიჟებაც "ავიწყდებოდათ" ხოლმე.

კოლევილის სასაფლაოზე აშშ-სა და საფრანგეთის პრეზიდენტები ერთად მივიდნენ. როგორც ჩანს, პრეზიდენტებმა ერაყის საკითხთან დაკავშირებული უთანხმოებანი გვერდზე გადადეს და გუშინ აცხადებდნენ, რომ თანამედროვე ლიდერებმა პატივი უნდა მიაგონ მათ ხსოვნას, ვინც ერთად იბრძოდა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მთელ მსოფლიოში. **"ამერიკა თავისი მეგობრებისათვის ამას კიდევ გააკეთებს,"** - აცხადებს ჯორჯ ბუში და ცდილობს გაფანტოს ეჭვები ევროპელ მოკავშირეებთან უთანხმოების არსებობის შესახებ. **"ჩვენი დიადი კავშირი ძლიერია და დღესაც საჭიროა,"** - ამბობს ბუში ვეტერანების წინაშე გამოსვლისას. ამგვარი პათოსი საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის გამოსვლაშიც ჩანდა – **"ჩვენი მეგობრობა დღემდე ურყევი რჩება – მტკიცე, მომთხოვნი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული. ამერიკა ჩვენი სამუდამო მოკავშირეა, და ეს კავშირი და ერთიანობა ისევე ძლიერია, როგორც მაშინ, როცა ყალიბდებოდა, იმ საშინელ დღეებში,"** - კვერს უკრავს თავის ამერიკელ კოლეგას პრეზიდენტი შირაკი.

წლევანდელი ზეიმი უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებითაც იყო გამორჩეული. მთელი რეგიონი არმიისა და პოლიციის შენაერთების მიერ იყო ბლოკირებული. სპეციალური ნებართვის გარეშე შემოსაზღვრულ ზონაში ვერავინ შევიდოდა. ნორმანდიის მისადგომებთან მოწმდებოდა თითოეული ავტომობილი. 20 ათასი სტუმრის უსაფრთხოებას, რომელთა შორის 17 ქვეყნის მეთაურია, 19 ათასი პოლიციელი და სამხედრო მოსამსახურე იცავდა. ფრანგი სპეცსამსახურის თანამშრომლების გარდა, ოპერაციაში მონაწილეობას ნორმანდიაში სპეციალურად ჩასული ამერიკელი სამხედროებიც იღებდნენ. წესრიგის დაცვას თვალყურს ადევნებდნენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც.

მიღებული იყო ზომები ყველა სახის თავდასხმის თავიდან ასაცილებად - იქნებოდა ეს ზღვიდან, ჰაერიდან თუ ხმელეთიდან. სანაპიროს 100-კილომეტრიან ზოლში "მიწა-ჰაერის" ტიპის რაკეტები განალაგეს. ცაში მუდმივად პატრულირებდა 80-მდე სამხედრო თვითმფრინავი, მათ შორის, "ავაკს"-ის ტიპის რადიოელექტრონული დაზვერვის თვითმფრინავები. მახლობელ სამხედრო ბაზებზე სრულ მზადყოფნაში იყვნენ მოყვანილი სამხედრო გამანადგურებლები და საბრძოლო შვეულმფრენები.

"დ" დღის აღსანიშნავი დღესასწაულის აპოგეა, რა თქმა უნდა, ჰაერში ბრიტანული ომისდროინდელი თვითმფრინავის გამოჩენა გახდა, რომელმაც სრუტის თავზე გადაიფრინა და დაღუპულთა პატივსაცემად მილიონი ალისფერი ყაყაჩო გადმოყარა.

# ერაყის ხელისუფლების ჩამოყალიბება დასრულდა

ლაშა გიორგიძე

გასულ კვირას ერაყის ისტორიაში ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა: პირველი, ჩამოყალიბდა ერაყის დროებითი მთავრობა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, ვიცე-პრეზიდენტებისა და 26 მინისტრის შემადგენლობით. მართალია, იგი არ არის ერაყელი ხალხის მიერ არჩეული, მაგრამ იმის წინაპირობას ქმნის, რომ უახლოეს მომავალში ერაყში არჩევნები ჩატარდეს. მეორე ფაქტი გახლდათ ის, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოში ერაყის შესახებ რეზოლუციის განახლებული პროექტის განხილვა დაიწყო, რაც ბევრ სადავო საკითხს განსაზღვრავს.

ახალ დროებით მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტზე იად ალავი დაინიშნა. ორი დღის წინ კი საბოლოოდ გაირკვა მთავრობის სრული სია. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: **"ეს ნაბიჯი მილიონობით ერაყელის ოცნების ახდენასთან კიდევ უფრო გვაახლოებს. ერაყელებს აბსოლუტურად თავისუფალი ერაყის ხილვა სურთ. ქვეყანას ეყოლება წარმომადგენლობითი მთავრობა, რომელიც მათ უფლებებს დაიცავს და მათ მოთხოვნილებებს გაითვალისწინებს."**

რაც შეეხება რეზოლუციის მიღებას, გაერო-ს უშიშროების საბჭოში აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მას, სავარაუდოდ, მალე დაამტკიცებენ. რეზოლუციის კანონპროექტში დროებითი მთავრობის უფლებებზეა საუბარი. დაპირისპირება არსებობს იმის შესახებ, თუ ვის დაქვემდებარებაში უნდა იყოს ერაყში დარჩენილი სამხედრო კონტინგენტი. უამრავი ცდის მიუხედავად, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის წინადადება უარყვეს, რომლის თანახმად, ნებისმიერი სამარი ოპერაციის შესასრულებლად ერაყის დროებითი მთავრობის სურვილი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა გუშინ გააკეთა განცხადება, რომ აშშ-სა და ერაყის ჯარებს სხვადასხვა მეთაურები ეყოლებათ. რამდენიმე კვირის წინ ატეხილი აჟიოტაჟი, აშშ-სა და კოალიციის ჯარების დაქვემდებარების შესახებ, თანდათან ჩაცხრა.

თავდაპირველად, ანგლო-ბრიტანულ რეზოლუციასთან დაკავშირებით, შესწორებები უშიშროების საბჭოს დანარჩენმა მუდმივმა წევრებმა - საფრანგეთმა, ჩინეთმა და რუსეთმა შეიტანეს. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მათ ერაყის ომით გამოწვეული უკმაყოფილება ჯერ არ განელებიათ. რეზოლუციის პროექტში მინიშნებულია, რომ კოალიციის ჯარების ყოფნის მანდატი ერაყში მაშინ დასრულდება, როდესაც "ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები დასრულებულ სახეს მიიღებს." ეს, სავარაუდოდ, 2005 წელს მოხდება, როდესაც ერაყელი ხალხი საკუთარ ხელისუფლებას თავად აირჩევს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადა, რომ რეზოლუციის ტექსტის დასახვეწად კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო, რათა მასში ზუსტად დაფიქსირდეს, რომ ერაყის მთავრობა სრულიად დამოუკიდებელი იქნება, განსაკუთრებით - სამხედრო საკითხებში. საფრანგეთის პოზიციას აბსოლუტურად იზიარებენ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ვეტოს უფლებით აღჭურვილი წევრები - რუსეთი და ჩინეთი. რეზოლუციის მიხედვით, აშშ-ს ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული კოალიციის ჯარებს უფლება ექნებათ, ქვეყანაში უსაფრთხოების დასაცავად ნებისმიერი ზომა მიიღონ, მაგრამ - მხოლოდ ერაყის ახალი მთავრობის არჩევნებამდე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოალიციის ჯარების მანდატის დასრულება და ამ ჯარების გაყვანა კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიიდან ერთსა და იგივეს სულაც არ ნიშნავს. ადგილობრივი მთავრობების მოთხოვნით, აშშ-ს საჯარისო შენაერთები დღესაც დგანან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, ისე, რომ მათ გაერო-ს არანაირი მანდატი არ სჭირდებათ.

ჩინეთის ელჩმა გაერო-ში ვან გუანგიამ პრეტენზია გამოთქვა იმის შესახებ, რომ "მთავრობის სრული უფლებამოსილების აღდგენა" გარკვევით არ არის ასახული რეზოლუციის პროექტში. რაც შეეხება რუსეთს, მან ხელისუფლების გადაცემის პროცესზე გააკეთა აქცენტი და განაცხადა, რომ სასურველია ამ სიტუაციის უფრო დეტალური განხილვა. ასე რომ, უშიშროების საბჭოს ახალმა "ტრიომ" ფუნქციები გადაინაწილა: მაშინ, როდესაც საფრანგეთი აქცენტს ჯარების გაყვანის ვადებზე აკეთებს, ჩინეთის ხელისუფლება ახალი მთავრობის უფლებებს და მოვალეობებს ეხება, ხოლო მოსკოვში ყველაზე მეტად ის "აწუხებთ", თუ როგორ მოხდება ამ უფლებების გადანაწილება.

ყველაზე დიდი იმედი, რაც ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბებას თან ახლავს, არის ადგილობრივი პრობლემების უფრო ეფექტურად გადაჭრა, სისხლისღვრისა და შეტაკებების შემცირება.

იმ დროს, როდესაც გაერო-ში ახალი რეზოლუციის პროექტის განხილვა მიმდინარეობდა, ერაყის დროებითმა მთავრობამ სრულყოფილი სახე მიიღო. ერაყის მმართველი საბჭო, რომელიც, ყველას აზრით, კიდევ უფრო დიდხანს იარსებებდა, დაიშალა. პრეზიდენტის პოსტი ახალ მთავრობაში ღაზი იავერმა დაიკავა, რომელმაც ფიცის დადების ცერემონიალზე განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი "ერაყის ერთ ერად შეკვრაა", მკვლელებისა და კრიმინალების გარეშე. მან აღნიშნა, რომ სურს აშშ-ს ძალებმა, რაც შეიძლება მალე დატოვონ ერაყის ტერიტორია, თუმცა, იქვე მადლიერება გამოხატა კოალიციის ძალების მიმართ. პრეზიდენტმა ბუშმა ერაყში განვითარებული მოვლენები შეაფასა, როგორც "იმედისმომცემი დღე, როგორც ერაყელი, ისე ამერიკელი ხალხისათვის." ამასთანავე, მან ხაზი გაუსვა გაერო-ს წარმატებულ მონაწილეობას ერაყის ახალი დროებითი მთავრობის ჩამოყალიბების პროცესში.

საკმაოდ დიდი უფლებების პრემიერ-მინისტრის პოსტზე შიიტი იად ალავის დანიშვნის შემდეგ, ჯერი სუნიტ ლიდერებზეც მიდგა. პრეზიდენტის პოსტი ამ უკანასკნელი თემის წარმომადგენელმა დაიკავა. 45 წლის, აშშ-ში განათლებამიღებული ღაზი იავერი, ერთი პერიოდი, სადამ ჰუსეინის ხელისუფლებას აქტიურად ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ღაზი იავერი კოალიციის წინააღმდეგ მკაცრი კრიტიკით გამოდის, მას ისეთ ადამიანად მიიჩნევენ, რომელსაც ვაშინგტონთან საკმაოდ მჭიდრო კავშირები აქვს. ბატონმა იავერმა რეზოლუციის პროექტის შესახებ თავისი დამოკიდებულება გამოხატა და განაცხადა, რომ მისთვის მისაღები მხოლოდ კოალიციის ჯარებზე სრული უფლებამოსილების განხორციელებაა.

ერაყის მმართველი საბჭოს წევრებისათვის ღაზი იავერი ერთადერთი ყველაზე მისაღები კანდიდატურა აღმოჩნდა. თავდაპირველად, აქტიურად განიხილებოდა ვეტერანი სუნიტი პოლიტიკოსის ადნან პაჩაჩის კანდიდატურა, რომელსაც მხარს უჭერდა აშშ და გაერო-ს ელჩი ერაყში ლახდარ ბრაჰიმი. იმ სამკუთხედში, სადაც ერთ მხარეს ამერიკელი ადმინისტრატორი პოლ ბრემერი დგას, მეორე მხარეს - საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი და მესამე - ერაყის მმართველი საბჭოა, ჯერჯერობით, წარმატებას ეს უკანასკნელი აღწევს, თანხმობას აცხადებს იმ კანდიდატურაზე, რომელიც მისთვის არის მისაღები. მიუხედავად ამისა, აშშ-ს გავლენა მოვლენების განვითარებაზე ნებისმიერ შემთხვევაში საკმაოდ დიდია. ერთი მხრივ, ვაშინგტონი აცხადებს, რომ ერაყელებმა თავიანთი მთავრობა უნდა აირჩიონ და საკუთარი მომავალი განსაზღვრონ. მეორე მხრივ, ის პოლიტიკოსები, რომლებიც ერაყის მმართველ საბჭოში იყვნენ, უფრო მეტად ცდილობენ ნდობის მოპოვებას, მაგრამ ნდობის მოპოვებას არა ერაყის მოქალაქეთა შორის, არამედ ვაშინგტონის თვალში, რადგან ეს თითოეული მათგანისათვის პოლიტიკაში დარჩენის გარანტია იქნება. ნდობით აღჭურვილმა ამ ადამიანებმა კი ჯერ რეფერენდუმი უნდა მოაწყონ ახალი კონსტიტუციის მისაღებად, შემდეგ არჩევნები ჩაატარონ, რამაც ბოლოს თვითმყოფად ერაყულ რესპუბლიკამდე უნდა მიგვიყვანოს.

მას შემდეგ, რაც მმართველი საბჭოს მიერ ადნან პაჩაჩის კანდიდატურა უარყოფილი იქნა, გაერო-მაც ახალ ლიდერს გამოუცხადა მხარდაჭერა. ღაზი იავერი სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. არჩევანის გაკეთების დროს ხაზი გაესვა იმასაც, რომ ბატონმა იავერმა ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი დაამთავრა, შემდეგ კი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საუდის არაბეთში, ტელეკომუნიკაციების სფეროში მუშაობდა. იგი საზოგადოების წინაშე ახლაც ტრადიციული არაბული სამოსით ჩნდება. ერთ-ერთი არაბული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ პრეზიდენტის პოსტზე უარს იტყოდა, თუკი რეალური ძალაუფლება არ ექნებოდა.

რაც შეეხება დროებითი მთავრობის სხვა წევრებს, ორი ვიცე-პრეზიდენტიდან, რომლებიც დღევანდელ პრეზიდენტს როტაციის პრინციპით შეცვლიან, ერთი შიიტია, მეორე კი - ქურთი. ვიცე-პრეზიდენტი იბრაჰიმ ჯააფარი "ისლამური დაავას პარტიიდანაა", რომელიც ერაყის ორი მთავარი შიიტური პარტიიდან ერთ-ერთია. მეორე ვიცე-პრეზიდენტი როუშ შავაისი ქურთული დემოკრატიული პარტიის წევრი და ქურთული ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტია.

მთელს მთავრობაში დასავლეთში განათლებამიღებული ადამიანები სჭარბობენ, რომლებიც თავის დროზე სადამ ჰუსეინის დიქტატურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. პრეზიდენტ ღაზი იავერის მიზანი "ერთიანი ერაყული სახელმწიფოს" შექმნის შესახებ მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუკი მთავრობის წევრები საერთო ენას ადვილად გამონახავენ. აქ წარმოდგენილი თანამდებობის პირები ან შიიტები არიან, ან სუნიტები, ან კიდევ ქურთები, შესაბამისად - მათი თემისა და ეთნოსის ინტერესების გამტარებლები ხელისუფლებაში. ერთი რამ კი ცხადია, მთავრობის საბოლოო ჩამოყალიბებამდე, რაც 2006 წლის იანვარში მოხდება, მათ კიდევ ბევრი სირთულის გადალახვა მოუწევთ.


## ს.ს. "თელასი" გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის მასალა:

ტრანსფორმატორი დენის TPL-50/5 – **6ც**
ტრანსფორმატორი დენის TPL-100/5 – **12ც**
ტრანსფორმატორი დენის TPL-150/5 - **6ც**
ტრანსფორმატორი დენის TPL-200/5 - **6ც**
ტრანსფორმატორი TR-R დენის 400/5 - **180ც**
ტრანსფორმატორი TR-R დენის 1000/5 - **180ც**
ტრანსფორმატორი TR-R დენის 1500/5 - **36ც**
დაფა ერთმრიცხველიანი კომპლ. - **40ც**
დაფა ორმრიცხველიანი კომპლ. - **40ც**
ხუფი დამცავი ავტომატისთვის სტN47 - **200ც**
ამომრთველი ავტომატური სამპოლუსა 2,5ა - **200ც**
დენის ტრანსფორმატორი ТФЗМ-110 400/5 – **3ც**
საჰაერო გამთიშველი RNDZ-110 630A - **3ც**
მცვლელი PBC -35 - **9ც**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 10 ივნისი.



## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**8 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ნუცუბიძის პლატოს II და III მიკრორაიონების, ჟრენტის, მარგიანის, ნუცუბიძის, გურიელის ქუჩების მაცხოვრებლებს,
8 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
ნუცუბიძის პლატოს მე-2 მიკრორაიონის I, II, III, IV და V კვარტლების, ბესო ჟღენტის ქუჩის მაცხოვრებლებს.

**9 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ნუცუბიძის პლატოს მე-2 მიკრორაიონის I, II, III, IV და V კვარტლების, ნუცუბიძის პლატოს II, IV და V მიკრორაიონის, ნუცუბიძის პლატოს მე-3 მიკრორაიონის I, II, III და IV კვარტლების, გურიელის, მარგიანის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), შატილის, ძოწენიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.
9 ივნისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
ნუცუბიძის პლატოს IV და V მიკრორაიონების მაცხოვრებლებს

**9 ივნისს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
დოდაშვილის მოედანის, წულაძის, ჩოხელის, თეთრიწყაროს, სახალხოს, ხევის, ჩარხის, ბოლნისის, ციხისძირის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# მტკივნეული მაგალითი

მაკა ჭაიანი

*რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ჯიხურების მშენებლობის შეწყვეტის გამო ატეხილი ხმაური ჯერაც არ ჩამცხრალა. გასულ ხუთშაბათს ჯიხურების მეპატრონეებმა ქალაქის მერის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს. მოგვიანებით "24 საათში" ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან დარეკეს.*

**"მერი საკუთარი, ზეპირი გადაწყვეტილებით, სასამართლოს დადგენილების გარეშე, ანგრევს ამ მშენებლობას, რისი უფლებაც არ აქვს"! "ეს არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევა და ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ"! "ახალი ხელისუფლების იმედი გვქონდა, საპირისპიროს კი ვაწყდებით"!** – მოკლედ ასეთი გახლდათ ხუთშაბათის აქციის სულისკვეთება. იგივე პრეტენზიები ჰქონდა ახალგაზრდა ქალბატონს, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაგვირეკა: **"მე ნანა იაშვილი გახლავართ. ორი წელია, ამერიკაში ვცხოვრობ და ეს ბედნიერი წლები არაა. შვიდი წლის შვილი დავტოვე თბილისში და მოხუცი დედ-მამა; პროფესორები არიან, მაგრამ, რომ გაგვიჭირდა, დედაჩემი ბოთლებს აბარებდა, ამიტომ წამოვედი ამერიკაში. ახალი ხელისუფლების მხარდასაჭერად აქ აქციებში ვიღებდი მონაწილეობას, სულით და გულით ვიდექი მათ მხარეს, ახლა კი სიტყვებს ვერ ვპოულობ აღელვებისგან. ძველ ხელისუფლებას ვინ ენდობოდა? ახალს ვენდე - დანაზოგი ჩავდე მაგ მშენებლობაში. ორი ჯიხურია მანდ ჩემი. ჩემი შვილი აგურებს ითვლიდა, - გადაიხურება და დედა ამერიკიდან ჩამოვაო. ახლა რა უნდა ვქნა"?..**

გადაწყვეტილება ამ მშენებლობის შეჩერების შესახებ ქალაქის მერმა შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ მიიღო. **"ეს საფუძველშივე უკანონო ნებართვა იყო - არ შეიძლება, ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილზე, მით უმეტეს, საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე სახის მშენებლობის წარმოება,** - ასეთია ქალაქის ახალი ხელმძღვანელობის განმარტება, - **ჩვენ გვესმის ამ ადამიანების, შევდივართ მათ მდგომარეობაში, მაგრამ ამ პროცესის დასრულებას ვერ დავუშვებდით. ბევრი ძველი გადაწყვეტილებაა შესაცვლელი, ბევრი მსგავსი მშენებლობაა შესაჩერებელი. საქმის სასამართლოში გადატანა იმას ნიშნავდა, რომ ჯიხურები აშენდებოდა კიდეც და ამუშავდებოდა, რის შემდეგაც მათი აღების შანსი, ფაქტობრივად, ნულის ტოლი იყო. ეს მაგალითი უნდა იყოს მათთვის, ვინც ასეთი მშენებლობების წამოწყებას აპირებდა. სხვა მექანიზმები უკანონო ნებართვების წინააღმდეგ საბრძოლველად დღეს ჩვენ არ გვაქვს. ამ პროცედურამ – უკანონო მშენებლობების შესაჩერებლად სასამართლოს ნებართვის ლოდინმა, თვალსაჩინოდ, უკვე ბევრი პრობლემა შექმნა. ქალაქი ამზადებს კანონს, რომელიც ამ პრობლემას დაარეგულირებს: ყველა უკანონოდ მიჩნეული მშენებლობა მომენტალურად შეჩერდება, ჩივილი კი უკვე მის მწარმოებელზე იქნება დამოკიდებული. სასამართლო თუ დაადგენს, რომ მშენებლობა უკანონოდ შეჩერდა, ზარალს ჩვენ ავანაზღაურებთ. ასევე შეუძლიათ მოქცევა ამ ჯიხურების მფლობელებს – იჩივლონ და, თუ შეცდომა დავუშვით, ზარალს ავუნაზღაურებთ".**

რეალობა ასეთია: გასული ხელისუფლების მიზანმიმართული, ანტისახელმწიფოებრივი, მეტიც – კრიმინალური პოლიტიკის, ერთი მუჭა ადამიანების გამდიდრებაზე მორგებული კანონმდებლობის დამსახურებით, საზოგადოებაში კიდევ ერთი დაპირისპირება ღვივდება. ქვეყანაში აქამდე არსებული კორუმპირებული სისტემა იმაზე იყო ორიენტირებული, რომ ხელისუფლების დანაშაულებათა თანამონაწილედ გაეხადა მოსახლეობის, შეძლებისდაგვარად, მეტი რაოდენობა. ეს ჩვენი ყოფილი მმართველების მუშაობის ნაცადი ხერხი იყო: თავი დამნაშავედ გეგრძნო, რადგან ქრთამი მიეცი (მერე რა, რომ, ამის გარეშე, ლუკმა- პურის შოვნის საშუალებას არავინ მოგცემდა), რადგან შენც მოიპარე (მიუხედავად იმისა, რომ სხვაგვარად წვალებით ნაშოვნ სამსახურსაც დაკარგავდი, სამსახური კი სანთლით იყო საძებარი), რადგან... და ა.შ. ამის გამო ითმენდა საზოგადოება ხელისუფალთა ცოდვებს და საკმაოდ გვიანაც მიხვდა, რომ ყველაზე დიდი დანაშაულია, სხვა აქციო დამნაშავედ. დღევანდელ ხელისუფლებას ჯერ კიდევ უწევს ამ სისტემის, ამგვარი კანონმდებლობის ჩარჩოებში ლავირება და, ვიდრე ყველაფერი დაიხვეწებოდეს, სამწუხაროდ, ამგვარი მტკივნეული მაგალითი ბევრი იქნება.

# მღვდელი ღმერთი არ არის

ნინო ცინცაძე

*შაბათს თავისუფლების ინსტიტუტში პანტელეიმონ მკურნალის ეკლესიის წინამძღვარმა გიორგი ჩაჩავამ, დეკანოზმა ბასილ კობახიძემ და მღვდელმა ზაზა თევზაძემ პრესკონფერენცია გამართეს, იმ თავდასხმის გამო, რომელიც მამა გიორგი ჩაჩავამ განიცადა წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელ დავით ქვლივიძისგან, რუსთავი 2-ის ტელეეთერში გამოსვლის გამო. თუმცა, ეს აგრესია სასულიერო პირების მიმართ პირველი არ იყო. საპატრიარქო მაშინაც დუმდა და ახლაც დუმს.*

როდესაც დაახლოებით წელიწადნახევრის წინ მამა ზაზა თევზაძე ინტერრელიგიური საბჭოს წევრი გახდა, მას ვიღაც კაცმა სახლში დაურეკა და სთხოვა, თქვენი მრევლის წევრი ვარ, თუ შეიძლება, ეკლესიაში მინდა შეგხვდეთ და აღსარება ჩაგაბაროთო. დათქმულ დროს მამა ზაზა ეკლესიაში მივიდა. აღსარებისათვის გამზადებული ერთი ადამიანის ნაცვლად, მას სადიაკვნეში რვა კაცი შეუვარდა და ლანძღვა დაუწყო. როდესაც მამა ზაზამ მათ ვინაობა ჰკითხა, უპასუხეს, წმინდა იოანე ოქროპირის საზოგადოების წევრები ვართო.

რამდენიმე თვის წინ, როდესაც ზაზა თევზაძემ კათოლიკურ ეკლესიაში ერთობლივ ლოცვაში მიიღო მონაწილეობა, მას თავდამსხმელთა უფრო დიდი ჯგუფი მიუვარდა. ისინი მას მწვალებელს, ეკლესიის მტერს ეძახდნენ და ემუქრებოდნენ.

თბილისში არსებობს მაწანწალა ბავშვთა თავშესაფარი, რომელსაც ფინანსურად კათოლიკური ეკლესია უზრუნველყოფს. ამ თავშესაფარში არც ერთ კონფესიას არ ქადაგებენ. აქ ბავშვებს ხელსაქმეს, მათემატიკას, ხელოსნობას ასწავლიან, აჭმევენ და ღამეს ათევინებენ. სახლის ხშირი სტუმარია და ბავშვების სულიერ აღზრდაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მამა გიორგი ჩაჩავაც. როდესაც იგი ამ სახლის ჰუმანიტარულ საქმიანობასთან დაკავშირებით ხუთწუთიანი სიტყვით გამოვიდა, გარკვეულმა ჯგუფმა, რომელიც თავს დავით აღმაშენებლის საზოგადოებას უწოდებს, ეკლესიიდან ეკლესიაში დაიწყეს სიარული, რათა გიორგი ჩაჩავას განკვეთისათვის ხელმოწერები შეეგროვებინათ. ისინი ამას პატრიარქისგანაც მოითხოვდნენ. გარდა ამისა, მათ გიორგი ჩაჩავას მრევლის წევრების ტელეფონის ნომრები დაადგინეს, ურეკავდნენ მათ და დაჟინებით ურჩევდნენ, მის მრევლობაზე უარი ეთქვათ.

პარასკევს, 4 ივნისს, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის წინ ექვსი ადამიანი შეიკრიბა და საპროტესტო აქცია მოაწყო. ისინი სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის წევრები იყვნენ. მათი ლიდერი, მერაბ სულაქველიძე ჟურნალ "ლაზარეს აღდგინების" დამფუძნებელია (ამ ჟურნალში რამდენიმე წლის წინ აქტიურად იბეჭდებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლანძღვა-გინება). ეს ადამიანები ტრანსპარანტებითა და მეგაფონით მამა ბასილ კობახიძის ტელევიზიით გამოსვლას აპროტესტებდნენ.

ალბათ, უმძლავრესი დემოკრატიისა და მაღალგანვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ნიშანია ის, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში ამდენი საზოგადოება და ასოციაცია ჩამოყალიბდა: დავით აღმაშენებლის, იოანე ოქროპირის საზოგადოება, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია, ბუნებრივია, არც მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი და ამგვარი დაჯგუფებების მიერ დაარსებული ჟურნალ-გაზეთები უნდა დაგვავიწყდეს. ყოველივე ამაში მხოლოდ ერთი რამეა უცნაური: მტრის სიყვარულის მოქადაგე რელიგიასთან ასოცირებული დაჯგუფებების წევრები, რატომღაც, საოცარი აგრესიულობით გამოირჩევიან; და თანაც, რაც ძალიან საინტერესოა, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოთხოვნები ყოველთვის აღორძინებისა და ლეიბორისტული პარტიების მოთხოვნებს ემთხვევა; მათი რელიგიური მოთხოვნები კი ანტიქართულია - ქართული გალობის, ქართველი წმინდანების წინააღმდეგ გამოსვლები და ა.შ.

თავისუფლების ინსტიტუტში შეკრებილი სასულიერო პირები მიიჩნევენ, რომ ამ დაჯგუფებების უკან იმ სასულიერო პირთა ჯგუფი დგას, რომელიც საპატრიარქოს ადმინისტრაციული აპარატის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, ყველა ისინი კი, თავის მხრივ, რუსული სპეც-სამსახურების მიერ იმართებიან. ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რა საფუძველი არსებობს ასეთი ვარაუდისათვის, დეკანოზმა ბასილ კობახიძემ შეკითხვითვე უპასუხა: -**"რას უწოდებდით ადამიანთა იმ ჯგუფს, ერთ მშვენიერ დღეს საქართველო "გაეროდანაც" რომ გამოეყვანა და ევრო-საბჭოდანაც"? მსოფლიო საეკლესიო საბჭო და ეკლესიათა ევროპული კონფერენცია ჩვენი ეკლესიისათვის სწორედ ისეთი მნიშვნელობის მატარებელი იყო, როგორც საქართველოსთვის "გაერო" და ევროსაბჭოა. მაშინ რუსები თავის გაღიზიანებას არც მალავდნენ, - როგორ, მსოფლიო საეკლესიო საბჭოში ჩვენც, ამხელა ეკლესიასაც ერთი ხმა უნდა ჰქონდეს და თქვენცო! დროთა განმავლობაში მათ თავის მიზანს მიაღწიეს. ჩვენივე სასულიერო პირებისა და ფანატიკურად განწყობილი მრევლის წყალობით, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას ჩამოგვაცილეს."**

P.S. იმ ადამიანისათვის, ვინც საქართველოში მიმდინარე რელიგიური პროცესებით ოდნავ მაინც დაინტერესებულია, რელიგიური ექსტრემიზმისა და რუსული სპეც-სამსახურების თემა მეტ-ნაკლებად ცნობილია. თავისუფლების ინსტიტუტში გამართულ შეხვედრაზე ვერ ვიტყვი, რომ ძალიან გასაკვირი, მაგრამ მაინც უცნაური, სხვა რამე იყო - შეკითხვები, რომელსაც ჟურნალისტები სვამდნენ. არ შემიძლია, ორი მათგანი არ გამოვყო. პირველი: - რატომ ხდება, რომ თავისუფლების ინსტიტუტი ყოველთვის იცავს რელიგიურ უმცირესობებს და ხმა არ ამოიღო, როდესაც ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ერთ-ერთ რეგიონში მართლმადიდებელ მღვდელს მკვდარი კატა ჩამოუკიდეს? აღმოჩნდა, რომ იმ მღვდელს სოფლის წყაროზე გამოუცხადებია, ეს წმინდა წყალია და მისით სარგებლობის უფლება მხოლოდ ქრისტიანებს აქვთო. და მეორე: რა ზნედაცემულიც არ უნდა იყო მოძღვარი, თუ მას მრევლი განიკითხავს, ის მრევლი ხომ ღვთის წინაშე ორმაგად განიკითხება? ნუთუ, ჩვენი საზოგადოება მართლა ისეა ზომბირებულია, რომ ასეთ შეკითხვებს ჟურნალისტებიც კი სვამენ? კეთილო ადამიანებო, მღვდელი ღმერთი არ არის და თუ ის ზნედაცემული, ხეპრე, ან ხულიგანია, ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი თავისუფლად შეიძლება!

# აურზაური კოლმეურნეობის ბაზარში



*თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ახალგაზრდა ხელმძღვანელმა თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან უკვე მეორე რეიდი ჩაატარა. ამჯერად თავდასხმის ობიექტი კოლმეურნეობის დახურული ბაზარი აღმოჩნდა. ხანგრძლივი გაწევ-გამოწევის შემდეგ მაკონტროლებლები და მოვაჭრეები დროებით მორიგდნენ. თუმცა, როგორც ინსპექციის უფროსი აცხადებს, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.*

ნანა ქადაგიშვილი

4 ივნისს სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ ბაზრების დირექტორებს უკანასკნელი წერილობითი გაფრთხილება გაუგზავნა და ბაზრებში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად სამი დღის ვადა მისცა. **"გაფრთხილების მიღებიდან სამი დღის შემდეგ რომელ ბაზარშიც მდგომარეობა არ გამოსწორდება, უყოყმანოდ დავხურავთ,"** – განაცხადა მესხიშვილმა. გუშინ კოლმეურნეობის ბაზარში მის გამოჩენას დიდი აჟიოტაჟი ამიტომაც მოჰყვა. მოვაჭრეებმა იფიქრეს, რომ ინსპექცია ბაზრის დასახურად მივიდა და ინსპექციის ახალგაზრდა უფროსის შეშინება წივილ-კივილით სცადეს. **"რას გადაგვეკიდეთ, ჩვენი გაჭირვება არ გეყოფა?! ოჯახს ამითი ვარჩენთ; სხვაგან დაგვასაქმეთ და სულ არ მოვალთ ამ ბაზარში,"** – განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოვაჭრე ქალები. აჟიოტაჟი მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა მესხიშვილმა მოვაჭრეები დაამშვიდა, - ბაზრის დახურვასა და თქვენთვის პროდუქციის ჩამორთმევას არ ვაპირებო. ინსპექციის ხელმძღვანელი ჯერჯერობით მხოლოდ გაფრთხილებას დასჯერდა და მოვაჭრეებს განუმარტა, - მალფუჭებად პროდუქტს, დახლებიდან კი არა, მაცივრებიდან უნდა ყიდდეთო.

მოვაჭრეებისგან განსხვავებით, ბაზრის ადმინისტრაცია უფრო წინდახედული და კორექტული აღმოჩნდა - მაკონტროლებელთა რჩევები მშვიდად მოისმინა და მათ შესრულებასაც შეჰპირდა. ინსპექციამ ბაზრის ხემძღვანელობას უმოკლეს ვადაში ბაზრის პირველ სართულზე მაცივარ-დანადგარების ამუშავება, კანალიზაციისა და წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მოსთხოვა. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე უკან აღარ დავიხევთ და ბაზარი დახურვას ველარ გადაურჩება,"** – განუცხადა მესხიშვილმა.

სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია მორიგ რეიდს მომდევნო კვირას გეგმავს; თავდასხმის მომდევნო ობიექტს არ ახმაურებს. გასულ კვირას ცენტრალური სუპერმარკეტი და გლდანის ბაზარი შემოწმდა. მდგომარეობა ყველგან ერთნაირია. **"ბაზრებში მაცივრები ან საერთოდ არ აქვთ, ან აქვთ, მაგრამ ელექტროენერგიას უფრთხილდებიან და იშვიათად რთავენ. არანაკლებ საშიშია ისიც, რომ მაცივრიდან გამოღებულ გაყინულ ხორცს დახლებზე აწყობენ და, თუ ვერ გაიყიდა, გამლღვარს ხელახლა ყინავენ და მეორე დღეს ყიდიან. პირველი შემოვლა გამაფრთხილებელი იქნება, მაგრამ მომდევნო რეიდი ურჩებს უკვე ძვირად დაუჯდებათ,"** – აცხადებს სანიტარული ინსპექცია. თუმცა, ცენტრალური სუპერმარკეტის მოვაჭრეები დანაკარგს ვერც პირველ შემოწმებაზე გადაურჩნენ - მაკონტროლებლებმა ამ ბაზრიდან 4 ტონა საკვებად უვარგისი თევზი ამოიღეს.

ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ თბილისის საკრებულოში ქალაქის სავაჭრო ობიექტებში არსებულ პრობლემებზე საუბარი გააქტიურდა. **"განგაში ავტეხოთ და შარშანდელზე უფრო ფართომასშტაბური ბრძოლა დავიწყოთ. ყველა დამნაშავე საჯაროდ უნდა დაისაჯოს,"** – ასეთი ფრაზები საკრებულოს სხდომებზე საკმაოდ ხშირად გაისმოდა. საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელმა ნანული ქაჩიბაიამ ერთ-ერთ სხდომაზე სანიტარული ინსპექციის მიერ კერძო ბინიდან ამოღებული მაიონეზის, კიტრის წნილისა და პამიდვრის წვენის კოლოფებიც კი წარმოადგინა. ეს პროდუქტი, კოლოფის ეტიკეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ირანიდან და თურქეთიდან უნდა ყოფილიყო ჩამოტანილი; სინამდვილეში კი თევდორე მღვდლის ქ.№48-ში მდებარე ოთახნახევრიანი ბინის აბაზანაში ვინმე მანანა მელიქიშვილს დაუმზადებია. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ყოფილ ხელმძღვანელს კობა ბექაურს ცენტრალური სუპერმარკეტის დირექტორი საჯაროდ არაერთხელ გაუკიცხავს და ბაზრის დახურვითაც დამუქრებია. თუმცა, ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. იმედია, სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ახალი ხელმძღვანელის მუქარა უფრო ეფექტური აღმოჩნდება.

# მთავარია მონდომება და ერთმანეთის თანადგომა

ლელა მარგიანი

ხუთ ივნისს, გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს, თბილისში, თემქაზე მდებარე პირველ სპორტულ სკოლაში საზეიმოდ გაიხსნა "ბავშვთა ინტეგრირებული სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი კომპლექსი". ამით დასრულდა ორი წლის წინათ ასოციაცია "ანიკას", ორგანიზაცია Mercy Corps-ისა და იაპონიის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევით დაწყებული პროექტის, "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური რეაბილიტაციის" პირველი ეტაპი.

სარეაბილიტაციო კომპლექსის გახსნაზე საქართველოს პრეზიდენტსაც ელოდნენ, თუმცა გახსნამდე რამდენიმე წუთით ადრე პრეზიდენტის დაცვა მოულოდნელად "მოიხსნა", რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი კომპლექსის გახსნაზე აღარ მივიდოდა. დაცვასთან ერთად გაქრა, თითქმის, ყველა ტელევიზიის გადამღები ჯგუფი. მიუხედავად ამისა, კომპლექსის პრეზენტაციამ მაინც საზეიმოდ ჩაიარა. პრეზიდენტის გარეშე მისულმა სტუმრებმა: ქალაქის პრემიერმა, იაპონიის ელჩმა, გლდანი-ნაძალადევის გამგებელმა, თავის ორ შვილთან ერთად მისულმა პრემიერ-მინისტრის მეუღლემ, დაათვალიერეს სარეაბილიტაციო ცენტრი, ახალი ჰიმნის ფონზე დროშის საზეიმო აღმართვასაც დაესწრნენ და ბავშვების შემოქმედებითაც ძალიან ისიამოვნეს.

საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთი ინტეგრირებული სარეაბილიტაციო ცენტრი ამიერიდან 250 ჯანმრთელ, უნარშეზღუდულ და სოციალურად დაუცველ ბავშვს მოემსახურება. ცენტრი სრულიად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ბავშვების განკარგულებაში იქნება: საცურაო აუზი, სარეაბილიტაციო დარბაზი, კომპიუტერები. ბავშვებს ჩაუტარდებათ ფიზიო-თერაპიული პროცედურები. საცურაო აუზი მთლიანად ადაპტირებულია უნარშეზღუდული ბავშვებისთვის: ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, სპეციალურად შეიქმნა ისეთი ამწე-მოწყობილობა, რომელიც ბავშვის ეტლიდან ამოყვანას და საცურაო აუზში ჩაყვანას დენის გარეშეც შეძლებს. ეტლიანი ბავშვებისთვის ადაპტირებულია მისასვლელი გზები. მათ შეუფერხებლად შეუძლიათ გადაადგილება ცენტრის ტერიტორიაზე; მშობლებს არც ბავშვების აუზამდე მიყვანა გაუძნელდებათ, რადგან, ძველისგან განსხვავებით, გლდანი-ნაძალადევის ახალმა გამგებელმა ასოციაციის წევრების თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვა და კომპლექსამდე მისასვლელი გზის პრობლემა მოაგვარა.



# თენგიზ ასანიძე ხელისუფლებისგან ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვს

სოფიკო ჩხაიძე

*საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ზარ-ზეიმით შეხვდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებაში გამოტანილ პირველ გადაწყვეტილებას და, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, ბათუმის უშიშროების იზოლატორიდან თენგიზ ასანიძის გათავისუფლებას, ევროსასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის გადახდა მაინც მოუწევს. 155 ათასი ევროს ეკონომიას საქართველოს ბიუჯეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ამ თანხაზე უარს თავად თენგიზ ასანიძე იტყვის.*



*"დამპირდნენ, რომ თანხას აუცილებლად გადაიხდიან და დათქმულ ვადას ერთი წუთითაც არ გადააცილებენ. სხვათა შორის, ეს მათ ინტერესებშიც შედის".*

გოგიტა [illegible] ფოტო

როგორც ცნობილია, სტრასბურგში საქართველოდან გაგზავნილ სარჩელთა შორის თენგიზ ასანიძის სარჩელი ის გამონაკლისი გახლდათ, რომელში გამოთქმული პრეტენზიების ადრესატი საქართველოს არც ყოფილი და, მით უმეტეს, არც ახალი ცენტრალური ხელისუფლება არ ყოფილა. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც თენგიზ ასანიძის ოთხწლიანი უკანონო პატიმრობისთვის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა, აჭარის აწ უკვე ყოფილი მმართველი ასლან აბაშიძე გახლდათ, რომლის პირად პატიმრადაც მოიაზრებოდა წლების მანძილზე ასანიძე. მაგრამ, საქმეც ის არის, რომ ევროსასამართლოს ფუნქციებში არ შედის უკანონობაში კონკრეტული პასუხისმგებელი პირების ძიება და არც იმ პოლიტიკურ რეალობაში გარკვევა, რამაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლებისა და უზენაესი მართლმსაჯულების ორგანოს ნების საწინააღმდეგოდ, რეგიონულ საპატიმროში გამოკეტილი პატიმრის ციხეში დატოვება გამოიწვია. ევროპელი მოსამართლეების განაჩენი პირდაპირია – მოქალაქის უკანონო პატიმრობისთვის პასუხისმგებლობა ქვეყნის ხელისუფლებას ეკისრება. ასე რომ, ასანიძის უკანონო პატიმრობისთვის დაკისრებული 150 ათასი (პლუს 5 ათასი ევრო ადვოკატთა მომსახურებისთვის) ევრო, სწორედ ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა იქნას გაღებული.

შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მართალია, გამჭუნებული, მაგრამ, ამავე გადაწყვეტილების საშუალებით, ასლან აბაშიძეზე ზეწოლის ბერკეტებმიღებული საქართველოს ხელისუფლების თავდაპირველი სიხარული ნელ-ნელა ჩაცხრა და სრულებით გაქრა, როდესაც საქმე ევროსასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის გადახდამდე მივიდა.

მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ყოფილი უკანონო პატიმარი თენგიზ ასანიძე, პოლიტიკური რეალობისა და საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ პირადი სიმპათიის, ან თუნდაც, სამომავლო პოლიტიკური ამბიციების გამო კუთვნილ ათასებზე უარს იტყოდა, არ გამართლდა.

**"რა თქმა უნდა, თანხას ვითხოვ. სხვა გზა არც მაქვს, სხვა საარსებო სახსრები მე არ გამაჩნია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თენგიზ ასანიძემ.

155 ათასი ევროს გადასახდელად საქართველოს ხელისუფლებას ვადა ჯერ კიდევ აქვს, ევროსასამართლოს მიერ განსაზღვრული სამი თვე 8 ივლისს იწურება. თუმცა, თენგიზ ასანიძემ უკვე დაიწყო ზრუნვა ევროსასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის მიღების საკითხზე უკვე იუსტიციის მინისტრ გიორგი პაპუაშვილსაც შეხვდა და ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელსაც.

**"დამპირდნენ, რომ თანხას აუცილებლად გადაიხდიან და დათქმულ ვადას ერთი წუთითაც არ გადააცილებენ. სხვათა შორის, ეს მათ ინტერესებშიც შედის,"** - ამბობს ასანიძე.

მართლაც, ევროსასამართლოს წესების თანახმად, ქვეყნისთვის დაკისრებული თანხის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, დადგენილ ოდენობას ყოველთვიურად საკმაოდ მაღალი, ევრობანკის მიერ დადგენილ საპროცენტო განაკვეთს დამატებული - საერთო თანხის სამი პროცენტი ერიცხება. გარდა ამისა, თანხის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში ამოქმედდება პოლიტიკური ბერკეტებიც.

ევროსასამართლოში საქართველოს გენერალური წარმომადგენლის თიკო ბურჯალიანის თქმით, **"ის, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება გარდაუვალია, აპრიორია. რაც შეეხება აღსრულებაზე ზედამხედველობის ბერკეტებს, ევროსასამართლო, გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის და გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობის ფუნქცია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს გადაეცემა, რომლის მუშაობაც სხვადასხვა რეზოლუციებით რეგულირდება. შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზეწოლა წმინდად პოლიტიკურია და გადაწყვეტილების არაღსრულების შემთხვევაში, ცხადია, ქვეყნის იმიჯის მნიშვნელოვნად შელახვაზეა საუბარი. თუმცა, სულ ახლახან მიღებულ იქნა მე-14 დამატებითი ოქმი, რომელსაც, სხვათა შორის, საქართველომაც მოაწერა ხელი და, ამ ოქმის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზეწოლის სამართლებრივი ბერკეტებიც ჩნდება. კერძოდ, თუ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებული არ იქნა, მოსარჩელეს კვლავ შეუძლია ევროსასამართლოს მიმართოს".**

იმისათვის, რომ თენგიზ ასანიძემ კუთვნილი თანხა მიიღოს, თიკო ბურჯალიანის თქმით, საჭიროა ცვლილება შევიდეს კანონში "სააღსრულებო წარმოებათა" შესახებ და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაც იმავე მექანიზმით აღსრულდება, რა მექანიზმიც საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღსრულებისას მოქმედებს. ერთადერთი, რამაც საქართველოს ბიუჯეტს ასანიძისთვის განკუთვნილი 150 ათსი ევროს ეკვივალენტური თანხა შეიძლება შეუნარჩუნოს, თავად თენგიზ ასანიძის კეთილი ნება გახლავთ. ევროსასამართლოს არაფერი აქვს საწინააღმდეგო იმისა, თუ ყოფილი მოსარჩელე კომპენსაციაზე უარს იტყვის, მეტიც, იქ არც ამ უარის მიზეზებს იკვლევენ.

**"თუ უარი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლით იქნება განპირობებული, მოსარჩელეს კვლავ შეუძლია მიმართოს ევროსასამართლოს"**, - ამბობს თიკო ბურჯალიანი.

თუმცა, სავარაუდოდ, თენგიზ ასანიძეს ევროსასამართლოს ბიუროკრატიულ ლაბირინთებში გზის გაკვლევა აღარ მოუწევს, საქართველოს ხელისუფლება მას კუთვნილი თანხის დროულად გადახდას ჰპირდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ათობით კანონდამრღვევი საგზაო პოლიციელი გამოავლინა. როგორც აღნიშნული სამსახურის უფროსმა დავით ჯინჯოლავამ განაცხადა, გენერალური ინსპექცია საგზაო პოლიციის თანამშრომელთა მუშაობას ბოლო პერიოდში მკაცრად აკონტროლებს.

გამოვლენილია უამრავი კანონდარღვევა. მათ შორის, მძღოლებისათვის ფულის გამოძალვის ფაქტები. ყველა ფაქტზე შესაბამისი რეაგირება ხორციელდება, რაც გამოიხატება რიგ შემთხვევებში დამრღვევთა სამსახურიდან გათავისუფლებაში ან სხვადასხვა ფორმის საყვედურებში, იმის მიხედვით, რამდენად სერიოზული იყო გადაცდომა. როგორც ჯინჯოლავა აღნიშნავს, მსგავსი სახის შემოწმებები მთელი საქართველოს მასშტაბით მომავალშიც მკაცრად გაგრძელდება და ყველა გამოვლენილ ფაქტზე სათანადო რეაგირება მოხდება, თუმცა ეს შეეხებათ არა მხოლოდ საგზაო პოლიციის, არამედ შს სამინისტროს სხვა უწყების თანამშრომლებსაც.

პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ მკაცრი გაფრთხილება მისცა საგზაო პოლიციის თანამშრომლებს. იგი სამსახურიდან გაშვებით დაემუქრა გზებზე ფულის გამომძალველ ავტოინსპექტორებს და ვადა 15 ივლისამდე მისცა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სამოსამართლო სწავლების ცენტრში" 14 ივნისიდან ადვოკატთა მოსამზადებელი ორთვიანი კურსები დაიწყება. როგორც ცენტრში განაცხადეს, სასწავლო პროგრამის თანახმად, ადვოკატები საკონსტიტუციო, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და საერთაშორისო სამართალში მომზადდებიან. ადვოკატებს ლექციებს უზენაესი და საოლქო სასამართლოების მოსამართლეები წაუკითხავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძმების, გიორგი და ტუგო სომხიშვილების მკვლელობაში ეჭვმიტანილის დაკავება სამართალდამცველებმა, ჯერჯერობით, ვერ მოახერხეს. გამოძიებას დადგენილი აქვს, რომ მკვლელობა სომხიშვილების მეგობარმა ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიდინა.

როგორც თბილისის ვაკე-საბურთალოს პროკურორმა თამაზ გეთიამ განაცხადა, 4 ივნისს, გვიან საღამოს, წყნეთში მომხდარ ამ ფაქტზე საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით არის აღძრული, იგი გახსნილია და ბრალდებულზე ძებნაა გამოცხადებული.

გამოძიების ვერსიით, მკვლელობის მოტივი ურთიერთშელაპარაკებაა, რომელიც მეგობრებს შორის მობილური ტელეფონის აპარატის გამო მოხდა. როგორც გაირკვა, სომხიშვილები მეგობარს მის კუთვნილ მობილურ ტელეფონს არ უბრუნებდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამტრედიელი ვ. ბურკაძე პოლიციელებმა 3 ივნისს განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ბურკაძემ 1 ივნისს ურთიერთშელაპარაკების შემდეგ დანით დაჭრა ლევან ჯოჯიაშვილი და გიორგი ქიტიაშვილი. ამ უკანასკნელისათვის ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა, იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეჯოს პოლიციის თანამშრომლებმა ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით დააკავეს გ. და ბ. თარამანიშვილები.

გამოძიების ინფორმაციით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა თარამანიშვილებმა 3 ივნისს ურთიერთშელაპარაკებისას დანით წელის არეში დაჭრეს 17 წლის გიორგი გერასიმენკო, რომელიც საავადმყოფოშია მოთავსებული. თარიმანიშვილების მიმართ აღძრულ საქმეს საგარეჯოს პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა თელავში, სოფელ აკურაში მდებარე ღვინის ქარხნის დარაჯის მკვლელობაში ბრალდებული, თბილისელი ზ. წილოსანი. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, წილოსანმა ურთიერთშელაპარაკების შემდეგ დანით გულმკერდში დაჭრა 27 წლის გოგიტა ლამაზოშვილი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის თემქის დასახლებაში, 4 ივნისს ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, თბილისის ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა იმავე დღეს ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე დააკავეს მუხიანში მცხოვრები დ. ტვილდიანი, რომელიც გატაცებულ ავტომანქანას მართავდა.

როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, ბრალდების თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღითა და დანით შეიარაღებული ტვილდიანი სხვა პირებთან ერთად თემქის დასახლებაში თავს დაესხა ლევან როსტიაშვილს და წაართვა ავტომანქანა "ვაზ 2106". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხირში მცხოვრები, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, ნასამართლევი, გ. ხაფავა პოლიციელებმა იარაღის უკანონო ტარებისა და ხულიგნობის ბრალდებებით დააკავეს.

ხაფავასთვის წარდგენილი ბრალდების თანახმად, მან ავტომატ "აკმ"-დან რამდენჯერმე გაისროლა. დაკავებულისგან სამართალდამცველებმა ავტომატი "აკმ" ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

# სასამართლოდან სასამართლოში მოარული დაზარალებული იმედს პრეზიდენტზე ამყარებს

ხათუნა ჟანგირაშვილი

**"საკუთარ თავზე გამოვცადე, რას ნიშნავს უფლებების დაცვისთვის ბრძოლა. მართლმსაჯულებასთან ხანგრძლივი ურთიერთობის მიუხედავად, ვერ მივაღწიე, ჩემი, დაზარალებულის უფლებები დამეცვა. გთხოვთ, საფუძვლიანად შეისწავლოთ ჩემი საქმე და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება,"** - ასეთი გახლავთ იმ წერილ-საჩივრის შინაარსი, რომელიც რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის სახელზე კანცელარიაში შევიდა. ხუთი წლის განმავლობაში სასამართლოს თითქმის ყველა ინსტანციამოვლილი დაზარალებული ამჯერად სიმართლის დადგენაში იმედს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე ამყარებს. **"დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი უყურადღებოდ არ დატოვებს ისეთ უკანონობას, რომელმაც ჩემი ოჯახის თავზე გადაიარა. მით უმეტეს, პრეზიდენტი საქმის კურსშია იმ სისხლის სამართლის საქმის შესახებ, რომელიც წლების განმავლობაში სასამართლოდან სასამართლოში გადადის, და რომლის შესახებ ჭეშმარიტება ჯერ კიდევ არ დადგენილა. იუსტიციის მინისტრობის პერიოდში, მიხეილ სააკაშვილი ამ საქმით დაინტერესდა, თუმცა, მან მაშინ მინიტრის თანამდებობა მოულოდნელად დატოვა და ჩვენი საქმეც უყურადღებოდ დარჩა,"** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას მართლმსაჯულებაზე განაწყენებულმა აზა ქაძანაიამ, რომელიც საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს.

**"ჩემთვის, როგორც დაზარალებულისთვის, გაუგებარია სასამართლოებისა და მოსამართლეების თამაში. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანას ხომ უნდა შეეტყოს გატარებული სასამართლო რეფორმა და მისი შედეგები?"** – ასეთია რამდენიმე წლის წინ ზედიზედ ორჯერ ყაჩაღთა მიერ დაზარალებულის პოზიცია. მისი საქმე, როგორც უკვე გითხარით, ხუთი წელია ინსტანციიდან ინსტანციაში გადადის. მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვისას კანონის უხეში დარღვევით გამოტანილი განაჩენისთვის საოლქო სასამართლოს სამი მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში მიეცა, ხოლო იმ პოლიციელების მიმართ, რომლებმაც ქაძანაიას მიმართ ჩადენილი დანაშაული რეგისტრაციაში არ გაატარეს, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, დაზარალებული უკვე მერამდენედ განხილულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას კვლავ აპროტესტებს. ის ქვეყნის პრეზიდენტს დახმარებას სთხოვს. "კანცელარიაში მითხრეს, რომ პრეზიდენტი ჩემს წერილს და საქმეს პირადად გაეცნობა და შედეგიც არ დააყოვნებს," - აცხადებს დაზარალებული.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ხუთი წლის წინ, ერთ-ერთი სამუშაო დღის ბოლოს, როდესაც ბორჯომის ვაგზალზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მომუშავე ცოლ-ქმარი აზა ქაძანაია და დემურ მარხულია უკვე სახლში წასასვლელად ემზადებოდნენ, ჯიხურს უცხო პიროვნება დაესხა თავს, პოლიეთილენის პარკში მოთავსებულ ფულს სტაცა ხელი და გაიქცა. მძარცველმა გაიტაცა 22 ათას 256 დოლარის ეკვივალენტი თანხა. ყაჩაღს ცოლ-ქმარი, გვერდზე ჯიხურებში მომუშავეები და იქ შეგროვილი ხალხი დაედევნა. გაქცეულმა მადევრებს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა, რკინიგზის რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში გადახტა და გაუჩინარდა. იმავე საღამოს, დაყაჩაღებულმა ცოლ-ქმარმა ყაჩაღის იარაღიდან გასროლილი ტყვიის მასრა იქვე, გასროლის ადგილზე იპოვა. **"მასრა შევინახეთ და შეგნებულად არ გამოვუჩინეთ პოლიციას, რადგან ცოტა ხნის წინ, საკუთარ სადარბაზოში ხუთმა შეიარაღებულმა უცნობმა იარაღის გამოყენებით დაგვაყაჩაღა, რის შედეგადაც სერიოზული დაზიანებები მივიღეთ, პოლიციამ თავდამსხმელებს ვერ მიაკვლია, პირველი ყაჩაღობის საქმე დღემდე გაუხსნელია. ამიტომ, იმედი არ გვქონდა, რომ ამ შემთხვევაში მაინც დააკავებდნენ დამნაშავეს და გადავწყვიტეთ, სავალუტო ჯიხურზე თავდამსხმელი ქურდული სამყაროს დახმარებით მოგვეძებნა. ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ამის მერე, ისევ სამართალდამცველებს მივმართეთ. ტრანსპორტის პოლიციას ჩვენ მიერ ნაპოვნი ტყვიის მასრა წარვუდგინეთ, რომელიც ჩვენი და მოწმეების თანდასწრებით დაილუქა,"** - აცხადებს აზა ქაძანაია. ტრანსპორტის პროკურატურაში დაყაჩაღების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან ცოტა ხანში, სამართალდამცველებმა სავალუტო ჯიხურის დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილი, შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის "გაერთიანებული ქართული ბანკის" დაცვის პოლიციელი ჯღამაძე დააკავეს, რომელმაც დაყაჩაღებისას "გაერთიანებული ქართული ბანკის" არარეგისტრირებული მაკაროვის სისტემის იარაღი გამოიყენა. საოლქო სასამართლომ, მოსამართლე გვეტაძის თავმჯდომარეობით, ყაჩაღობის ნაწილში განსასჯელი ჯღამაძე გაამართლა და სახლში ტყვიების შენახვისთვის 2-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

სხვათა შორის, ჯღამაძის საქმეში დევს მასალები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" 28 არარეგისტრირებული იარაღი გააჩნდა. სამი მათგანის გამოყენებით კი ჩადენილია საშიში დანაშაულები ამავე ბანკის და საკუთრების დაცვის პოლიციის თანამშრომლების მიერ, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება (ამის შესახებ "24 საათი" ერთი წლის წინ წერდა).

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაზარალებულმა ცოლ-ქმარმა, რომელთაც ჯღამაძე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ღიად ემუქრებოდა, უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. განცხადებით მიმართეს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის ყოფილ მინისტრს მიხეილ სააკაშვილს, სახალხო დამცველს და იუსტიციის საბჭოს მდივანს.

**"საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეების ნ. გვეტაძის, მ. ხარებავასა და ლ. ბარდაველიძის მიმართ, რომლებმაც ჯღამაძის საქმის განხილვისას, კანონის უხეში დარღვევით, ყაჩაღობის ნაწილში გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს განსასჯელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დადგენილებით, აღიძრა დისციპლინური დევნა,"** – ასეთი პასუხი მიიღეს დაზარალებულებმა იუსტიციის საბჭოდან.

**"მოსამართლე გვეტაძემ პირად საუბარში განმიცხადა, რომ მასთან მიდიოდნენ და აწუხებდნენ "გაერთიანებული ქართული ბანკისა" და საკუთრების დაცვის პოლიციის ხელმძღვანელები. როგორც გავარკვიე, ისინი შიშობდნენ, სასამართლოს ზარალის ანაზღაურება მათთვის არ დაეკისრებინა და ცდილობდნენ, ჯღამაძე პასუხისმგებლობისგან ეხსნათ,"** - აცხადებს დაზარალებული.

ერთი სიტყვით, უზენაესმა სასამართლომ უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის, საოლქო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნა განახორციელა და დაზარალებულის სარჩელის განხილვას თავად შეუდგა, რის შემდეგაც გაუქმდა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე, ხელახალი განხილვისთვის, ისევ საოლქო სასამართლოს სხვა მოსამართლეთა შემადგენლობას დაუბრუნდა. საოლქო სასამართლომ ჯღამაძე ამჯერად ყაჩაღობასა და იარაღის უკანონოდ ტარებაში დაადანაშაულა და მას პატიმრობის ვადად რვა წელი განუსაზღვრა. ეს გადაწყვეტილება ახლა განსასჯელის დამცველმა გაასაჩივრა და საქმე ისევ უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა. უზენაესმა სასამართლომ საქმე, ხელახალი გამოძიებისთვის, ამჯერად გენერალურ პროკურატურას გადასცა. ერთთვიანი გამოძიების შემდეგ, გენერალურმა პროკურატურამ საქმე კვლავ საოლქოს დაუბრუნა, სადაც მოსამართლე ხოლუაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც ჯღამაძეს აღმკვეთი ღონისძიება პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემით შეუცვალა, ყაჩაღობაში ბრალდებული კვლავ გამართლდა.

**"ხოლუაშვილის კოლეგია თავდებით გაშვებული ჯღამაძის საქმეს 11 თვის განმავლობაში განიხილავდა. ამ თერთმეტი თვის მანძილზე სასამართლომ მხოლოდ 15 მოწმე დაკითხა. სასამართლო კოლეგიამ უსაფუძვლოდ უარყო გამოძიების მიერ სასამართლოზე წარდგენილი ყველა მტკიცებულება, უარყო ჩემი მხრიდან ჯღამაძის ამოცნობის ფაქტი. მსჯელობის საგანი გახდა ჩემი და ჩემი მეუღლის მიერ აღმოჩენილი ტყვიის მასრა, აქეთ დაგვდეს ბრალი – საიდან და როგორ იპოვეთო. ერთი სიტყვით, მოსამართლეებმა ხოლუაშვილმა, ებრალიძემ და კვარაცხელიამ ცინიკურად და უსაფუძვლოდ, საქმის შეუსწავლელად უარყვეს ყველა მტკიცებულება და ჯღამაძე გაამართლეს. ხოლუაშვილის თავმჯდომარეობით მიმდინარე სასამართლო პროცესზე მე ჩემი თავი დაზარალებულის რანგში ვერ დავინახე. ხოლუაშვილი ყაჩაღის ინტერესების დამცველად მომევლინა და სასამართლომ დაუსაბუთებლად შეიტანა ეჭვი ჩვენ მიერ წარდგენილ ნივთმტკიცებაში – ტყვიის მასრაში. არადა, ჩვენი დაყაჩაღების დღეს ნაპოვნ ტყვიის მასრაზე ჩატარებული ექსპერტიზის პასუხი საქმეში დევს. მაინტერესებს, რომელი მუხლით იხელმძღვანელა სასამართლომ, როცა გადაწყვიტა, რომ დაზარალებულს არ აქვს უფლება, სამართალდამცველებს დანაშაულის ნივთმტკიცება ერთი თვისა და ორი დღის შემდეგ წარუდგინოს. თუ ორჯერ დაყაჩაღებული ოჯახის მიერ წარდგენილი მასრა, მოწმეთა მტკიცებების მიუხედავად, საეჭვოდ მიიჩნიეს, მაშინ უნდა განემარტათ ეჭვის საფუძველი, რადგან ყოველგვარ ეჭვს დასაბუთება და დამტკიცება სჭირდება,"** - ამბობს დაზარალებული, რომელსაც ახლა კვლავ უზენაესი სასამართლოს იმედი აქვს. საქმე ისაა, რომ ცოტა ხნის წინ უზენაესმა სასამართლომ კვლავ გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდებულის გამართლებასთან დაკავშირებით და საქმე ისევ საოლქო სასამართლოს გადასცა. საოლქო სასამართლომ კი საქმის განხილვა დაიწყო და ისევ გამოძიებაში დააბრუნა. არადა, გამოსაძიებელი, პრაქტიკულად, უკვე აღარაფერია. გამოძიებამ ამ საქმესთან დაკავშირებით თავისი ფუნქცია უკვე კარგა ხანია ამოწურა.

**"საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა, ამჯერად მოსამართლე წერეთლის თავმჯდომარეობით, თავხედურად, დაუსაბუთებლად შეიტანეს ეჭვი ჩვენ მიერ წარდგენილ მასრაში და უსაფუძვლოდ უარყვეს გამოძიების მიერ სასამართლოზე წარდგენილი ყველა მტკიცებულება. მაშინ, როცა უზენაესი სასამართლოს მითითებით ჩატარებულმა დამატებითმა გამოძიებამ კიდევ უფრო გაამყარა ჯღამაძის ბრალდება. ერთი სიტყვით, საოლქო სასამართლო ზემდგომი ინსტანციის – უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს და მითითებებს შეგნებულად არ ასრულებს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაესვას წერტილი ასეთ გაწელილ და გაჭიანურებულ საქმეს?"** – ასეთი გახლავთ ზედიზედ ორჯერ დაყაჩაღებულის, დამყაჩაღებლისგან დაშინებულისა და მართლმსაჯულებაზე განაწყენებული აზა ქაძანაიას მოთხოვნა, რომლისთვისაც არც მიყენებული ზარალი აუნაზღაურებია ვინმეს და არც საბოლოო პასუხი უთქვამს.

# სალიზინგო მომსახურების სპეციფიკა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

**სპს "ქავთარაძე და პარტნიორები" საკონსულტაციო ჯგუფი "დვნქ"**

**საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაცია**

გიორგი ფუტკარაძე

სალიზინგო ბიზნესის ყველაზე დიდი პორტფელი ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია, სადაც ყოველი მესამე კონტრაქტი დანადგარების შეძენისას სწორედ სალიზინგო ოპერაციით ხორციელდება.

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ქვეყნის საწარმოო რესურსების უდიდესი ნაწილი მოითხოვს ახალი ტექნოლოგიური ხაზებით გადაიარაღებას. საქართველოს სალიზინგო ბაზრის კვლევის შედეგებით, რომლებიც გამოაქვეყნა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, მთლიანი პერსპექტიული პორტფელი სალიზინგო ოპერაციებისთვის შეადგენს 20 მილიონ აშშ დოლარს 2004 წლის პერიოდზე გათვლით.

ქართულ მენტალიტეტში უკვე დიდი ხანია დევს მცნება, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები აუცილებლად წამგებიანი უნდა იყოს და მათი ფინანსირება მთლიანად საბიუჯეტო სახსრებიდან უნდა ხდებოდეს.

საჭიროა შეიქმნას სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის მაღალი ფაქტორი. ნდობის ფაქტორის აღდგენა არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ სახელმწიფო ჩინოვნიკების საჯარო გამოსვლებისა და მათი დაპირებების ხარჯზე, ამ მიმართულებით საჭიროა არსებობდეს რეალური მაგალითები.

საქართველოში დღეისთვის წარმოდგენილი სადილერო კომპანიები არ აწარმოებენ სალიზინგო მომსახურებას, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ უცხოური კომპანიები ვერ იღებენ საკუთარ თავზე იმ რისკებს, რომლებიც ახასიათებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას.

დღესდღეობით საქართველოში ეკონომიკის ყველაზე აქტიურ და განვითარებად სეგმენტს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელშიც დაკავებულია მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის უმრავლესობა.

მკითხველს გავაცნობთ არასაბანკო სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ახალ და პერსპექტიულ მიმართულებას ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც ითვალისწინებს სალიზინგო მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესში დაკავებული კომპანიებისთვის.

საჭიროა, ალბათ, ლიზინგის წარმოშობისა და განვითარების შესახებ გავაკეთოთ მცირე ექსკურსი, რათა მკითხველისთვის უფრო გასაგები გახდეს, თუ სად და რა პირობებში მოხდა ლიზინგის დანერგვა და განვითარება.

## საერთაშორისო გამოცდილება

პირველად ტერმინი "ლიზინგი" 1877 წელს გამოიყენა საკომუნიკაციო კომპანია "ბელლ"-მა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ლიზინგით მიეწოდებინა სატელეფონო აპარატები მომხმარებლებისთვის, ანუ ეს კომპანია თავის კლიენტებს აძლევდა საშუალებას, ესარგებლათ სატელეფონო აპარატებით სალიზინგო გადასახადების საფუძველზე. ამ გარიგებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ პერიოდში ამერიკაში საკომუნიკაციო ბიზნესის განვითარებას. ვინაიდან იმ დროისათვის ბევრ უბრალო ამერიკელ მომხმარებელს და მცირე მეწარმეს არ ჰქონდა საშუალება ერთბაშად გადაეხადა ტელეფონის აპარატის ღირებულება, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკაში ჩვეულებრივ კაფეებშიც კი უკვე სარგებლობდნენ ტელეფონებით, ხოლო დარეკვა ფასიანი იყო, რაც მათი მეპატრონეებისთვის ტელეფონის სალიზინგო გადასახადების დაფარვისა და შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა.

ყველასთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ აშშ-ში ავტომობილების პირველი სერიული მწარმოებელი ჰენრი ფორდი ასევე სალიზინგო ოპერაციების დახმარებით ახდენდა ავტომობილების რეალიზაციას. სწორედ ამ ფაქტით იყო გამოწვეული ის, რომ ამერიკაში ავტომობილების წარმოება უზარმაზარი ტემპებით იზრდებოდა.

უპირატესობები, რომლებიც გააჩნდა სალიზინგო ბიზნესს, სწრაფად გამოიყენეს და დანერგეს საწარმოო ხაზებისა და დანადგარების მწარმოებელმა დიდმა კომპანიებმა, რომლებმაც შექმნეს სალიზინგო მომსახურების სტრუქტურები, რათა მოეხდინათ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის სალიზინგო ოპერაციებით რეალიზაცია.

ეს, ერთი მხრივ, ზრდიდა რეალიზაციის მაჩვენებლებს და, მეორე მხრივ, ხელს უწყობდა ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს თანამედროვე საწარმოო ხაზებით უზრუნველყოფას.

ლიზინგის განვითარების უკვე საწყის ეტაპზე ასევე აქტიურად ჩაებნენ ბანკები და სადაზღვევო კომპანიები - ისინი საკუთარ საფინანსო რესურსებს სალიზინგო კომპანიებში ანთავსებდნენ. გარდა ამისა, სალიზინგო ოპერაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ლიზინგის საგნის დაზღვევა. ბანკები ასევე საკუთარ სტრუქტურებში ქმნიდნენ სალიზინგო დეპარტამენტებს.

სალიზინგო ოპერაციები უაღრესად აქტიურად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სფეროში მომუშავე კომპანიებისათვის. მათ სალიზინგო ოპერაციებით გადაეცემათ სასოფლო მექანიზაციისა და გადამამუშავებელი დანადგარები.

საერთაშორისო სალიზინგო ბაზარზე ყველაზე დიდი მოცულობის პორტფელი საავიაციო ტრანსპორტის სფეროში მომუშავე წამყვან სალიზინგო კომპანიებს აქვთ. ავიაციის სფეროში თვითმფრინავების შეძენა ხშირად სწორედ სალიზინგო ოპერაციების საშუალებით ხორციელდება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები დამადასტურებელია იმ დიდი მნიშვნელობისა, თუ რაოდენ ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სალიზინგო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკაში.

## სალიზინგო ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში

ლონდონის ფინანსური ჯგუფის მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, უახლოეს განვლილ პერიოდში სალიზინგო ინვესტიციების საერთო მოცულობამ კოლოსალური თანხა შეადგინა და იგი 500 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია. ჯამური მაჩვენებლებით, სალიზინგო ბიზნესის ყველაზე დიდი პორტფელი ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია, სადაც ყოველი მესამე კონტრაქტი დანადგარების შეძენისას სწორედ სალიზინგო ოპერაციით ხორციელდება. მეორე ადგილს იაპონია, გერმანია და დიდი ბრიტანეთი ინაწილებენ, პოსტსაბჭოური სივრცის ევროპის ქვეყნებიდან ჩეხეთი წარმოადგენს ლიდერს სალიზინგო ოპერაციების მოცულობებით, ამ ქვეყანაში ყოველი მეორე ავტომობილი სწორედ სალიზინგო მომსახურებითაა შეძენილი.

განვითარებული ქვეყნების მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, მსხვილ სალიზინგო კომპანიებს დიდ საწარმოებში ხელშეკრულების საფუძველზე ჰყავთ ე.წ. სეილ- მენეჯერები, რომლებიც სალიზინგო მომსახურებას უწევენ ამ საწარმოთა პროდუქციის შეძენის სურვილის მქონე კომპანიებს, რომელთა ფინანსური ინტერესებიდან ახალი დანადგარების შეძენა.

ამავე დროს სალიზინგო კომპანიები სარგებლობენ მსხვილი მწარმოებლების მხრიდან სპეციალური ფასდაკლებებით, ანუ მათი ინტერესები არა მარტო სალიზინგო საზღაურით შეიძლება იქნეს გამოხატული, არამედ იმ ფასდაკალების მარჟითაც, რომელსაც ისინი ღებულობენ მწარმოებელი კომპანიებისგან.

დღეს განვითარებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის საერთო საშუალო მაჩვენებლებში ინვესტიციების 30%-ს სწორედ ლიზინგი შეადგენს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სალიზინგო მომსახურეობის განვითარება ყველაზე აქტიური ტემპებით განხორციელდა ბალტიისპირეთისა და რუსეთის ბაზარზე.

მაგალითად, 2002 წელს სალიზინგო ოპერაციების საერთო მაჩვენებელი რუსეთში 1,7 მილიარდი აშშ დოლარი იყო, ხოლო 2003 წელს 4 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენდა. ეს ციფრი, თავისთავად, რუსეთის ბაზრისათვის არ არის დიდი მაჩვენებელი მაგრამ 2002 წელთან შედარებითი ანალიზი მაჩვენებელია ბიზნესის მზარდი განვითარებისა.

## საკრედიტო და სალიზინგო მომსახურების შედარებითი ანალიზი

მოგეხსენებათ, რომ ქართული ადგილობრივი საბანკო-საკრედიტო რესურსები უაღრესად მაღალი საპროცენტო მომსახურების მაჩვენებლებით ხასიათდება. შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტის განვითარება საკრედიტო რესურსების გამოყენებით ისეთი ტემპებით არ ვითარდება, როგორც ეს ქვეყნისთვის არის საჭირო.

საკმაოდ საინტერესოა შედარებითი ანალიზი საკრედიტო და სალიზინგო ოპერაციებს შორის; კერძოდ:

საქართველოში იმისთვის, რომ მეწარმემ ისარგებლოს საკრედიტო რესურსებით ქართული ბანკებიდან (აუცილებელი პირობაა!), უნდა წარმოადგინოს დამატებითი უზრუნველყოფის პირობებით გათვალისწინებული გარანტიები, რისი საშუალებაც ხშირად მცირე ბიზნესში დაკავებულ კომპანიებს არ გააჩნიათ. სალიზინგო მომსახურება ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს და ასეთი სახის დატვირთვისგან ათავისუფლებს მეწარმეს. სალიზინგო ოპერაციის განსახორციელებლად ლიზინგის საგნის მიმღებმა მხარემ უნდა დააფინანსოს დანადგარის საერთო ღირებულების 20%-30%.

სალიზინგო ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ლიზინგის საგნის საბოლოოდ შესყიდვის უფლება-ვალდებულებას, ასევე შესაძლებელია, რომ ლიზინგის საგანი დაუბრუნდეს სალიზინგო კომპანიას, ანუ შეზღუდვა ლიზინგის საგნის საბოლოო შესყიდვა-არშესყიდვის ირგვლივ არ არის აუცილებელი. ეს დამოკიდებულია სალიზინგო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა შეთანხმებაზე.

სალიზინგო ოპერაცია არ ზღუდავს მეწარმეს, სხვა საბანკო კრედიტის საშუალებით მოიზიდოს დამატებითი ფინანსური რესურსები, ანუ მეწარმეს აქვს საშუალება წარადგინოს დამატებითი უზრუნველყოფის გარანტიები რომელიმე ბანკში და მიიღოს საკრედიტო რესურსი.

როგორც ვხედავთ, სალიზინგო მომსახურების განსხვავება საკრედიტო პროდქტის მიღების პირობებისგან უაღრესად თვალსაჩინოა. მეორე მხრივ, სალიზინგო მომსახურება გამოირჩევა გარკვეული სპეციფიკით, რომელიც მეწარმეს საკმაოდ კარგ შეღავათებს აძლევს თავისი საქმიანობაში საგადასახადო კუთხით.

კერძოდ:

სალიზინგო ხელშეკრულების განმავლობაში ლიზინგის საგნის მიმღებ მხარეს აქვს უფლება, დაარიცხოს ლიზინგის საგანს ამორტიზაციის გაორმაგებული კოეფიციენტი წრფივი მეთოდით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით არსებობს სპეციალური სასაქონლო ნომენკლატურა იმ დანადგარების ჩამონათვლით, რომლებიც სალიზინგო ოპერაციის შემთხვევაში იბეგრებიან ნულოვანი განაკვეთით.

## როგორ მუშაობს ლიზინგი?

სალიზინგო გარიგება დგება ოთხ მონაწილე მხარეს შორის: **ლიზინგის გამცემს** (სალიზინგო კომპანია), **ლიზინგის მიმღებს** (ლიზინგის საგნის მიმღები კომპანია), **მომწოდებელსა** (დანადგარის გამყიდველი ან მწარმოებელი კომპანია) და **დამზღვევს** (სადაზღვევო კომპანია) შორის.

როგორც წესი, პრაქტიკაში მიღებულია შემდეგი სქემა:

ლიზინგის გამცემსა და მომწოდებელს შორის **ნასყიდობის ხელშეკრულება;**

ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის **ლიზინგის ხელშეკრულება;**

ლიზინგის მიმღებსა და დამზღვევს შორის **სადაზღვევო ხელშეკრულება**.

მაშასადამე, გარიგების დროს, მას შემდეგ, რაც გამცემსა და მიმღებს შორის დაიდება ლიზინგის ხელშეკრულება, გამცემი შეისყიდის ლიზინგის საგანს (მოწყობილობას, მანქანა-დანადგარს და ა.შ.) იმ მომწოდებლისგან, რომელსაც მიუთითებს მიმღები (თუმცა შესაძლებელია, რომ სალიზინგო კომპანიამ თავად შეურჩიოს ლიზინგის მიმღებ მხარეს ლიზინგის საგნის მწარმოებელი და გამყიდველი კომპანია).

ლიზინგის საგნის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდება სალიზინგო კომპანიასა და მომწოდებელს შორის, დაფიქსირდება უკანასკნელის ვალდებულებები: განსაზღვრულ ვადაში გადასცეს ლიზინგის საგანი მიმღებს, უზრუნველყოს საგნის ხარისხი და კომპლექტაცია, სრულად ჩააბაროსა ან დაამონტაჟოს მოწყობილობა. ნასყიდობის ხელშეკრულების ტექსტი წერილობით თანხმდება ლიზინგის მიმღებთან.

ლიზინგის გადაცემის პროცესი ითვალისწინებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას სალიზინგო კომპანიასა და ლიზინგის მიმღებ მხარეს შორის, აქტის საფუძველზე მონაწილე მხარეები აფიქსირებენ ლიზინგის საგნის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შესაბამისობას.

ლიზინგის განი, როგორც წესი, მიეწოდება პირდაპირ მიმღებს. მიმღები მხარე ლიზინგის საგანს მის სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა რისკის გათვალისწინებით წინასწარ დააზღვევს დამზღვევთან, სადაზღვევო ხელშეკრულებით დაზღვევით მოსარგებლედ ჩაითვლება სალიზინგო კომპანია.

ლიზინგის საგნის გადაცემის მომენტიდან მიმღებს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მის დაცვაზე, შესაბამის პირობებში შენახვასა და საგნის მუშა მდგომარეობის უზრუნველყოფაზე.

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დანადგარი ლიზინგის მიმღები მხარის ბალანსზე აღირიცხება, ხოლო ის **სალიზინგო კომპანიის** კუთვნილებად რჩება.

ლიზინგის მთელი სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლება გააჩნია სალიზინგო კომპანიას, ხოლო მიმღები იყენებს საგანს თავისი საწარმოო მიზნების შესაბამისად და თან ყოველთვიურად იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სალიზინგო საზღაურს.

ხელშეკრულებაში განსაზღვრული გრაფიკით საზღაურის გადახდის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამცემი უფლებამოსილია, პირდაპირ მფლობელობაში აღიდგინოს ლიზინგის საგანი, რომელიც მასვე ეკუთვნის საკუთრების უფლებიდან გამომდინარე და მოახდინოს მისი გამოყენება მისივე გადაწყვეტილებით. თუ ლიზინგის მიმღები საზღაურის გადახდას ახორციელებს გრაფიკის შესაბამისად და გადაიხდის ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალსიწინებულ მთლიან ფასს, ლიზინგის საგანზე საბოლოო საკუთრების უფლება მას ექნება.

მთლიან ფასში იგულისხმება დამატებითი შესასყიდი ფასი (ანუ სალიზინგო გადასახადების ჯამს ბოლო ტრანშეზე დამატებული გამოსყიდვის საბოლოო თანხა).

ყოველგვარი შემოსავალი და მოგება, რომელსაც მიიღებს მიმღები აღნიშნული საგნით სარგებლობის პერიოდში, წარმოადგენს მის საკუთრებას.

**რისგან შედგება ყოველთვიური სალიზინგო ტრანში:**

1. ლიზინგის საგნის ღირებულება;
2. ლიზინგის სარგებელი;
3. სხვა სახის დამატებითი გადასახადები (არაპირდაპირი გადასახდები), რომლებიც შეიძლება თან სდევდეს ლიზინგის საგნის მთლიან ღირებულებას, მაგალითად - დაზღვევის თანხა, ტრანსპორტირების ღირებულება, განბაჟების ღირებულება და სხვა...

## ლიზინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ქვეყნის საწარმოო რესურსების უდიდესი ნაწილი მოითხოვს ახალი ტექნოლოგიური ხაზებით გადაიარაღებას.

საქართველოში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსდა და ხორციელდება "ლიზინგის განვითარების პროგრამა".

საქართველოს სალიზინგო ბაზრის კველვის შედეგებით, რომლებიც გამოაქვეყნა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, მთლიანი პერსექტიული პორტფელი სალიზნგო ოპერაციებისთვის შეადგენს 20 მილიონ აშშ დოლარს 2004 წლის პერიოდზე გათვლით.

ეს პორტფელი, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი იქნება მას შემდეგ, რაც მოხდება საინვესტიციო პროექტების გააქტიურება სალიზინგო სეგმენტის განვითარებისთვის.

უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ხელშეწყობა სალიზინგო მომსახურეობის საშუალებით, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია, შეიქმნას სახელმწიფო და საერთაშორისო ფინანსური საგარანტიო ფონდები, რომლებიც სადაზღვევო კომპანიებთან ერთად ჩაერთვებიან სასოფლო სამეურნეო სეგმენტში საბანკო და არასაბანკო სტრუქტურების მიერ განხორციელებული ოპერაციების რისკების დაზღვევაში.

საჭიროა, სალიზინგო კანონმდებლობის დასახვეწად საგადასახადო კოდექსში მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება: დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრა არ უნდა შეეხოს სალიზინგო კომპანიებს მათი ჩვეულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლების ნაწილში. ეს პრინციპი დღეს მუშაობს საბანკო სფეროში და ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს შეღავათი გავრცელდეს სალიზინგო კომპანიებზეც.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სალიზინგო ოპერაციებში სადაზღვევო სტრუქტურების მუშაობა, ვინაიდან სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმება სადაზღვევო პოლისის არსებობის გარეშე პრაქტიკულად არ ხორციელდება. ეს ფაქტი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სადაზღვევო ბიზნესის გააქტიურებას.

იმისათვის, რომ ლიზინგის სპეციფიკა და მისი გამოყენების შესაძლებლობები მეწარმეებისა და საზოგადოებისთვის უფრო გასაგები გახდეს, უნდა მოეწყოს სპეციალიზირებული და სასწავლო სემინარები არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც მცირე ბიზნესს უაღრესად დიდი სირთულეები აქვს საკრედიტო პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია რეგიონალური სპეციფიკა საქართველოს ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისას, ვინაიდან მთიან რეგიონებში სადაც ინდუსტრიული საწარმოები თითქმის არ არის განვითარებული, სასოფლო სამეურნეო ბიზნესის სეგმენტში უნდა მოხდეს სალიზინგო ოპერაციების ინიცირება.

სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებული საწარმოების უმრავლესობა, სამწუხაროდ, დღეისთვის წარმოადგენს უმძიმესს ტვირთს, რომელიც არ ფუნქციონირებს და ამავე დროს მისი კერძო სექტორში გადაცემაც არ ხდება. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს არა მარტო ის სიძნელეები, რომლებიც თან სდევს საბიუჯეტო ფინანსირების სიმცირეს, არამედ ისიც, რომ ასეთი ტიპის წარმოებებს არ გააჩნიათ თანამედროვე სახის ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებიც მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას კონკურენტუნარიანს გახდიდა საერთაშორისო ბაზრის პირობებში.

მნიშვნელოვან საკითხად შეიძლება სახელმწიფო სალიზინგო კომპანიების დაარსებაც; მაგალითისათვის, რუსეთში, ძირითადად, ასეთი სტრუქტურები ფუნქციონირებენ. ისინი ფერმერულ მეურნეობებთან მუშაობენ მათთვის სასოფლო სამეურნეო ტექნიკის სალიზინგო ოპერაციების საშუალებით გადაცემაზე.

ქართულ მენტალიტეტში უკვე დიდი ხანია დევს მცნება, რომ სახელმწიფო ორგანიზაციები აუცილებლად წამგებიანი უნდა იყოს და მათი ფინანსირება მთლიანად საბიუჯეტო სახსრებიდან უნდა ხდებოდეს. არადა, სწორი მენეჯმენტისა და რისკების მართვის შემთხვევაში სახელმწიფო სალიზნგო კომპანიებს შეუძლიათ, რომ საკმაოდ კარგი ეფექტი მოახდინონ სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.

დღესდღეობით საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია ახლად ჩამოყალიბებული დამწყები კომპანიებისათვის საკრედიტო მომსახურების მიღება საბანკო სექტორიდან, ვინაიდან არ არსებობს მათი რისკების დაცვისა და დაზღვევის მექანიზმები. ამ ფუნქციას თუ ნაწილობრივ იკისრებდა სახელმწიფო სალიზინგო კომპანიები, რეალური გახდებოდა მათთან ერთად პროექტების დაფინანსებაში საბანკო სექტორის ჩართვაც, ანუ უნდა ჩამოყალიბდეს რისკების გადანაწილების პრეცედენტები და არა 10% და 20%-ის მოცულობით, არამედ დასაწყისისთვის 70%-80% მოცულობებზე. ბიზნესის კარგი განვითარება თავად მისცემს სტიმულს კერძო კომპანიებს და ბანკებს, რომ მათი მონაწილეობა მსგავსი სახის პროექტებში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი და მეტი ფინანსური მოცულობებით.

იმისათვის, რომ ქვეყანაში განვითარდეს ასეთი ტენდენციები, საჭიროა შეიქმნას სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის მაღალი ფაქტორი, რამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამას? პირველ რიგში, სახელმწიფო კადრების კომპეტენტურობამ და ასევე სახელმწიფო სპეციალიზირებული ფონდების ხელშეუხებლობამ.

საერთაშორისო დონორ და საფინანსო ინსტიტუტებს უნდა მიეწოდოთ საერთაშორისო სტანდარტებით ჩამოყალიბებული ბიზნესგეგმები, სადაც მოცემული იქნება სახელმწიფო მონაწილეობით დაარსებული სალიზნგო კომპანიების განვითარებისა და მათი სტრატეგიის პერსპექტიული აღწერილობა, ამავე დროს საჭიროა მოხდეს რეალური მაგალითის შექმნა, როდესაც სახელმწიფო დააფუძნებს სალიზინგო კომპანიას და დამოუკიდებლად დაიწყებს ფუნქციონირებას, ხოლო მისი წარმატების შემთხვევაში ექნება აზრი, რომ ასეთი კომპანიებისთვის მიღებულ იქნეს საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტებისგან შეღავათიანი და გრძელვადიანი კრედიტები.

ჩვენს ქვეყანაში არსებობს ბევრი მაგალითი, როდესაც კერძო საწარმოები დამოუკიდებლად და არა სახელმწიფოს ლობირებით ახერხებენ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან მსგავსი კრედიტების მიღებას. საჭიროა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ შეარჩიოს ფინანსისტთა ისეთი კადრები, რომელთა პროფესიონალიზმი და მართვის გამოცდილება იმდენად ეფექტური იქნება, რომ მისცემს საშუალებას საბანკო და არასაბანკო კერძო სექტორს, მოახდინონ ინვესტირებები სახელმწიფო სალიზინგო კომპანიებში.

კარგი იქნება, რომ საქართველოში მოქმედმა ბიზნესგაერთიანებებმა მოახდინონ კონსოლიდაცია, რათა სახელმწიფო პოლიტიკა სახელმწიფო ბიზნესსტრუქტურების განვითარების მიმართულებით დაიხვეწოს და მოხდეს მისი გააქტიურება, პირველ რიგში - ნდობის აღდგენისა და საინტერესო საინვესტიციო პროექტების ჩამოყალიბებისა და მათი ხელისშეწყობის თვალსაზრისით.

ნდობის ფაქტორის აღდგენა არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ სახელმწიფო ჩინოვნიკების საჯარო გამოსვლებისა და მათი დაპირებების ხარჯზე, ამ მიმართულებით საჭიროა არსებობდეს რეალური მაგალითები. ის წლები, რომლებიც, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით დაიკარგა, კომპენსირებული უნდა იქნას სახელმწიფო გარანტიების ფორსირებული ამოქმედებით.

სალიზინგო კომპანიების ერთ-ერთ დადებით ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ასეთ კომპანიებს შესაძლებელია ქვეყნის ყველაზე დიდი ბანკის მოცულობის ტოლი პორტფელი ჰქონდეთ, მაგრამ სალიზინგო კომპანიების მართვას (საბანკო სისტემისგან განსხვავებით) გაცილებით ნაკლები საკადრო რესურსები სჭირდება.

საქართველოში დღეისთვის წარმოდგენილი სადილერო კომპანიები არ აწარმოებენ სალიზინგო მომსახურებას, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ უცხოური კომპანიები ვერ იღებენ საკუთარ თავზე იმ რისკებს, რომლებიც ახასიათებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. ამ მიმართულებით ქართულმა სალიზინგო კომპანიებმა უნდა შექმნან პრეცედენტი, როდესაც მათი მენეჯმენტი სწორად განსაზღვრავს არსებულ რისკებს და დაიწყებს საქართველოში წამყვანი უცხოური კომპანიების პროდუქციის სალიზინგო ოპერაციების საშუალებით რეალიზაციას.

საქართველოში ამჟამად მოქმედებს ორი სალიზინგო კომპანია, რომელთა დამფუძნებლებიც არიან თბილუნივერსალბანკი და თიბისი ბანკი. მათი აქტიურობა მხოლოდ თბილისისა და ახლო რეგიონებითაა შეზღუდული.

რა თქმა უნდა, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია სალიზინგო ბაზარზე ახალი კომპანიების გამოჩენა, რომლებიც ბიზნესის სხვადასხვა სეგმენტში დაიწყებენ თავიანთ საქმიანობას.

## სალიზინგო საქმიანობის კანონმდებლობა

ალბათ, მკითხველისთვის საინტერესოა ასევე საკითხები, რომლებიც უკავშირდება სალიზინგო საქმიანობის კანონმდებლობას, რომელიც, თავის მხრივ, დახვეწას მოითხოვს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა, რომელიც უკავშირდება ამ საკითხს; კერძოდ: საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) 78-ე მუხლის შესაბამისად, "ლიზინგი" განმარტებულია, როგორც ქონების იჯარით გადაცემის კონკრეტული ნაირსახეობა.

ამავე დროს, ამავე კოდექსის 29.10 მუხლის შესაბამისად, ქონების იჯარით გადაცემა წარმოადგენს მომსახურების გაწევის ოპერაციას.

ასევე საგულისხმოა, რომ სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს საიჯარო ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემას მეიჯარედან მოიჯარეზე, რაც, თავის მხრივ, სსკ-ს 29.15 მუხლის შესაბამისად განმარტებულია როგორც საქონლის მიწოდება. სსკ-ს 78.4 მუხლის შესაბამისად, ლიზინგთან დაკავშირებული აქტივების ღირებულება, შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრება ბუღალტრულ აღრიცხვაში არსებული მეთოდიკით. საქართველოში მოქმედი საერთაშორისო-საბუღალტრო აღრიცხვის მე-17 სტანდარტის (ბასს 17) 35-ე მუხლის განმარტებით, "ლიზინგის" შემთხვევაში მეიჯარის მიერ მიღებული შემოსავალი შედგება:

იჯარით გადაცემული აქტივის რეალიზაციით მიღებული შემოსავალისგან;

იჯარის ვადის განმავლობაში მიღებული საპროცენტო შემოსავლებისგან.

თავის მხრივ, საპროცენტო შემოსავლები კავშირშია სასესხო ოპერაციებთან. ეს ოპერაციები კი, საგადასახადო კოდექსის 29.10 მუხლის შესაბამისად, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. ბასს 17-ის შესაბამისად, ლიზინგური მომსახურება კავშირშია სასესხო ვალდებულებებთან.

ლიზინგის მომსახურების კომპონენტი წარმოადგენს ფინანსურ მომსახურებას. ამდენად, სსკ-ს 101.1.ა მუხლის შესაბამისად, იგი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან (დღგ) და არ ექვემდებარება საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერას. რაც შეეხება პირველ კომპონენტს (საქონლის მიწოდებას), საქონლის კატეგორიიდან გამომდინარე, იგი შეიძლება იყოს დღგ-საგან განთავისუფლებული ან ექვემდებარებოდეს დღგ-თი დაბეგვრას. ამასთან, ლიზინგის ოპერაცია წარმოადგენს სსკ 115.3-ში განმარტებულ უწყვეტ ოპერაციას და თუ იჯარით გაცემული საქონლის მიწოდება ექვემდებარება დღგ-თი დაბეგვრას, მასზე საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოიწერება მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც.

ლიზინგის საქონლის შეძენა პირდაპირ არის დაკავშირებული მხოლოდ მისი ლიზინგით გაცემის პირველ კომპონენტთან, ანუ საქონლის მიწოდებასთან, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს დღგ-თი დასაბეგრი, ან ამ უკანასკნელისგან გათავისუფლებული. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგით გაცემული საქონლის მიწოდება წარმოადგენს დღგ-თი დასაბეგრ ოპერაციას, მაშინ მისი შეძენისას გადახდილი დღგ სრულად დაექვემდებარება ჩათვლას.

სალიზინგო ბიზნესის განვითარება სახელმწიფო ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქნეს არჩეული, ვინაიდან ამ ბიზნესის განვითარებაზეა დამოკიდებული მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## კვირის მიმოხილვა



კინომსახიობთა თეატრი ფესტივალის საჩუქრის მოლოდინშია

B3

## დიდება ჩვენს ბატონს!



დიდი, დიდი ხნის წინათ, 1789 წელს, კურფიურსტმა კარლ თეოდორმა მიუნხენში, მდინარე იზარის ჭაობიან ჭალაში დიდი პარკის გაშენება ინება.

B3

## იტალიას ბურთი არ მოუვიდა თვალში



იტალიელ ფეხბურთელებს "ადიდასის" ახალი ბურთები არ მოსწონთ.

B 4

ნოდარ ლადარია

მახსოვს, ამერიკაში მცხოვრებმა ერთმა ჩემმა ნაცნობმა გაკვირვება გამიზიარა: 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, მაშინ, როცა პრესაც, ტელევიზიაც და რადიოც, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთი მოვლენით იყო დაკავებული, ამერიკულ გაზეთებში მანჰეტენის ტრაგედიისადმი მიძღვნილ ყველა სტატიას, დამოუკიდებლად მისი ჟანრისა, წინ წამძღვარებული ჰქონდა მოკლე ცნობა იმის შესახებ, თუ რა მოხდა ნიუ-იორკში 2001 წლის 11 სექტემბერს. რატომ? პასუხი მარტივია: გაზეთმა ჩვენს გარშემო არსებულ სინამდვილეში უნდა გაგვარკვიოს, აქ რებუსები ნამდვილად უადგილოა. ცხადია, არსაიდან გამომდინარეობს, რომ მკითხველი ვალდებულია, იცოდეს, რა მოხდა ნიუ-იორკში. იმას, რომ არმცოდნეთა რიცხვი რეალურად ძალიან მცირეა, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს: არცოდნის უფლება დაცული უნდა იყოს...

კიდევ მახსოვს, ჩემს ბავშვობასა და ყრმობაში გავრცელებული ერთი ფენომენი — **კედლის გაზეთი** (ყველაზე მაზალო სახელწოდება — "სტომატოლოგის ხმა"). სკოლების, პოლიკლინიკების, სასამართლოების, სხვა სახელმწიფო დაწესებულებების დერეფნებში კედლებზე ეკიდა ფერადი ფანქრებით თუ გუაშით უგემოვნოდ გაფორმებული და ხშირად შარშანწინდელი რიცხვით დათარიღებული ეს სასწაული. საქარხნო წესით სტანდარტულ ჩარჩოს კი, ჩვეულებრივ, **ვ. ი. ლენინის** ერთი გამონათქვამი ამკობდა: "გაზეთი არა მარტო პოლიტიკური ინფორმატორი, არამედ პოლიტიკური ორგანიზატორიცაა". ჩვენ დღესაც მივაწერთ პრესას პოლიტიკური ორგანიზატორის მეორად ფუნქციას, პირველადი კი გვავიწყდება.

აი, თუნდაც 31 მაისის სტატია: **მიხეილ აბაიშვილი**, *ჩაწიხლული "ოქროს მატჩი" — "ვიტ ჯორჯიას" ოქროს მედლების მეორე მხარე*. სტატია პირველ გვერდზე იწყება და მეორეზეა გადატანილი. ჰოდა, სწორედ მეორე გვერდზე უნდა გადახვიდე და ტექსტის ორი მესამედი უნდა წაიკითხო, რომ მიხვდე, რაზეა ლაპარაკი. მანამდე კი სულ იმას ფიქრობ, ფეხბურთს ეხება საქმე თუ რაგბის? ან ეს "ვიტ ჯორჯია" რაღა დოზანაა? — ეგეც ვითომ 11 სექტემბერი მყავს! რატომ ჰგონია ამ ხალხს, რომ გაზეთს მხოლოდ თავგადაკლული გულშემატკივრები ყიდულობენ? სათაური აშკარად მოგვიწოდებს: წამიკითხე, დახე, რა საინტერესო ვარ — ოქროს მატჩი და ისიც ჩაწიხლული! მაგრამ ასე ხომ სწორედ არიფებს მოუწოდებენ. მეც არიფი ვარ, ბატონო, ფეხბურთში და, მართალი გითხრათ, არც მინდა ამაზე მეტად გათვიცნობიერება, მაგრამ ათას ერთი მიზეზი მაქვს იმისათვის, რომ დამაინტერესოს სწორედ ჩაწიხლულმა მატჩმა, რადგან, ჩემდა საუბედუროდ და საგაწამაწიოდ, მაინტერესებს ჩემი ქვეყნის ყოველდღიურობა. რა ვქნა, არ წავიკითხო სპორტის ამბები, თუ მოყვარულთა ეზოტერულ სექტას არ მივეკუთვნები? ჩაყონ ახლა სპორტულმა კომენტატორებმა ცხვირი ენციკლოპედიებში და იმასაც ვნახავთ, თუ იპოვნიან, რას ნიშნავს "ეზოტერული სექტა"...

იქნებ ასეთი სათაურებიც შევარჩიოთ: "ფერი ისევ ვერ ამოფრინდა!" ან "სტოქასტიკურად ემანსიპირებული დისონანსი"? ხომ ძალზე ცოტა ვინმე მიხვდება, რომ პირველი მაღალი ენერგიების ფიზიკას ეხება, მეორე კი XX საუკუნის მუსიკას. რატომ ჰგონიათ, რომ სპორტული მოვლენების მიმდევრობა ან თუნდაც ძირითადი ტერმინოლოგია ყველასათვის ცნობილია. ესეცაა, რომ ამგვარად აგებული ტექსტი თვით გაზეთის იდეის დისკრედიტირებაა: თურმე ჩვენ ვწერთ იმაზე, რაც უკვე ჩვენგან დამოუკიდებლად ყველამ იცის ტელევიზორის მეშვეობით ან ჭორების წყალობით.

ჰოდა, გაზეთიც ერთგულად მისდევს ლენინის ანდერძს და ორგანიზატორი უფრო გამოდის, ვიდრე ინფორმატორი. მედია თითქოს ახალ ინფორმაციას კი არ აწვდის ადამიანებს (თბილისში ხომ ისედაც ყველამ ყველაფერი იცის!), არამედ აქცენტებს ანაწილებს, აზრს წარმართავს. ნუთუ ასეთი სტრატეგია ყოველთვის ამართლებს?

ყოველთვის არა — მხოლოდ ზოგჯერ და ისიც შემთხვევით. აი, მაგალითად, 5 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა **თამარ დვალის** სტატია *წყალი ჩვენი არსობისა...* არა, არა: სტატია სრულიად ნორმალურია და სრულ შთაბეჭდილებას იძლევა იმაზე, რასაც აშუქებს, ანუ თბილისის საკრებულოში 4 ივნისს გამართულ სხდომას, სადაც თბილისის წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემის ფრანგი მოიჯარადისადმი გადაცემის გადაწყვეტილება უნდა დამტკიცებულიყო. ტექსტში მოყვანილია ვრცელი ამონარიდი საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური განცხადებიდან: "**მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ყოვლად მიუღებელია მოსახლეობისათვის ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის კერძო სექტორისთვის მართვის უფლებით გადაცემა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით მისი მართვა**"... და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ტექსტი იმდენადაა გადატვირთული "პერესტროიკის" დროინდელი ლექსიკითა და ქართველი "ლეიბორისტების" საკადრისი პატრიოტული პათოსით, რომ საქმეში ჩაუხედავ, მაგრამ გემოვნებიან ადამიანს მაშინვე მოუნდება ყოველგვარი მსჯელობის გარეშე გადაულოცოს წყალ-კანალის გასაღები "ჟენერალ დეზოს" (ცნობისათვის: ფრანგული g ქართულში გადმოდის როგორც "ჟ" და არა "ჯ"). მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამავე ნომერში დაიბეჭდა **რევაზ საყევარიშვილის** სტატია: *რატომ იცვამენ ფრანგები "ბაბაჯანას ქოშებს"?* აქ ყოველგვარი ეგზალტაციის გარეშე (არც ეროვნულობის გამო მკერდში მჯიღის ცემა და არც საქართველოს გადახდისუუნარო მოსახლეობის გამო ცრემლის ღვრა) ახსნილია, რატომაა ფრანგებთან დასადები კონტრაქტის შინაარსი მიუღებელი.

როგორც ვხედავთ, საპატრიარქოს განცხადებაც და საყევარიშვილის სტატიაც ერთსა და იმავე დასკვნას შეიცავს, მაგრამ უკანასკნელში სერიოზული და მართებული არგუმენტაციის გზაა არჩეული. დასკვნათა ერთიანობა შემთხვევითია. მაგრამ ეს შემთხვევითობა არავის ადარდებს, რადგან რატომღაც არ სცემენ ჩვენში პატივს არგუმენტაციას. რიტორიკა უფრო *ევასებათ*.

სწორედ ლოგიკური არგუმენტაციის უფლებათა აღსადგენად დაეცა "მზეს" **ირაკლი ბერიაშვილი** (1 ივნისი, *ვეცემი მზეზე*). ჩემზეც საშინელი შთაბეჭდილება დატოვა იმ გადაცემამ, სადაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ალექსანდრე ლომაია და პარლამენტარი დათო ზურაბიშვილი გამოიძახეს "დაკითხვაზე". ვიფიქრე, ამ ქვეყანაში ცხოვრება ჯანმრთელობისთვის საზიანოა-მეთქი და სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. ტელეჟურნალისტებმა მოზეიმე უვიცობის მართლაც უმაღლესი დონე აჩვენეს. ბოლოს და ბოლოს ყველა ხომ ვერ დასვამს მათ შესაბამის ადგილას ასე გაბედულად და მოხერხებულად, როგორც ეს **კახა ბენდუქიძემ** შეძლო: ნუთუ მართლა ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც სრულიად მარტივი ჭეშმარიტების სათქმელად ანგარიშზე მაინცდამაინც მილიონები უნდა გედოს?

ასევე ჩვენს ცხოვრებაში ლოგიკური არგუმენტაციის სრულუფლებიან დანერგვას ეძღვნება **კახა ჯამბურიას** სტატია *კიდევ ერთხელ გამოცდების შესახებ* (31 მაისი), რომელსაც ქვესათაურიც ახლავს: *ცრუ საფრთხე და რეალური ამოცანები*. აბა, ვნახოთ: "**მოსწავლე წერს (თუ იწერს) ისეთ თემებს, რომელთა სათაურები ხშირად სადოქტორო დისერტაციის სათაურებს ემთხვევა და, ამავე დროს, მისთვის დაუძლეველი ამოცანაა, გამართული ქართულით დაწეროს განცხადება, ავტობიოგრაფია, პირადი თუ ოფიციალური წერილი...**". სწორედ ამის გამო შემოაქვთ ახალი ტესტები, სადაც თითქმის ყოველ დავალებას აწერია: "**თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**".

ტესტებს, როგორც კახა ჯამბურია გვამცნობს, მომხრეები გამოუჩნდათ და მოწინააღმდეგეები. საინტერესოა მათი არგუმენტები. მომხრეები: "**ახალი ტიპის წერითი გამოცდები ხელს შეუწყობს სტერეოტიპული აზროვნებისა და "შპარგალკომანიის" დაძლევას, ახალგაზრდობას წიგნთან მოაბრუნებს**". მოწინააღმდეგენი: "**ჩვენი სკოლა არ არის მზად ასეთი სიახლეებისათვის და მოსწავლეები დაიჩაგრებიან, რაკი ასეთი წერითი დავალებები აქამდე არავის შეუსრულებია**". ვთარგმნოთ ეს უკანასკნელი "არგუმენტი" ადამიანურ ენაზე: "ჩვენი მასწავლებლები დებილები არიან და ძველებურად ვერ გაუკვლევენ გზას თავისნაირ დებილებს, რადგან ვერც ერთნი და ვერც მეორენი ახალ სისტემას ვერ დაძლევენ". სხვა ახსნა ამ არგუმენტს არა აქვს! აქ ორი უკვე ყბადაღებული კლიშეა გამოყენებული: "არა ვართ მზად" და "დაიჩაგრებიან". რატომღაც ისე გამოდის, რომ ჩვენი "ეროვნულად მოაზროვნე პატრიოტები" სულ იმას გაიძახიან, საზოგადოება მზად არააო, თითქოს ეს მარადიული მოუმზადებლობა და ინფანტილიზმი ყოფილიყოს მათი ეროვნული სიამაყის საფუძველი. რაც შეეხება "დაჩაგვრას", ესეც წამდაუწუმ გვესმის: დაიჩაგრებიან, მაგალითად, საპენსიო ასაკს გადაცილებული მეცნიერები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას საერთაშორისო საზოგადოებას ვერ შესთავაზებენ და რომელთათვისაც არსებობს საქველმოქმედო ჟურნალი "მაცნე".

მაგრამ "დაჩაგვრის" თემას კიდევ უფრო საინტერესოდ ეხმაურება ისტორიკოსი, პროფესორი **მარიამ ლორთქიფანიძე** (3 ივნისი, **ნინო ცინცაძე**, *გამოცდები წელს, გაისად და მომავალში*): "**შემიძლია გულწრფელად გითხრათ, საქართველოს ისტორიაში გამოცდის დროს ნიშანს არავის აკლებდნენ, მომატებით კი ნამდვილად უმატებენ**". ოდესღაც ერთ პიროვნებას ვიცნობდი, რომელიც თსუ-ში მისაღები გამოცდების დროს აყვავებულ კორუფციაში იმ ფუნქციას ასრულებდა, რომელსაც კრიმინალურ ჟარგონზე "შნირი" თუ "შესტიორკა" ჰქვია. მიმტკიცებდა, რომ კორუფციის მთელი შედეგი ისაა, რომ ჭკვიანები ისედაც ხვდებიან, სულელებს კი "ხელს წაჰკრავენ". არავინ იჩაგრება! საგულისხმოა, რომ ღვაწლმოსილი პროფესორისა და ამ "შნირის" თვალსაზრისი ასე დაემთხვა ერთმანეთს. თან ჩვენი სინდისიც დაწყნარებული უნდა იყოს: როგორ? — ხომ არავინ იჩაგრება! ესაა მთავარი.

ქ-ნი ლორთქიფანიძე სხვასაც ამბობს: "**საქართველოს ისტორია არის საგანი, რომელიც ლოგიკურ აზროვნებას, მოვლენათა თანმიმდევრობას მშვენივრად ასწავლის**". ჩემს მეგობრებში არის ქ-ნ ლორთქიფანიძის რამდენიმე ნასტუდენტარი. ყველანი ერთსა და იმავეს ამბობენ: გამოცდებზე ძალიან მკაცრი იყო და თითქმის ზეპირად ითხოვდა ტექსტს. არ გაინტერესებთ, რომელს? — აი, მრავალტომეული რომ იყო, "საქართველოს ისტორიის ნარკვევები". ნუ ჩავვარდებით არაფრისმთქმელ რიტორიკაში და ნუ ვიტყვით, რომ ეს საბჭოთა პერიოდის მანკიერი და მეთოდს მოკლებული ისტორიოგრაფიის მაგალითია. ჩვენ არგუმენტაციის უფრო თვალსაჩინო და პროფესიულ ხერხს მივმართოთ: ორჯერ, დისერტაციაზე მუშაობისას და XIX საუკუნის რუსი ბერის, **თევდორე პოლზიკოვის** "ცხოვრების" გამოსაცემად მომზადებისას, მეც მომიწია ამ ოპუსში ჩახედვა. ერთადერთის თქმა შემიძლია: ბიბლიოგრაფიული დაყრდნობების ერთობ გაუგებარი და უცნაური სისტემაა გამოყენებული.

მხცოვანი პროფესორის აზრით, საქართველოს ისტორია პიროვნებას და პატრიოტიზმს აყალიბებს. ვნახოთ, რას ვღებულობთ შედეგად.

2 ივნისს გამოქვეყნდა **თამაზ გიორგაძის** ვრცელი სტატია *კონიუნქტურიდან არქიტექტურამდე*. თუმცა ეს ტექსტი უფრო შემოქმედებითი დღიურის უწესრიგო ჩანაწერებს ჰგავს. რას არ იპოვი აქ: ისტორიული ექსკურსები, არქიტექტურულ ტრადიციათა იდეოლოგიური განხილვა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქვეყნის პრეზიდენტისადმი საყვედურები, ჰიმნის ანალიზი, შემოქმედებითი კონკურსების კრიტიკა. მოკლედ, არის ერთი დომხალი და მიდებ-მოდება.

ყოველივე ამის განხილვას ორი ამდენი ტექსტი სჭირდება. ამიტომაც ჩვენ მხოლოდ ერთი ასპექტით შემოვიფარგლებით: თამაზ გიორგაძე განიხილავს XIX საუკუნის სიტუაციას: "**ახალ სამშენებლო კანონმდებლობასთან ერთად შემოდის რუსეთის იმპერიაში იმ დროისათვის გავრცელებული გვიანი რუსული კლასიციზმის ფორმები, რომლებიც თვით პეტერბურგიდან მიღებული ან საქართველოში მეორეხარისხოვანი არქიტექტორების, თუ უბრალოდ, არაარქიტექტორების მიერ "უზენაესად დამტკიცებული ფასადების კრებულის" მიხედვით შესრულებული პროექტების საშუალებით ინერგებოდა**". ამას ავტორი კულტურულ ექსპანსიას უწოდებს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გვიანდელმა რუსულმა კლასიციზმმა სასტიკად განდევნა... აი, აქ იწყება პრობლემა: რა განდევნა? ვიწრო ქუჩები სადაც სახლებს შორის არეები საყოფაცხოვრებო ნაგვით იყო ჩახერგილი. არა, მთლად რადიკალურად ვერ განდევნა: ნაგავს დღესაც ფანჯრიდან ყრიან თბილისში, თანაც სადღაც გარეუბანში კი არა, — მაგალითად, ყიფშიძის ქუჩაზე აღმართულ კორპუსებში.

მაშინ იქნებ ის მოგვახსენოს ავტორმა, რომელი ქართული ეროვნული არქიტექტურა დაახრჩვეს მეორეხარისხოვანმა პეტერბურგელმა არქიტექტორებმა? იქნებ მტკვრის ნაპირას მდგომ საფორტიფიკაციო ნაგებობაზე სარტყელივით შემოტარებული ხის აივანი იგულისხმება ეროვნული ხუროთმოძღვრების შედევრად? ოჰ, ეს საზიზღარი ცარიზმი (მას ავტორი რატომღაც აბსოლუტიზმად მოიხსენიებს): რაღა რუსებმა, გერმანელებმა და იტალიელებმა ააშენეს თბილისში თითქმის ყველაფერი, რითაც დღეს ვამაყობთ! ქართველები კი დღემდე, შუა ქალაქშიც კი საკუთარი თავის ირგვლივ სოფლური გარემოს აღდგენას ცდილობენ. დაითვალა ვინმემ, სულ მოსახლეზე რამდენი ბოსტანი მოდის ქალაქ თბილისში? შეადარა ვინმემ ეს მონაცემები, მაგალითად, XVIII საუკუნის პარიზს? — ვენეციას-მეთქი, ხომ არ ვამბობ, დამიფასეთ!

მაგრამ საქართველოს ისტორიის სწავლებით სკოლაში ჩამოყალიბებული პიროვნება ამ საკითხებს უბრალოდ ვერ ამჩნევს. ამიტომაც ამბობს ნინო ცინცაძის უკვე ნახსენებ მასალაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების მომზადებისა და დანერგვის ქვეკომპონენტის უფროსი, **სიმონ ჯანაშია**: "**ადრე იყო გამოცდა პარტისტორიაში, ახლა იგი საქართველოს ისტორიამ ჩაანაცვლა. ეს იგივეა, სამსახურში მიღების წინაც რომ მოვითხოვოთ, საქართველოს ისტორია ყველამ ჩააბაროს... კიდევ გასარკვევია, რას ნიშნავს ისტორიის ცოდნა — თუ მახსოვს, ესე იგი ვიცი?.. ჩემთვის პატრიოტი ადამიანი ნიშნავს შემძლე ადამიანს**".

მაგრამ მხცოვანი პროფესორი, მარიამ ლორთქიფანიძე ამას შემდეგნაირად პასუხობს: "**ჩვენ აბსოლუტურად განსხვავებულ პოზიციებზე ვდგავართ და ერთმანეთს ვერასდროს გავუგებთ**". აჰა, გამოდის, რომ ვიღაცამ უნდა დათმოს. ვინ? — ნამდვილად იმან, ვისთვისაც ცნება "ვერასდროს" დროის უფრო ხანგრძლივ მონაკვეთს მოიცავს...

მაგრამ ყველაფერი ასე ცუდად არაა. უკვე თითქმის ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ეგრეთ წოდებულ "მეორედ დაბეჭდვის ღირს" სტატიებს გამოვყოფ ხოლმე. გასულ კვირაშიც იყო ერთი ასეთი: **სერგო წურწუმია**, *ჰერალდიკის ავტორთა ჯგუფს*. ავტორმა მართლაც მშვენიერი ტექსტი შექმნა, რომელიც ლამაზ, თუმცა კი ობოლ ნოტად გაისმა "აფხაზეთის დაბრუნების" გარშემო შექმნილ საყოველთაო ღრიანცელში. მართლაც, რატომ არ მოიძებნა ქართულ გერბზე აფხაზური ან ოსური თემატიკისთვის ადგილი? ნუთუ ლოზუნგი "დავიბრუნოთ აფხაზეთი" მხოლოდ შებღალულ თავმოყვარეობაზეა დამკვიდრებული, უფრო სერიოზული და ღირსეული კი არაფერი უდევს საფუძვლად? მადლობა მინდა გადავუხადო სერგო წურწუმიას და სინანული გამოვთქვა იმის გამო, რომ მისი სტატია "24 საათის" აფხაზურ გვერდზე დაიბეჭდა. რატომღაც მგონია, მას სერიოზულად არავინ იღებს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.

და კიდევ ერთი გამარჯვება: **ბესო გულაშვილის** 2 ივნისს B1 გვერდზე გამოქვეყნებული ფოტო. უკანა პლანი: სმენაზე გამოჭიმული მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ეროსი კიწმარიშვილი და სხვა ოფიციალური პირები; წინა პლანი: ერთადერთი ბავშვი, პატარა გოგონა, რომელსაც გინდა მიუახლოვდე, მხარზე ხელი დაადო და უთხრა: "ხედავ ამ ძიებს, ესენი შენი მსახურები არიან!".



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
შეიძინეთ და აჩუქეთ მაღაზია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრო ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991






## თეატრები

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ჩემი გალაკტიონი"
კითხულობს ელდინო სალარაძე
რეჟ. გიორგი სიხარულიძე
დას: 18:00
**"სახიობა"**
ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამით
ლაშა თაბუკაშვილი
"ჭრილობა"
რეჟ. გიორგი კახელი
დას: 19:00 სთ

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"ქრისტეს ვნებანი"
დას: 17:00, 19:00
**რუსთაველი**
"დღე ხვალის შემდეგ"
დას: 12:00, 19:30, 22:00
**ამირანი**
"ჰარი პოტერი"
დას: 10:00, 13:00, 16:00, 19:00
"ტროა"
დას: 22:00

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# რუსული კინოსეანსის წინ

### მოგზაურობა წარსულში მოსკოველ მსახიობებთან ერთად

ნანა კობაიძე

"კინოსეანსის წინ" - ასე ერქვა სპექტაკლს, რომლითაც წლევანდელი ხელოვნების ფესტივალი "საჩუქარი" გაიხსნა. იგი მოსკოვურმა დასმა, "თეატრი სტანისლავსკის სახლთან", წარმოადგინა. მოგზაურობა წარსულში – ასე შეიძლება ძალიან მოკლედ ამ დადგმის შეფასება. გასული საუკუნის 30-40-იანი წლების რუსული ჰიტები (ცოცხალი შესრულებით), ამ ჰიტების შესრულებისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ხმა (ძველ საბჭოთა ფილმებში რომ გვსმენია), დახვეწილი იუმორი, რუსულ-ფრანგულად წარმოდგენილი უილიამ საროიანის ერთი მოთხრობა – ეს ყველაფერი საათნახევრის განმავლობაში კინომსახიობთა განახლებულ სცენაზე.

"თეატრალური ბუდისტი", "თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორი" – ასე მოიხსენიებენ ამ სპექტაკლის რეჟისორსა და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, იური პოგრებნიჩკოს რუსულ და დასავლურ თეატრალურ წრეებში, თუმცა, იმ დადგმის მიხედვით, რომელიც მან გვიჩვენა, ასეთი დასკვნის გამოტანა ცოტა რთულია. არ გეგონოთ, სპექტაკლი არ მომეწონა, უბრალოდ, ეს არ არის ის ნამუშევარი, რომლითაც მის რეჟისორულ შესაძლებლობებზე შეიძლება სრული წარმოდგენა შეგექმნათ. პირადად ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა მის მიერ დადგმული ჩეხოვის ნახვა, რადგან, თუ რუს თეატრალურ კრიტიკოსებს ვენდობით, პოგრებნიჩკოსეული ინტერპრეტაციით ჩეხოვი ჯერ არავის წაუკითხავს.

რა ხდება სპექტაკლში? შეიძლება თამამად ითქვას, რომ არაფერიც არ ხდება (თუმცა, ეს არც დღეს ასე მოდური აბსურდის თეატრია). ეს არ არის დადგმა კლასიკური გაგებით, სადაც ამბავი იწყება, ვითარდება, აღწევს კულმინაციას და კვანძიც იხსნება. თუმცა, ამის მიუხედავად, საათნახევრის განმავლობაში მაყურებელი არ მოიწყენს – რადგან მათ გართობას მშვენივრად ახერხებენ რუსი მსახიობები, განსაკუთრებით კი, ნატალია როჟკოვა, რომელიც საკმაოდ კარგად ასრულებს ოდესღაც პოპულარულ რუსულ სიმღერებს.

იყო დრო (რომელიც ჩემს თაობას ნამდვილად არ ახსოვს), როდესაც კინოსეანსების დაწყებამდე შუახნის მომღერლები სიმღერებით ართობდნენ დამსწრეთ. სწორედ ასეთი მუსიკოსები არიან პოგრებნიჩკოს სპექტაკლის გმირები. მათი ვარსკვლავი უკვე ჩაესვენა, ისინი აღარავის სჭირდება, კინოსეანსების წინ სიმღერით დღიურ ლუკმას შოულობენ, ამიტომ ეს საქმიანობა მათთვის უფრო ხელოსნობაა, ვიდრე ხელოვნება. თუმცა, გაურკვეველი პრემიის ლაურეატ ქალბატონს (როგორც მას პიანისტი (მსახიობი იური კანტომიროვი) წარადგენს პუბლიკის წინაშე) შიგადაშიგ ნამდვილი გრძნობაც სტუმრობს და ასეთ მომენტებში მთელი არსებით, გულიანად მღერის. დარბაზში შეკრებილ საზოგადოებაში მამაკაცის ფართხუნა კოსტუმში გამოწყობილი როჟკოვა ღიმილს იწვევს, მის მიერ შესრულებული სიმღერები - დადებით განწყობას. არცთუ იშვიათად, მაგალითად, როდესაც მაყურებელი ხედავს ბამბით ყურდაცობილ მებაიანეს, ანდა, როდესაც პიანისტი პიანინოდან ცარიელ არყის ბოთლს და ათას უცნაურ ნივთს იღებს, ისმის ხარხარიც. თუმცა, სპექტაკლს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ კომედიას. თავისი არსით, ეს ყველაფერი უფრო სევდიანია, ვიდრე - მხიარული. უბრალოდ, სევდა სიმღერებს შორის ოსტატურად გაბნეული იუმორით არის შენიღბული.

"კინოსეანსის წინ" ორი წლის წინათ დაიდგა. "თავიდან იყო იდეა, გაგვეკეთებინა მხოლოდ კონცერტი კინოსეანსის წინ, მაგრამ მხოლოდ ეს ვარიანტი სიცარიელის განცდას იწვევდა. შემდეგ გადავწყვიტე, საკონცერტო ნომრებს შორის ჩამედგა საროიანის ერთი პატარა მოთხრობა, რომელიც ძალიან მიყვარს. მგონი, ამ გადაწყვეტილებამ გაამართლა", – გვითხრა რეჟისორმა. სხვათა შორის, მას არ ხიბლავს საუბარი თავის სპექტაკლებზე, რადგან მიიჩნევს, რომ ყველაფერს, რისი თქმაც სურს, თეატრალური ენით გადმოსცემს; გაურბის ინტერვიუებს და არ კითხულობს კრიტიკულ სტატიებს, თუმცა ამბობს, რომ კრიტიკა აუცილებელია, როგორც შუამავალი თეატრსა და მაყურებელს შორის. რაც შეეხება მაყურებელს, მან ერთი ცნობილი რეჟისორის გამონათქვამი მოიშველია, რომლის თანახმადაც მაყურებელი სამ კატეგორიად იყოფა: პირველი კატეგორიის სნობებად, მეორე კატეგორიის სნობებად და - დანარჩენებად. მეორე კატეგორიის სნობები პირველთა რეაქციებს აკვირდებიან, დანარჩენი მაყურებელი კი - მეორე კატეგორიის შთაბეჭდილებებს. ასე ის რეჟისორი ფიქრობს, ეს ჩემი სიტყვები არ არისო, – განგვიმარტა პოგრებნიჩკომ, თუმცა, როგორც მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან ირკვევა, მაყურებელს და მის რაოდენობას არც ის ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას (ჩვენგან განსხვავებით – სადაც ერთმანეთის წამხედურობით და მოდური რეჟისორის სახელით მიღებული ანშლაგი სპექტაკლის წარმატების მაჩვენებელია). მაინცდამაინც არც სხვა რეჟისორების სპექტაკლებზე დადის (ამაში კი ნამდვილად ჰგავს ქართველ რეჟისორებს) და ამას ორიგინალურად განმარტავს, - ტორტის მცხობელი ტორტს არ ჭამსო. ვერ შეედავები, რომ იტყვიან, რკინისებრი ლოგიკაა. ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ის ვისურვოთ, რომ ტორტი იყოს კარგი. ეს კი პოგრენიჩკოს ნამდვილად ეხერხება.


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"თეატრალური ბუდისტი", "თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორი" – ასე მოიხსენიებენ ამ სპექტაკლის რეჟისორს.*

# მოკვდა წერო?

### "პატარა უფლისწული" ქართველი რეჟისორის ინტერპრეტაციით

ნანა კობაიძე

"მოკვდა წერო?" - მკითხა დაფიქრებული სახით სანდრომ, როდესაც სპექტაკლის ფინალური ეპიზოდის შემდეგ სცენაზე ფრინველის ბუმბული დაცვივდა. მოკვდა წერო? - ამ შეკითხვით მივმართე რეჟისორ ნინო ლონდარიძე-ჰაკალას "პატარა უფლისწულის" დასრულების შემდეგ, რადგან პატარა მაყურებლის გულუბრყვილო შეკითხვა სინამდვილეში არც ისე გულუბრყვილო, უფრო მეტიც, ჩემს ნებისმიერ შეკითხვაზე მნიშვნელოვანი მეჩვენა. ქალბატონმა ნინომ განგვიმარტა, რომ მას არ სურდა პასუხის გაცემა შეკითხვაზე, მოკლეს თუ არა წერო, რომელსაც პატარა უფლისწული თავის მშობლიურ პლანეტაზე მიჰყავდა, ეს თავად მაყურებელმა გადაწყვიტოსო. არ ვიცი, როგორ დაასრულეს ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ეს მშვენიერი მოთხრობა სხვა ბავშვებმა, მე და სანდრომ კი გადავწყვიტეთ, რომ პატარა უფლისწული და წერო გადარჩნენ. თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი გაცილებით უფრო რთულადაა. ეს კარგად იცის ფინეთში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა და ალბათ ამიტომ ჩადგა სპექტაკლში ფოტოკადრები, რომლებზეც ჩეჩნეთისა და აფხაზეთის ომის ეპიზოდებია ასახული (ეს დოკუმენტური კადრები ფოტოგრაფ სერგო ედიშერაშვილს ეკუთვნის). შეკითხვაზე, რამდენად გამართლებულია პატარა მაყურებლისთვის მსგავსი ფოტომასალის ჩვენება, რეჟისორმა მიპასუხა - თანამედროვე მოზარდები იმდენად არიან ინფორმირებულნი, რომ მათთვის ეს ყველაფერი დამთრგუნველი არ არისო. საერთოდ კი, მას მიაჩნია, რომ საბავშვო წარმოდგენა განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს. ყველაზე დაუშვებლად კი ასეთ სპექტაკლებში ძალადობის გამოვლენა მიაჩნია, ამიტომ "წითელქუდაში," რომელიც ნინომ ფინელი ბავშვებისთვის დადგა, მგელს კი არ კლავენ, სჯიან და ცირკში მიჰყავთ; თუ გამოსწორდება - გამოუშვებენ. ალბათ ასეთი დამოკიდებულების გამო მოიპოვა ქართველმა რეჟისორმა პატარა ფინელი მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული, ქალაქ პორის ხელმძღვანელობამ კი, სადაც ნინომ 5 წლის წინათ მარიონეტების თეატრი "ძველი კარადა" დააარსა, ცოტა ხნის წინათ მუდმივი შენობა გამოუყო. ნინო ამაყობს, რომ ფინეთში არსებული ორი მარიონეტების თეატრიდან ერთი ქართველმა რეჟისორმა დაარსა. "ძველი კარადას" რეპერტუარში ამჟამად 12 სპექტაკლია - სულ პატარებისთვის და შედარებით მოზრდილთათვის. "პატარა უფლისწული" ყველაზე ახალი დადგმაა. პორიში მისი პრემიერა ჯერ არ გამართულა. ცოტა ხნის წინ ფინეთში, ოულუს ფესტივალზე აჩვენა და დიდი მოწონება დაიმსახურა, თუმცა ზემოხსენებულ "ჩადგმულ" ფოტოებს, რომლებიც სცენაზე მოთავსებულ ეკრანზე პროეცირდება, რუსული დელეგაციის უკმაყოფილება გამოუწვევია. რუსების არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის, როგორც მაყურებლისთვის, ცოტა დამთრგუნველი იყო ის მუსიკალური ფონი და ჩაბნელებული ტონები, რომლითაც წარმოდგენაა გაფორმებული. რეჟისორმა ეს დროის უკმარისობით ახსნა - მხოლოდ ერთი რეპეტიცია გვქონდა სცენაზე და ხარვეზები ამან გამოიწვიაო. სამომავლოდ, სასურველია, ასეთი ხარვეზები ნაკლებად იყოს - რადგან საქმე ყველაზე სათუთ არსებასთან, პატარა მაყურებელთან გვაქვს.

დაბოლოს, ნინო ლონდარიძე-ჰაკალამ საქართველო 9 წლის წინათ დატოვა. ამდენი ხნის შემდეგ პირველად ჩამოვიდა და თბილისი ცოტა დამძიმებული ეჩვენა. ნოსტალგია მუდმივად აწუხებს, მაგრამ საბოლოოდ გადმობარგებას მაინც ვერ გეგმავს - იქ ოჯახი მაქვსო. საქართველოს მონატრებას კი ქართული ზღაპრებით იქარვებს - მალე ფინელი ბავშვები მის მიერ დადგმულ "ნაცარქექიას თავგადასავალს" იხილავენ. იმედია - მოეწონებათ.

# პუშკინის საიუბილეო დღეები თბილისში

ნანა ბასილაშვილი

საიუბილეო დღეები, რომელიც დიდი რუსი პოეტის, ალექსანდრე პუშკინის 205 წლისთავს მიეძღვნა, გუშინ გრიბოედოვის თეატრში დიპლომებისა და პრიზების გადაცემით დასრულდა.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის - "Русский клуб" ინიციატივით, რუსეთის საელჩოს დახმარებით საქართველოში უკვე რამდენიმე თვეა პუშკინის იუბილესადმი მიძღვნილი დღეები იმართება. საიუბილეო ღონისძიებებში აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საშუალო სკოლები. ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან მოყოლებული, 50-ე საშუალო სკოლაში "Русский клуб"-ისა და "რუსი ახალგაზრდობის კავშირის" (ხელმძღვანელი ალექსანდრე ბეჟენცევი) თაოსნობით, მოსწავლეებს პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ლექციები ეკითხებოდათ. "პუშკინი და საქართველო" - ასე ერქვა ლექციების ციკლს. ამავე სახელწოდების გამოფენა მოაწყო Русский клуб-მა და "რუსი ახალგაზრდობის კავშირმა" ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და ლიტერატურის მუზეუმთან ერთად. გამოფენაზე წარმოდგენილი სხვადსხვა ფოტოები და დოკუმენტური მასალა ასახავდა პუშკინის მოგზაურობას საქართველოში, ქართველ თავად-აზნაურებთან ურთიერთობას, ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს და ა.შ.

პატარებმა ფანტაზია მოიშველიეს და ქაღალდზე გადმოიტანეს რუსი პოეტის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები, მისი მოგზაურობა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, და პუშკინის ნაწარმოებების კითხვის დროს მიღებული შთაბეჭდილებები. ესეც საიუბილეო ღონისძიებების ციკლის ერთ-ერთი ნაწილი იყო. გამოფენა-კონკურსი სახელწოდებით - "ჩემი პუშკინი" რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა გრიბოედოვის თეატრში. გარდა ამისა, ჩატარდა კიდევ ერთი, თხზულებების კონკურსი თემაზე - "ჩემი პუშკინი". შემოქმედებით და ინტელექტუალურ "შეჯიბრში" 600 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. კონკურსის ყველა მონაწილეს სპეციალური დიპლომები დაურიგდა, გამარჯვებულის სახელი კი კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელიც, ძირითადად, პედაგოგებით, მხატვრებითა და ფსიქოლოგებით იყო დაკომპლექტებული, ექვსასიდან ოცდაათ ბავშს მიანიჭა.

პუშკინის 205 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები თბილისში გუშინ დასრულდა. დილის 10 საათზე პუშკინის სკვერში, პოეტის ბიუსტთან სპორტული მარათონი გაიმართა. გარბენი, რომლის საწყისი წერტილი პუშკინის ბიუსტი იყო, რამდენიმე პუნქტს მოიცავდა: ქუჩას, სადაც პუშკინი თბილისში სტუმრობისას ცხოვრობდა და იმ ადგილებს, რომლებმაც თავის დროზე პოეტზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

შუადღისათვის გრიბოედოვის თეატრში, საიუბილეო ღონისძიებების დამაგვირგვინებელი წარმოდგენის დაწყებამდე, "ჩემი პუშკინის" ყველა მონაწილეს დიპლომები დაურიგდა. პატარებმა კიდევ ერთხელ დაათვალიერეს ფოიეში გამოფენილი საკუთარი ნამუშევრები და დიპლომებით ხელში სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. შემდეგ ყველამ ერთად დარბაზში გადაინაცვლა, სადაც გრიბოედოვის თეატრის დასმა მუსიკალური სპექტაკლი წარმოადგინა პუშკინის ზღაპრების მიხედვით. საიუბილეო დღეების ფინალური ეტაპი სწორედ ამ სპექტაკლის დასრულების შემდეგ დადგა. საქართველოში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა და "Русский клуб"-ის დირექტორმა ნიკოლოზ სვინტიცკიმ კონკურსში გამარჯვებულ 30 მოსწავლეს დიპლომები და პრიზები გადასცეს. ამ ოცდაათი გამარჯვებულიდან ჟიურიმ ათი საუკეთესო მოსწავლე აარჩია, რომლებიც რუსეთის საელჩოს დახმარებით საზაფხულო არდადაგებს რუსეთში გაატარებენ.

რუსული ხელოვნების დღეები თბილისში ამით არ დასრულებულა. დღეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში "Русский клуб"-ი ცნობილი რუსი კომპოზიტორის, მიხეილ გლინკას დაბადებიდან 200 წლის იუბილეს აღნიშნავს ტელერადიოკორპორაციის ორკესტრთან, საქართველოს კაპელასა და სოლისტებთან ერთად.


იური ლობოდინის ფოტო

*კონკურსის 10 გამარჯვებული საზაფხულო არდადეგებს რუსეთში გაატარებს*




# კვირის მიმოხილვა

## პოსტრევოლუციური თბილისი კულტურულად სუნთქავს

დავით ანთაძე

პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ამ ღირსშესანიშნავ დღეს მხატვარი და "ცისფერი გალერეის" დირექტორი **თეიმურაზ გოცაძე** მესამე პერსონალური გამოფენით გამოეხმაურნენ. უცნაურია, მაგრამ ამჯერად მხატვარმა საკუთარი ეპარქიისგან დისტანცირება არჩია და ამიტომ მას უმასპინძლა "ბაიას გალერეამ" და არა სხვა, სივრცობრივად უფრო გაშლილმა საგამოფენო დარბაზმა. მართალია, გოცაძის ფუნდამენტალური შემოქმედებისთვის ღია და არა ხაზგასმით კამერული სივრცეა აუცილებელი, მაგრამ მხატვრის მიერ 90-იან წლებში შექმნილი კლასიკური (მისთვის ჩვეული) ზომის ტილოები და თითქმის ექსპერიმენტული ნამუშევრები აქ ერთმანეთს მეტნაკლებად შეეწყო.

"ბაია გალერეაში" თავი მოუყარეს გოცაძის გვიანდელი პერიოდის, ანუ 90-იანი წლების თითქმის პროზაულ ფერწერას და მკვეთრად აბსტრაქტული ხასიათის ნამუშევრებს, რომელთა გამოფენა-გაყიდვა 12 ივნისამდე გაგრძელდება. აბეზარი ჟურნალისტების საყურადღებოდ, მხატვარმა უარი თქვა საკუთარი შემოქმედების და, მით უმეტეს, გამოფენის რეზიუმეზე. თუმცა, დამოუკიდებლად ვასკვნით, რომ თეიმურაზ გოცაძის წარმატების თავისებური ბარომეტრია ტრიპტიქი "სონატა", რომელსაც ავტორმა ნერვი და "განუსაზღვრელი" რაოდენობის საღებავი შეალია.

ამავე დღეს საფუძველი ჩაეყარა ქართული ფოლკლორის ფესტივალს. ალბათ, იმ ფაქტს ორმნიშვნელოვანი დატვირთვა უნდა ჰქონდეს, რომ პირველმა ფოლკლორულმა ფესტივალმა – **"ART-გენი"** - ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში აიდგა ფეხი და პირველი ნაბიჯიც საკმაოდ თავდაჯერებით გადადგა. ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორი ზაზა კორინთელის თქმით, ფესტივალი მიზნად ისახავს ქართული ფოლკლორის გადარჩენას და ის აუცილებლად მიიღებს ყოველწლიურ ხასიათს.

მერვე საერთაშორისო **ჯაზ-ფესტივალის** და გლობალიზაციის ფონზე ასეთი გულმოდგინება და



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*კინომსახიობთა თეატრი ფესტივალის საჩუქრის მოლოდინში.*

პატარა ერის კულტურულ თვითმყოფადობაზე ხმამაღალი ლაპარაკი, სიმართლე ითქვას, მსუბუქი თავხედობაა, მაგრამ კორინთელს "ART-გენის" და შესაბამისად ქართული გენის გამარჯვების მაინც წამს. გალექსილი სენის დაძლევას ფესტივალის ორგანიზატორები ტრადიციული ცეკვა-სიმღერით ცდილობდნენ. ფესტივალზე სხვადასხვა ტკბილხმოვანი ოჯახის პარალელურად საკუთარი შესაძლებლობები გამოამჟღავნეს ავტორიტეტებმაც: "მწვანე ოთახი", "33ა", "ზუმბა", ჯგუფი "ინსაითი", "სოფთ ეჯექთი" და ბაკურ ბურდული, რომლებსაც ბრიტანეთის საელჩო და ბანკი "რესპუბლიკა" საგრძნობლად პატრონობდა.

კორინთელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მომღერალი მიზნად ისახავს მოპოვებული მასალების საფუძველზე ხალხური შემოქმედების აუდიო-ვიდეოარქივის შექმნას. ფესტივალი დღეს მთავრდება. ფინალური აკორდი "სუხიშვილებს" ეკუთვნით, მანამდე კი პანტომიმის თეატრი საგულდაგულოდ შეთხზულ პერფორმანსს შემოგვთავაზებს.

ყოველ შემთხვევაში, პერფორმანსის დეფიციტს არ უჩივის მე-8 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი **"საჩუქარი"**, რომელიც 2 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში. მაშინ, როდესაც ქართველი რობერტ სტურუას "მეთორმეტე ღამე" ისლანდიაში საერთაშორისო ფესტივალს ხსნიდა, ქეთი დოლიძემ საქართველოში კულტუროლოგიური დესანტი გადმოსხა. ამ დღეს თბილისი საპატიო სტუმრების ექსპანსიას განიცდიდა.

ფესტივალს, რომელსაც საფუძველი 1997 წელს ჩაეყარა იშვიათი რეპერტუარით თუ არა სტუმრების მრავალფეროვნებით მაინც იწონებს თავს. ამის დასტურად ახლადგარემონტებულ თეატრის ფოიეში ჯერ რებეკა მეტლოკის ფოტონამუშევრები გამოფინეს ("რებეკას საყვარელი ადგილები"), ხოლო შემდეგ დრამატურგი იური პოგრებნიჩკოს მკვეთრად რეტრო განწყობილების მქონე ინსცენირება "კინოსეანსის წინ" შემოგვთავაზეს. უდავოდ, "საჩუქარს" ერთ-ერთი ღირებული საჩუქარი გაუკეთა ანატოლი ვასილიევმა, რომელმაც მიხეილ თუმანიშვილის ნაწარმოები "სანამ რეპეტიცია დაიწყება" რუსულად გამოსცა და მისი პრეზენტაცია ფესტივალის გახსნის წინ მოაწყო.

ფესტივალზე, რომელსაც შეეწირა დოლიძის ქონება, მაგრამ შეუდარებლად გაზარდა მისი იმიჯი, თუმანიშვილის საყვარელი მსახიობებიც დააჯილდოვეს. რამაზ ჩხიკვაძემ და გურამ საღარაძემ კეთილი სიტყვები არ დაიშურეს მისი მისამართით. მეტიც, საღარაძის თქმით, მიხეილ თუმანიშვილის ქანდაკების მიღება მისთვის ისეთივე დიდი პატივია, როგორიც რუსთაველის პრემიის მიღება.

როგორც ჩანს, უცხოელები საქართველოს სიყვარულის პრეროგატივას აღარ გვიტოვებენ. კორინთელის კვალდაკვალ ქართულ ბუნებასა და კულტურას იტალიელი სილვიო კალვეც ადიდებს.

4 ივნისს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და "მ.6 ჯგუფის" ორგანიზებით, იტალიელი არქიტექტორის, წარსულში ალპინისტისა და ამჟამად ფოტოგრაფიით გატაცებული **სილვიო კალვის** პირველი პერსონალური ფოტოგამოფენა "ეს საქართველოა" გაიხსნა. ექსპოზიციაში მკაცრი სვანეთის მომაჯადოებელი პეიზაჟების ჭარბობს.

